13821

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა სამართალი




5 1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საბჭოთა სამართალი

№ 5

სექტემბერი
ოქტომბერი

1982 წელი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი**

## შინაარსი

**ხუთი წელი ახალი კონსტიტუციის მიღებიდან**

კანონიერების პრინციპი განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციაში . . . 3

**სსრ კავშირის შექმნის სამოცი წლისთავისათვის**

**ვ. მერკვილაძე** — საბჭოთა საქართველო სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში . . . 7

**საბჭოთა სამართლის თეორიის საკითხები**

**ა. კაკუაშვილი** — სოციალისტური სამართლის სისტემაში შრომა-გასწორების სამართლებრივი ნორმების ადგილის შესახებ . . . 17

**პროფილაქტიკა — მთავარი მიმართულება**

**ვ. სირაძე** — ბრძოლა მუქთახორობასთან და საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულობებთან: პრაქტიკა, ამოცანები და პრობლემები . . . 24

**შევქმნათ დამნაშავეობასთან და დარღვევებთან ბრძოლის ერთიანი ფრონტი**

**ბ. გვეტაძე** — შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობა — ახალი ამოცანების დონეზე . . . 33

**სასამართლო პრაქტიკის განზოგადება**

**რ. კიტავა** — დასახიჩრებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეთა სასამართლო განხილვის შესახებ . . . 41

**ჩვენი პროფესიის ადამიანები**

**ზ. მესენგისერი** — კანონის სამსახურში . . . 49

**ა. არსენაშვილი** — საინტერესო ცხოვრება გრძელდება . . . 52

**ოფიციალური მასალა** . . . 54

**კრიტიკა და ბიბლიოგრაფია**

**ა. ფრანგიშვილი, ვ. კაკაბაძე** — გამოკვლევა საზოგადოებრივი აზრისა და მართლშეგნების შესახებ . . . 57

**დ. ცინცაძე** — ნაშრომი დანაშაულის პროფილაქტიკაში სასამართლოს როლის შესახებ . . . 60

**გ. ინწკირველი** — მეცნიერული კეთილსინდისიერებისათვის . . . 63

ინფორმაცია . . . 77

# СОДЕРЖАНИЕ


**К пятилетию принятия Конституции СССР**

Принципы законности в конституции развитого социализма . . . 3

**К шестидесятилетию образования СССР**

**В. Мерквиладзе** — Советская Грузия в братской семье народов Союза ССР . . . . . . . . . . . . . 7

**Вопросы теории Советского права**

**А. Папуашвили** — О месте нормы исправительно-трудового права в системе социалистического права . . . . . . . . . 17

**Главное направление — профилактика**

**В. Сирадзе** — Борьба с тунеядством и преступностью на бытовой почве: Практика, задачи и проблемы . . . . . . . . 24

**Создать единый фронт борьбы с преступностью и нарушениями**

**Г. Гветадзе** — Деятельность органов Министерства внутренних дел на уровне новых задач . . . . . . . . . . 33

**Обобщение судебной практики**

**Р. Питава** — О судебном рассмотрении дел о возмещении вреда, причиненного увечьем . . . . . . . . . . 41

**Люди нашей профессии**

**З. Месенгисери** — На службе закона . . . . . . . . . 49

**А. Арсепашвили** — Интересная жизнь продолжается . . . . . 52

**Официальный материал** . . . . . . . . . . . . . 54

**Критика и библиография**

**А. Прангишвили, В. Какабадзе** — Исследования общественного мнения и правосознание . . . . . . . . . . . 57

**Д. Цинцадзе** — Работа о роли суда в профилактике преступлений . . 60

**Г. Инцкирвели** — За научную добросовестность . . . . . . . 63

Информация . . . . . . . . . . . . . . . . 77



**სარედაქციო კოლეგია:**

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ლ. ალექსიძე, ა. ბარაბაძე,
გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,
მ. ლეკვეიშვილი, გ. ტყეშელიაძე, ა. შუშანაშვილი,
ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი", 1982 წ.



**რედაქციის მისამართი, თბილისი, პლეხანოვის პრ. 108. ტ. 95-58-87, 95-88-49.**

გადაეცა ასაწყობად 16. IX. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. XII. 82 წ.,
ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5

შეკვ. № 2231 ტირაჟი 16.000 უე 08587

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

172236

## სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის ხუთი წლისთავისათვის

# კანონიერების პრინციპი განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციაში

ხუთი წელი გავიდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებიდან .ამ ეპოქალურმა დოკუმენტმა, რომელსაც ხალხმა ერთა ძმობისა და თავისუფლების დიადი ქარტია უწოდა, იურიდიულად განამტკიცა ჩვენს ქვეყანაში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება, მსოფლიოში პირველი საერთო-სახალხო სახელმწიფოს შექმნა. უკვე ხუთი წელია ახალი კონსტიტუცია ცოცხლობს და მოქმედებს, ხელს უწყობს საბჭოთა სახელმწიფოს წინსვლას კომუნიზმისაკენ.

1977 წლის კონსტიტუცია პარტიისა და ხალხის ფართო მასების ერთობლივი შემოქმედებითი შრომის ნაყოფია. საკმარისია ითქვას, რომ კონსტიტუციის საერთო-სახალხო განხილვაში, რომელიც ოთხ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა, მონაწილეობდა 140 მილიონი კაცი, ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის ოთხი მეხუთედი. კონსტიტუციის პროექტის ირგვლივ სხვადასხვა არხებით გამოითქვა ოთხასი ათასზე მეტი მოსაზრება, რომელთაგან ბევრი გათვალისწინებული იქნა კონსტიტუციის დამტკიცებისას. სრულყოფის მიზნით მას დაემატა ერთი მუხლი, 118 მუხლში კი შეტანილ იქნა სხვადასხვა ხასიათის ცვლილება.

არსებითად კონსტიტუციის პროექტის განხილვა გასცდა მისი ტექსტის ანალიზის ფარგლებს. საბჭოთა ადამიანებმა ბევრი გონივრული და საგულისხმო წინადადება წამოაყენეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საკითხზე, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფის, შრომითი კოლექტივების როლის ამაღლების, სახალხო დოვლათის დაცვის, საერთო-სახალხო სახელმწიფოს მართვაში მშრომელთა უფართოესი მასების ჩაბმის თაობაზე. როგორც მოსალოდნელი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც კონსტიტუციის მიღების წინ გაიმართა, თავისი დადგენილებით დაავალა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა ორგანოებს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს გულდასმით განეხილათ ყველა მოსაზრება და კრიტიკული შენიშვნა და განეხორციელებინათ ქმედითი ღონისძიებანი მათი რეალიზაციისათვის. ამ გადაწყვეტილებამ, რომელიც თავისთავად წარმოადგენს საბჭოთა დემოკრატიზმის გამოხატულებას, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საზოგადოებრივ ცხოვრებაში დემოკრატიული საწყისების განვითარებასა და დამკვიდრებას, საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შემდგომ სრულყოფას, ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი კანონი, როგორც ეს კონსტიტუციის პრეამბულაშია ნათქვამი, „ამკვიდრებს სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესწყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლებს, ადგენს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს, სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ორგანიზაციის პრინციპებსა და მიზნებს".[1] მთელ მსოფლიოს უჩვენებს, რომ ჩვენში ცოცხლობს და ხორციელდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, ვ. ი. ლენინის უკვდავი იდეები. ახალ კონსტიტუციაში ამასთან ერთად გამოცხადებულია საბჭოთა სახელმწიფოს უზენაესი მიზანი — ააშენოს უკლასო კომუნისტური საზოგადოება, რომელშიც განვითარდება საზოგადოებრივი კომუნისტური თვითმმართველობა.

ხუთი წელი სრულიად უმნიშვნელო დროა ისტორიისათვის, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ მცირე მონაკვეთში სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ შეასრულა უდიდესი როლი ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოების, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში. საბჭოთა კონსტიტუცია, რომელშიც განზოგადებულია ჩვენი ხალხის ბრძოლის ისტორიული გამოცდილება, შთამაგონებელ მაგალითად იქცა მთელი მსოფ-

---

1 სსრ კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), „საბჭოთა სამართალი", თბ. 1977 წ. გვ. 6.

კ. მარქსის სახ. სსმ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიოს მშრომელებისათვის მათ ბრძოლაში ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის. ამაშიც ვლინდება საბჭოთა კონსტიტუციის დიდი ინტერნაციონალური მნიშვნელობა.

საბჭოთა სახელმწიფო არსებობის პირველი დღეებიდანვე მოღვაწეობდა სოციალისტური კანონიერების საფუძველზე. მაგრამ ეს პრინციპი პირველად იქნა ფორმულირებული და განმტკიცებული სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მე-4 მუხლში, რომელშიც ნათქვამია: „საბჭოთა სახელმწიფო და მისი ყველა ორგანო მოქმედებენ სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, უზრუნველყოფენ მართლწესრიგის, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან იცავდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციას და საბჭოთა კანონებს“. ყველა პარტიული ორგანიზაცია მოქმედებს აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში (მუხ. 6). ამგვარად, კანონიერების პრინციპი კონსტიტუციურ ნორმად იქცა. ამ პრინციპის გამოვლინებას, მისი დაცვის აუცილებლობას ვხვდებით ახალი კონსტიტუციის ბევრ მუხლში, განსაკუთრებით იმ განყოფილებებში, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობას, მართლმსაჯულების ორგანოების, პროკურატურისა და არბიტრაჟის საქმიანობას. ყოველივე ეს მოწმობს, რომ კანონიერების პრინციპი ფუძემდებლურია და მას დიდი მაორგანიზებელი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისათვის. მისი განხორციელება იმის გარანტიაა, რომ აღარასოდეს განმეორდება პარტიული და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმებიდან გადახვევის ფაქტები, უკანონო რეპრესიები, რასაც წარსულში ჰქონდა ადგილი.

კანონიერების სოციალური ღირებულების გაზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების გაღრმავებისათვის და გაფართოებისათვის. კონსტიტუციის 39-ე მუხლში ნათქვამია: „სსრ კავშირის მოქალაქეებს სრულად აქვთ მინიჭებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გამოცხადებული და გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საბჭოთა კანონებით“.[3] ამ უფლებებში შედის: შრომის, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბინის, განათლების, კულტურის მიღწევებით სარგებლობის უფლება; მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების, აგრეთვე სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, მიტინგების, ქუჩებში მსვლელობებისა და დემონსტრაციების, სინდისის თავისუფლება. საბჭოთა მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში, საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის კანონებისა და გადაწყვეტილებების განხილვასა და მიღებაში. მათ შეუძლიათ შეიტანონ სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წინადადებანი მათი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ, გააკრიტიკონ მათი მუშაობის ნაკლოვანებანი, გაასაჩივრონ თანამდებობის პირების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მოქმედება. მოქალაქეებს აგრეთვე შეუძლიათ სარგებლობისათვის იქონიონ მიწის ნაკვეთები, რომლებიც მათ კანონით დადგენილი წესით ეძლევათ დამხმარე მეურნეობის გაძღოლისათვის. კონსტიტუცია აცხადებს სსრ კავშირის სხვადასხვა რასისა და ეროვნების მოქალაქეების სრულ თანასწორობას, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებების მიუხედავად. „სსრ კავშირის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა უზრუნველყოფილია ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში“.[4]

ყველა ამ უფლებათა რეალიზაციისათვის ახალი კონსტიტუცია აწესებს გარანტიებსა და მათი უზრუნველყოფის საშუალებებს. ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი უფლების ხელყოფა კი კანონით ისჯება. მაგალითად, კანონით ისჯება: „მოქალაქეთა უფლებების ყოველგვარი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა, რასობრივი და ეროვნული ნიშნების მიხედვით მოქალაქეთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი უპირატესობების დაწესება, ისევე როგორც

---

[2] იქვე, გვ. 7-8.

[3] სსრ კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1977, გვ. 20.

[4] სსრ კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), „საბჭოთა საქართველო“, თბ.. 1977, გვ. 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასობრივი ან ეროვნული განსაკუთრებულობის, შუღლისა ან უგულვებელყოფის ყოველგვარი ქადაგება";[5] კრიტიკისათვის დევნა. კრიტიკისათვის მდევნელი პირნი პასუხისგებაში მიეცემიან.

ამგვარად ახალმა კონსტიტუციამ არა მარტო დაადგინა მოქალაქეთა უფლებების და თავისუფლებების განხორციელების გარანტიები, არამედ სახელმწიფო ორგანოების მოვალეობად მიიჩნია ამ უფლებებისა და ინტერესების დაცვა. მათი უზრუნველყოფა სამართლებრივი საშუალებებით.

სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციაში არის კიდევ ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ახალი ნორმა, რომელიც კანონიერების პრინციპის განხორციელებას შეეხება. იგი ფორმულირებულია კონსტიტუციის 65-ე მუხლში. მისი მიხედვით სსრ კავშირის მოქალაქე მოვალეა შეურიგებელი იყოს ანტისაზოგადოებრივი საქციელისადმი, ყოველნაირად უწყობდეს ხელს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ამგვარად, სამართალდარღვევებთან ბრძოლა, აქტიური მონაწილეობა მართლწესრიგის და კანონიერების განმტკიცებაში, მიჩნეულია საბჭოთა მოქალაქის კონსტიტუციურ მოვალეობად.

ახალ კონსტიტუციაში არის კიდევ ერთი სიახლე, რომელიც სოციალისტური კანონიერების პრინციპიდან გამომდინარეობს. ეს არის უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომელიც კონსტიტუციის 160-ე მუხლშია მოცემული. „არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად".[6]

თვით უდანაშაულობის პრეზუმფცია ემყარება სისხლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოების პროგრესულ წესს, რაც უზრუნველყოფს კანონიერების განმტკიცების დამატებით გარანტიას. ასეთია, მაგალითად, წესი, რომლის მიხედვითაც: ყოველგვარი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება, გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება ემყარებოდეს ვარაუდს, მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს, ბრალდებული არ არის მოვალე ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა.

სოციალისტური კანონიერების პრინციპის განუხრელ დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. კონსტიტუციაში ერთმანეთთან ორგანულად არის დაკავშირებული კანონიერებისა და მართლმსაჯულების ცნებები. სასამართლოში კანონიერების უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის იმ დებულებას, რომ მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან. კანონიერების უზრუნველყოფის საქმეს ემსახურება აგრეთვე სპეციალური სასამართლოების გაუქმება. ახლა სსრ კავშირში მართლმსაჯულებას ახორციელებს მარტოოდენ სასამართლო, რომლის ყველა რგოლი იქმნება მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობის საფუძველზე. კანონიერების განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციით გამოცხადებულ პრინციპს სასამართლოს შემადგენლობის თანასწორობის შესახებ. სახალხო მსაჯულებს მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოსამართლის ყველა უფლება აქვთ. ახალი კონსტიტუცია ადგენს აგრეთვე სასამართლოებში საქმის განხილვის ისეთ დემოკრატიულ პრინციპებს (სასამართლოში საქმის ღიად გარჩევა, ბრალდებულისათვის დაცვის უფლების უზრუნველყოფა, ბრალდებულისათვის იმ უფლების მინიჭება, რომ გამოვიდეს დედაენაზე, ყველა მოქალაქის თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე და სხვა), რომლებიც კანონიერების განმტკიცების ინტერესებს ემსახურება. ამავე მიზნით არის დაწესებული ამრჩევი ორგანოების წინაშე მოსამართლეთა და მსაჯულთა ანგარიშგება და კანონით დადგენილი წესით მათი ვადამდე გაწვევა.

კონსტიტუციის 162-ე მუხლის მიხედვით, „სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოწარმოებაში დასაშვებია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობა".[7] საზოგადოებრიობის წარმომადგენლები სასამართლოში მონაწილეობენ როგორც პროცესის სრულუფლებიანი მხარეები. გარ-

---

[5] იქვე, გვ. 19.

[6] სსრ კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), „საბჭოთა საქართველო", თბ., 1977, გვ. 63.

[7] სსრ კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), „საბჭოთა საქართველო", თბ., 1977. გვ. 63.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმისა, რომ ამ ინსტიტუტებს დიდი მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების და კანონიერების განხორციელებისათვის, ამავე დროს მათ დიდი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს.

ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ შემოქმედებითად განვითარდა საბჭოთა სამართალი და კანონმდებლობა. ხუთი წლის მანძილზე სსრ კავშირის ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანომ — სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ბევრი უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტი, მათ შორის კანონები სსრ კავშირის პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოს, არბიტრაჟის, ადვოკატურის შესახებ და სხვა, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ფუნქციები აქვს დაკისრებული კანონიერების განმტკიცებაში პროკურატურის ორგანოებს. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის 164-ე მუხლის მიხედვით, ყველა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ კანონების ზუსტი შესრულებისადმი უმაღლეს ზედამხედველობას ახორციელებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები. პროკურატურა თავის ამ ფუნქციებს ახორციელებს საერთო ზედამხედველობის საშუალებით, მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების საქმიანობისადმი ზედამხედველობის ფორმით, სასამართლოებში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის კანონიერებისადმი ზედამხედველობის და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კანონიერების დაცვის ზედამხედველობის მეშვეობით. კანონის შესაბამისად პროკურატურას უფლება აქვს დამნაშავე პირებს პასუხი აგებინოს დისციპლინარული, ადმინისტრაციული, მატერიალური ანაზღაურების ან სისხლისსამართლებრივი წესით.

კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები, რომელთა ფუნქციები ახალი კონსტიტუციით გაფართოვდა და დაიხვეწა. დიდი როლი აკისრია ამ დარგში აგრეთვე სამრეწველო და სოფლის მეურნეობის საწარმოებში მოქმედ იურიდიულ სამსახურს, რომელიც ბოლო წლებში დიდ როლს ასრულებს სამეურნეო და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებაში.

ამჟამად რესპუბლიკის სამართალდაცვის ორგანოების მთელი საქმიანობა უნდა დაექვემდებაროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მიერ მიღებული სასურსათო პროგრამის შესრულებას, ახლად შექმნილი აგროსამრეწველო კომპლექსების ნორმალური საქმიანობის სამართლებრივ უზრუნველყოფას. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეთერთმეტე ხუთწლედით გათვალისწინებული კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა შესრულებისათვის.

სიმბოლურია, რომ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის 5 წლისთავის აღნიშვნა დაემთხვა საბჭოთა ხალხის ორ დიდ დღესასწაულს — ოქტომბრის რევოლუციის 65 წლის იუბილეს და სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს. საბჭოთა ადამიანები კანონიერი სიამაყით აღნიშნავენ ამ უმნიშვნელოვანეს თარიღს, რომელიც გასხივოსნებულია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით. ეჭვი არ არის, რომ პარტია, კომუნისტური იდეალების ერთგული საბჭოთა ხალხი ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ ქვეყნის ძირითადი კანონი კონსტიტუციური დებულებანი მტკიცედ დამკვიდრდეს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამის გარანტიაა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობის დარგში კომუნისტური პარტიის როლის შემდგომი ამაღლება, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფა, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მისი მზადყოფნა ყველაფერი იღონოს კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

# საბჭოთა საქართველო სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში

შლ. ჩერქვილაძე

დიდმა ოქტომბერმა, მეოცე საუკუნის მთავარმა მოვლენამ, სამუდამოდ გაათავისუფლა რუსეთის იმპერიის მშრომელები სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან, შეუქმნა მათ სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფართო შესაძლებლობანი, ძირეულად შეცვალა მსოფლიო განვითარების მთელი მსვლელობა, უჩვენა ყველა ქვეყნის ხალხებს სოციალური პროგრესის გზა.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს მუშათა კლასმა, მშრომელმა გლეხობამ, პროგრესულმა ინტელიგენციამ საბჭოთა რუსეთისა და მისი წითელი არმიის ძმური დახმარებით 1921 წლის 25 თებერვალს ცხარე ბრძოლაში დაამხეს მენშევიკური მთავრობა და საბჭოთა ხელისუფლების დროშა ააფრიალეს თბილისზე. ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია სწრაფად ვრცელდებოდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. 4 მარტს საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა აფხაზეთში, 5 მარტს — სამხრეთ ოსეთში, 18 მარტს — აჭარაში.

საქართველოს კომუნისტები განუხრელად ხელმძღვანელობდნენ ვ. ი. ლენინის დირექტივებითა და ბრძნული მითითებებით, რომლებიც ეხებოდა სოციალისტური მშენებლობის, საწარმოო ძალების სწრაფი აღმავლობის, მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებს, საგარეო პოლიტიკის პრობლემებს. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობას, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხის სწორად გადაწყვეტას. საქართველოს სსრ და აფხაზეთის სს რესპუბლიკის ურთიერთობას აწესრიგებდა 1921 წლის დეკემბერში დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულება. საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით საქართველოს შემადგენლობაში შეიქმნა აჭარის ავტონომიური სს რესპუბლიკა, ხოლო 1922 წლის აპრილში — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

1922 წლის 25 თებერვალს გაიმართა სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა, რომელმაც მიიღო საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუცია და ამით კანონმდებლურად განამტკიცა საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობა საქართველოში.

კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის მოსპობამ, ყველა ერის სუვერენობისა და თანასწორუფლებიანობის დაკანონებამ, წინათ ჩამორჩენილი ხალხებისადმი რუსეთის მუშათა კლასის უანგარო დახმარებამ ხელი შეუწყო საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა გამაერთიანებელი მოძრაობის გაფართოებას, რომელიც მიმდინარეობდა დიდ რუს ხალხთან ძმური თანამშრომლობისა და მჭიდრო სახელმწიფოებრივი კავშირის დამყარების ლოზუნგით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენ გვსურს ერების ნ ე ბ ა ყ ო ფ ლ ო ბ ი თ ი კავშირი,— აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებდა ერთი ერის არავითარ ძალმომრეობას მეორე ერისადმი, — ისეთი კავშირი, რომელიც დამყარებული იქნებოდა სრულ ნდობაზე, ძმური ერთიანობის ნათელ შეგნებაზე, სავსებით ნებაყოფლობითს თანხმობაზე"[1]. თანასწორუფლებიანი სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკების ასეთი ნებაყოფლობითი კავშირი შეიქმნა 1922 წლის 30 დეკემბერს, რომლის მესამოცე წლისთავს ზეიმით აღნიშნავს მიმდინარე წლის დეკემბერში ჩვენი დიადი სამშობლო, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ეს იყო დიდი ოქტომბრის საქმის უშუალო განგრძობა, ვ. ი. ლენინის იდეების ცოცხალი განსახიერება, პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელება. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა ჩვენი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის, მათი ეკონომიკისა და კულტურის ნამდვილი აყვავებისათვის.

ჩვენი ქვეყნის ხალხები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ სწორედ ერთიან კავშირად დარაზმვას შეეძლო განემტკიცებინა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, დაეჩქარებინა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. ამას მკაფიოდ მოწმობს ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ყოველწლიური ზრდა. სსრ კავშირის წილი მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში 1922 წელს ერთი პროცენტიდან ოც პროცენტამდე გადიდდა.

„ისტორიამ არ იცის სახელმწიფო,— ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ,— რომელსაც უმოკლეს დროში იმდენი რამ გაეკეთებინოს ერთა და ეროვნებათა ყოველმხრივი განვითარებისათვის, რამდენიც გააკეთა სსრ კავშირმა — ყველა ჩვენი ხალხის სოციალისტურმა სამშობლომ... ხალხთა მეგობრულ ოჯახში დინამიკურად ვითარდება ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკა. თანამედროვე მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, კულტურის ნამდვილად აყვავება — აი რა ახასიათებს დღეს თითოეულ მათგანს. ამავე დროს მათ აქვთ განუმეორებელი სახე, თავისებური ეროვნული ნიშნები"[2].

სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში საბჭოთა საქართველომ მიაღწია თავისი ეკონომიკისა და კულტურის ნამდვილ აყვავებას.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის ბრძოლაში რესპუბლიკის მშრომელებს ფასდაუდებელი დახმარება აღმოუჩინა საბჭოთა რუსეთმა. სწორედ მისი ძმური, უანგარო დახმარების შედეგად საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლებში დაიწყო მსხვილი სამრეწველო საწარმოებისა და მათ შორის საქართველოს ენერგეტიკის პირმშოს—ზაჰესის მშენებლობა. მალე ქუთაისში ამუშავდა მაუდის ფაბრიკა, რომლის მოწყობილობა საქართველოს მშრომელებს გამოუგზავნეს მოსკოველმა მუშებმა. უკვე 1925-1926 სამეურნეო წლის დამლევისათვის მიღწეულ იქნა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ომამდელი დონე, აღდგენილ იქნა ტრანსპორტი. 1925 წლისათვის ნათესმა ფართობმა 1913 წლის დონეს გადააჭარბა.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 30, გვ. 348.

[2] საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 19 თებერვლის დადგენილება. თბილისი, 1982, გვ. 5-6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმ-
ნისა და კულტურული რევოლუციის ლენინური გეგმის განხორციელების შედე-
გად ძირეულად შეიცვალა ჩვენი რესპუბლიკის სახე, მისი ეკონომიკა და
კულტურა. სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის შეს-
რულებით საქართველო ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად გადაიქცა. 1940
წელს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 1913 წლის დონეს
10,2-ჯერ აღემატებოდა, მძიმე მრეწველობის პროდუქცია — 26,0-ჯერ. ამას-
თან რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციის 80 პროცენტზე მეტი
ახლად შექმნილი სამრეწველო საწარმოების წილად მოდიოდა.

სოციალიზმის მშენებლობის წლებში ძირეულად შეიცვალა სახე ქართველი
ხალხისა, რომელიც რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აყვავების შე-
დეგად საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც სოციალისტური ერი.

ერთიანმა და მძლავრმა საკავშირო სახელმწიფომ ჩვენი ქვეყნის ხალხებს
ყველა პირობა შეუქმნა უმოკლეს ისტორიულ ვადაში დაეძლია რევოლუციამ-
დელი წარსულისაგან მემკვიდრეობად მიღებული ეკონომიკური და კულტუ-
რული ჩამორჩენილობა და გადაექცია თავისი სამშობლო მძლავრ სოციალის-
ტურ სახელმწიფოდ. მოძმე ხალხები ერთმანეთის მხარდამხარ აღდგნენ სამ-
შობლოს დასაცავად დიდი სამამულო ომის წლებში.

საქართველოს მშრომელებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს ფაშისტურ
გერმანიაზე საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებაში. რესპუბლიკის სახელო-
ვანმა შვილებმა ომის წლებში გვიჩვენეს მამაცობისა და გმირობის შესანიშ-
ნავი ნიმუში, ცხადყვეს ლენინური პარტიისადმი, სოციალისტური სამშობლო-
სადმი უსაზღვრო ერთგულება და თავდადება. საქართველოდან სამამულო ომ-
ში მონაწილეობდა 700 ათასამდე კაცი, აქედან თითქმის ნახევარი გმირულად
დაეცა ბრძოლის ველზე საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკი-
დებლობის დაცვისას. საქართველოდან წარგზავნილთა შორის 164 კაცს საბ-
ჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა, ხოლო 280 ათასი კაცი სსრ
კავშირის საბრძოლო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა.

ომის შემდგომ პერიოდში მთელმა საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარ-
ტიის ხელმძღვანელობით უმაგალითო შრომითი მამაცობა გამოიჩინა სახალხო
მეურნეობის უმოკლეს ვადაში აღდგენისა და შემდგომი განვითარების საქ-
მეში. ამ დიდ შრომით ეპოპეაში, რომელიც გასაოცარი შთამბეჭდავი ძალით
გადმოსცა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის შესანიშნავ წიგნში „აღორძინება", სრულად
გამოვლინდა ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა მეგობ-
რობა, მათი დიადი აღმშენებლობითი ენერგია, შემოქმედებითი ნიჭი.

ომის შემდგომ პირველ ხუთწლედში ძირითადად დამთავრდა ინდუსტრიის
ისეთი გიგანტის მშენებლობა, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული ქარ-
ხანა. მალე მწყობრში ჩადგა ქუთაისის საავტომობილო, ელექტრომექანიკური,
ლითოფონის ქარხნები, გორის ბამბეულის კომბინატი, რუსთავის ქიმიური და
თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხანა. 60-იანი წლების დამდეგისათვის რეს-
პუბლიკის ინდუსტრიულ განვითარებაში გაჩნდა ახალი დარგები: ელექ-
ტროტექნიკური, ხელსაწყოთსაშენებელი, ქიმიური მრეწველობა. 1966 წლი-
დან მუშაობს თბილისის მეტროპოლიტენი, 1967 წლის დამდეგიდან შეიქმნა
საქართველოს საზღვაო სანაოსნო.

რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების შედეგად სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგი მრეწველობა გახდა. საქართველოში ფართოდ განვითარდა შავი და ფერადი მეტალურგია, [illegible] ლობა, ლითონდამუშავება, ჩარხთმშენებლობა, მანგანუმის, ქვანახშირის, ელექტროენერგეტიკული, ელექტროტექნიკური, ქიმიური, კვებისა და მსუბუქი მრეწველობა. მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ექსპლოატაციაში შესვლამ გაზარდა ფერადი მეტალურგიის მნიშვნელობა რესპუბლიკის მრეწველობის სტრუქტურაში. სათბობი მრეწველობის დაჩქარებული ტემპით განვითარებას ხელი შეუწყო ნავთობის ახალი საბადოების აღმოჩენამ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში.

მეათე ხუთწლედში საექსპლოატაციოდ გადაეცა ენგურჰესი — მსოფლიო პრაქტიკაში უნიკალური ნაგებობა, რომელიც ყველაზე დიდია ამიერკავკასიაში. წარმატებით ვითარდება რესპუბლიკის მრეწველობის ახალგაზრდა დარგები — ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მცირე მექანიზაციის საშუალებათა საწარმოო სიმძლავრეების შექმნა.

ამჟამად საქართველო აწარმოებს მძლავრ სამაგისტრალო ელმავლებს, სატვირთო ავტომობილებს, მცირეგაბარიტიან ტრაქტორებს, წყალქვეშაფრთიან კატარღებს, ელექტროძრავებს, კოშკურა ამწეებს, რთულ ლითონსაჭრელ ჩარხებს, ზუსტ ხელსაწყოებს, საანგარიშო-გამომთვლელ მანქანებს, არტეზიულ ტუმბოებსა და მიწასაწოვ დანადგარებს, თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, მანგანუმსა და ფეროშენადნობებს, საშენ მასალებსა და პლასტმასის ნაწარმს, აგრეთვე კვებისა და სახალხო მოხმარების სხვა ფართო ასორტიმენტის საქონელსა და ბევრ სხვა პროდუქციას.

მძლავრ თანამედროვე ინდუსტრიასთან ერთად რესპუბლიკაში განვითარდა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრულიად ახალი დარგები. ახლა ჩვენი რესპუბლიკის წილად მოდის სსრ კავშირში წარმოებული მთელი ბაიხაო ჩაის 97 პროცენტი, ფილა ჩაის 100 პროცენტი, ღვინომასალის 10-12 პროცენტი, მინერალური წყლების მეოთხედი, ქვეყანაში წარმოებული მთელი ტუნგის ზეთი.

მეათე ხუთწლედის წარმატებით შესრულებამ მყარი იმპულსი მისცა სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების საერთო-საკავშირო დონესთან მიახლოებას. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქციის წარმოების მოცულობა გადიდდა 42 პროცენტით, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოების საშუალო წლიური მოცულობა მეცხრე ხუთწლედთან შედარებით 34 პროცენტით გაიზარდა, ყურძნის საშუალო წლიური მოსავლიანობა — 43, მწვანე ჩაის ფოთლისა — 44 პროცენტით.

დღენიადაგ იზრდება რესპუბლიკის წვლილი საერთო დოვლათში. მეცხრე და მეათე ხუთწლედების მანძილზე მრეწველობის პროდუქციის წარმოება გაორკეცდა, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა. მეათე ხუთწლედის დავალებები ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ვადამდე შესრულდა. ბოლო ათწლეულში რესპუბლიკის ეკონომიკა თავისი გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარების ტემპის მიხედვით წინ უსწრებდა საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

„თქვენი მიღწევები, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა საზეიმო სხდომაზე თბილისში, — რესპუბლიკის ასიათასობით მშრომელის შეუპოვარი მუშაობის შედეგია. ეს აგრეთვე შედეგია იმ ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობისა, რომელსაც ეწევიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის ბიურო და მისი მეთაური ამხანაგი შევარდნაძე, რომლის ენერგია, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა და პრინციპულობა ყველამ კარგად ვიცით და ვაფასებთ“[3]

საბჭოთა საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის მკვეთრ ამაღლებასა და იმ პოზიტიურ პროცესებს, რომლებიც რესპუბლიკაში დაიწყო, სათავე დაუდო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილებამ, რომლის ათი წლისთავი ფართოდ აღინიშნა ჩვენს რესპუბლიკაში. მან დასაბამი მისცა პარტიული ორგანიზაციების უკომპრომისო ბრძოლას ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, სწორი საკადრო პოლიტიკისათვის, რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური კლიმატის შექმნისათვის.

რესპუბლიკის კომუნისტების მიზანსწრაფული საქმიანობა მოიწონა სკკპ XXVI ყრილობამ, შემდეგ კი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებამ, რომელშიც მაღალი შეფასება ეძლევა საქართველოს კომპარტიის საქმიანობას მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მაღალი იდეური და ზნეობრივი პრინციპების დამკვიდრებისათვის.

სკკპ XXVI ყრილობამ აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა საქართველომ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპის მნიშვნელოვან ზრდას მიაღწია. რესპუბლიკის წარმატებები განპირობებულია ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პირადად ლ. ი. ბრეჟნევის სისტემატური დახმარებითა და ზრუნვით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივლისის დადგენილებაში „სსრ კავშირის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ ნათქვამია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი იუბილესათვის მოსამზადებლად პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელ მუშაობას წარმართავს მშრომელთა დასარაზმავად პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებების, 1982 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის. პარტიული კომიტეტები ისწრაფვიან „დაამკვიდრონ დადებითი შედეგები, რომლებიც რესპუბლიკაშია მიღწეული პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, პარტიული ხელმძღვანელობისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე სკკპ ცენტრა-

---

[3] ლ. ი. ბრეჟნევი. სიტყვა საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, თბილისი, 1981, გვ. 6.

ლური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მომდევნო გადაწყვეტილებების რეალიზაციის პროცესში, ყურადღებას არ აკლებენ იმ მითითებებისა და რეკომენდაციების განხორციელებას, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა რომ გამოთქვა 1981 წელს საქართველოში მოგზაურობის დროს“[4].

საზოგადოებრივი წარმოების დაჩქარებულმა და დინამიკურმა განვითარებამ ხელი შეუწყო მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას. ეს უწინარეს ყოვლისა გამოიხატა ეროვნული შემოსავლის და მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების განუხრელი ზრდით. მარტო უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით გადიდდა 58 პროცენტით. ამავე პერიოდში მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების ერთობლივი შემოსავალი, ესე იგი ოჯახის ბიუჯეტი, გაიზარდა 1,4-ჯერ, ხოლო კოლმეურნეთა ოჯახებისა — 1,7-ჯერ. გასულ ხუთწლედში ჩვენს ქვეყანაში რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 17 პროცენტით, მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი — 15, ხოლო კოლმეურნეთა შემოსავალი საზოგადოებრივი მეურნეობისაგან — 26 პროცენტით, საქართველოში კი ამ მაჩვენებლებმა შესაბამისად შეადგინა 25, 22 და 51 პროცენტი. თუ 1970 წელს რესპუბლიკის მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან უფასო და შეღავათიანი მომსახურების სახით მიიღო მილიარდ 17,4 მილიონი მანეთი, 1980 წელს ამ ფონდმა შეადგინა მილიარდ 861,8 მილიონი მანეთი. ათი წლის წინათ ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები შეადგენდა 216 მანეთს, ხოლო 1980 წელს — 368 მანეთს.

მეათე ხუთწლედში რესპუბლიკაში აშენდა 5,5 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რამაც საშუალება მოგვცა ქალაქის ერთ მცხოვრებზე საცხოვრებელი ბინების მატების ტემპის მხრივ 1980 წელს საბჭოთა კავშირში მესამე ადგილზე გამოვსულიყავით, მაშინ როცა 1974 წელს მე-14 ადგილზე ვიყავით. ამავე პერიოდში საბინაო პირობები გაიუმჯობესა 680 ათასზე მეტმა კაცმა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი რესპუბლიკა გადაიქცა კურორტების მხარედ, საკავშირო ჯანმრთელობის კერად. ახლა რესპუბლიკაში მოქმედებს 360 სანატორიუმი და დასასვენებელი დაწესებულება. განვლილი ექვსი ათწლეულის მანძილზე ჩვენი კურორტებისა და ტურიზმის ობიექტების მომსახურებით ისარგებლა 150 მილიონზე მეტმა კაცმა.

მხოლოდ სოციალისტურმა რევოლუციამ შეუქმნა ქართულ კულტურას განვითარებისა და აყვავების ყველა პირობა.

ლ. ი. ბრეჟნევმა შარშან თბილისში ყოფნისას აღნიშნა: „ძნელი იყო საქართველოს ისტორიული სვე-ბედი. საუკუნეთა მანძილზე განიცდიდა იგი უცხოელ დამპყრობთა შემოსევებს, რომლებიც აჩანაგებდნენ ქვეყანას, მაგრამ თქვენი წინაპრების თაობები კავკასიონის კლდესავით მტკიცენი აღმოჩნდნენ. მათ დაიცვეს დამოუკიდებლობა, შექმნეს და შეინარჩუნეს თავისთავადი მრავალმხრივი უნიკალური ეროვნული კულტურა. ამაში სასიკეთო როლი შეას-

[4] გაზ. „კომუნისტი“, 1982 წლის 20 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულა რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითმა შეერთებამაც, დიდ რუს ხალხთან მეგობრობამ, საუკუნეთა მანძილზე რომ ღრმავდებოდა“[5].

Rუს და ქართველ ხალხებს შორის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 1783 წელს ხელმოწერილ გეორგიევსკის ტრაქტატს, რომლის საფუძველზე საქართველო შევიდა რუსეთის მფარველობაში. ეს იყო საეტაპო მიჯნა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ამ აქტით საქართველომ სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედ-იღბალი რუს ხალხს. ამიტომ 1983 წელს საბჭოთა საქართველო დიდი ზეიმით აღნიშნავს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. ეს იქნება არა ორი დინასტიის კავშირის წლისთავი, არამედ რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის იუბილე.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების კულტურასთან მჭიდრო ურთიერთობის შეოხებით შეინარჩუნა ქართულმა კულტურამ თავისი ეროვნული ფორმა, შეიძინა ინტერნაციონალისტური შინაარსი და გახდა ხალხის ნამდვილი კუთვნილება.

საქართველოში ყოველი ათასი კაციდან 598-ს უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს. თუ 1914-1915 წლებში აქ მხოლოდ 40 საშუალო სკოლა იყო, ამჟამად 4.200 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მილიონამდე მოსწავლე იძენს საშუალო განათლებას. 91 საშუალო სპეციალურ სასწავლებელსა და 146 საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებელში პროფესიებს ეუფლება 140 ათასამდე მოსწავლე. 19 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 86 ათასამდე სტუდენტი. მეათე ხუთწლედში სოხუმში გაიხსნა აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი გადავიდა საშუალო განათლებაზე პროფესიულ-ტექნიკური სწავლების სისტემაში.

Rესპუბლიკაში მასობრივი ტირაჟებით გამოდის წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, ალმანახები ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე, ხოლო ცალკეული გამოცემები უცხო ენებზეც. ახლა აქ ყოველწლიურად გამოდის 2.300-ზე მეტი დასახელების წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი 17 მილიონ ეგზემპლარს აღემატება.

ქართველმა მკითხველმა დიდი ხანია მშობლიურ ენაზე მიიღო ვ. ი. ლენინის თითქმის ყველა ნაშრომი, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ძირითადი ნაწარმოებები. ამჟამად გამოსაცემად მზადდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებული. დიდი ტირაჟით გამოდის ლ. ი. ბრეჟნევისა და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა შრომები. ხორციელდება მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების 80-ტომეულის გამოცემა ქართულ ენაზე. გამოვიდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რამდენიმე ტომი. ახლა რესპუბლიკას აქვს 141 გაზეთი, 80 ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემა, რომელთა საერთო ტირაჟმა 621 მილიონ ეგზემპლარს გადააჭარბა. მშრომელთა გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება 4.169 მასობრივი ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნადი ფონდი 37 მილიონს აღემატება, 2.558 საკლუბო დაწესებულება, 105 მუზეუმი, 45 კულტურისა და დასვენების პარკი, 2.054 კინოდანადგარი.

---

[5] ლ. ი. ბრეჟნევი. სიტყვა საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე. გვ. 3.

ახალ შემოქმედებითს წარმატებებს მიაღწია ფორმით ეროვნულმა, შინაარსით სოციალისტურმა, თავისი სულისკვეთებით და ხასიათით ინტერნაციონალისტურმა ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ. ქართველი მწერლების, მხატვრების, კინემატოგრაფისტების, კომპოზიტორების, თეატრალური მოღვაწეების შემოქმედება აღინიშნა ლენინური, სახელმწიფო და სხვა საკავშირო და რესპუბლიკური პრემიებით. ქართულ რომანს პირველად მიენიჭა ლენინური პრემია. საბჭოთა საქართველოს კულტურას სახელი გაუთქვეს თეატრალურმა, მუსიკალურმა და საესტრადო კოლექტივებმა, ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლებმა. ბევრი საკავშირო და საზღვარგარეთული ჯილდო მოიპოვეს ქართულმა ფილმებმა. ყალმისა და საჭრეთლის ოსტატთა ნაწარმოებები ფართოდ არის ექსპონირებული მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ჩვენი მხატვრები და კომპოზიტორები, როგორც ეს აღინიშნა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე, წარმატებით ასახავენ ჩვენი დროის ჰეროიკასა და ადამიანებს. შეიქმნა ახალი შემოქმედებითი კოლექტივები, ანსამბლები. კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ფესტივალები, კონკურსები, გასტროლები, ლიტერატურისა და ხელოვნების დღესასწაულები.

„საბჭოთა კავშირში, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, — დიდად აფასებენ და უყვართ ქართული ხელოვნება — საბჭოთა კულტურის ერთ-ერთი მძლავრი ნაყოფიერი ნაკადი. ქართული მუსიკა, პოეზია, თეატრი, კინო ამდიდრებენ საბჭოთა ადამიანების შინაგან სამყაროს, მოუწოდებენ მათ სიკეთისათვის, ნათელი იდეალებისათვის, აღანთებენ საბრძოლველად ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ბედნიერ, სიხარულით აღსავსე ცხოვრებას“[6].

საყოველთაო აღიარება მოიპოვეს რესპუბლიკის მეცნიერებმა ზოგიერთი მათგანი საზღვარგარეთის აკადემიებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების წევრია. მათ ეკუთვნით ბევრი უთვალსაჩინოესი აღმოჩენა. რესპუბლიკის მეცნიერთა მიერ შესრულებული მთელი რიგი გამოკვლევების შედეგები ფართოდ დაინერგა რესპუბლიკის და ქვეყნის სახალხო მეურნეობის დარგებში. მსოფლიოში ცნობილია მათემატიკოსთა და მექანიკოსთა, ფიზიოლოგთა, ფიზიკოსთა, გეოლოგთა, გეოფიზიკოსთა, ენათმეცნიერთა ,ისტორიკოსთა, აღმოსავლეთმცოდნეთა მეცნიერული სკოლები, რომლებიც სამამულო მეცნიერების სიამაყეს წარმოადგენენ.

ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის საბჭოთა საქართველო დაჯილდოებულია ორი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებით. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის რესპუბლიკა ყოველწლიურად ბოლო ცხრა წელია ჯილდოვდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. რესპუბლიკის მშრომელთა მიერ მოპოვებულმა წარმატებებმა ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში თავისი საკანონმდებლო განმტკიცება პოვა საქართველოს სსრ ახალ, მეოთხე კონსტიტუციაში, რომელიც მიღებულ იქნა 1978 წლის 15 აპრილს.

ლენინური პარტია თანამიმდევრულად ახორციელებს ჩვენი ქვეყნის ყვე-

[6] ლ. ი. ბრეჟნევი. ლენინური კურსით, ტ. 3, გვ. 376.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის აყვავების, მათი ძმური მეგობრობის და თანდათანობით დაახლოების კურსს, რომელიც მომწიფებული სოციალიზმის პირობებში ეროვნულ ურთიერთობათა განვითარების გენერალური მიმართულებაა.

„ჩვენი კურსია,— აღინიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე,— გავზარდოთ თითოეული რესპუბლიკის მატერიალური და სულიერი პოტენციალი და ამასთანავე მაქსიმალურად გამოვიყენოთ იგი მთელი ქვეყნის ჰარმონიული განვითარებისათვის“[7].

Საბჭოთა საქართველოს სახელოვანი ისტორია არის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის, სოციალისტური ცხოვრების წესის, საბჭოთა დემოკრატიის დიადი პრინციპების პრაქტიკულად განხორციელების მკაფიო მაგალითი. უკანასკნელ ათწლეულში საქართველოს კომპარტია მტკიცე, მეცნიერულ საფუძველზე უძღვებოდა რესპუბლიკაში ერთაშორისი ურთიერთობის საკითხებს. მან დასახა და განახორციელა ქმედითი ღონისძიებანი რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. დღეს საბჭოთა საქართველოში ჭეშმარიტად ინტერნაციონალური მუშაობის ატმოსფერო სუფევს. ქართველები და რუსები, აფხაზები და ოსები, სომხები და აზერბაიჯანელები, ბერძნები, ქურთები, ებრაელები და მრავალი სხვა ეროვნების მშრომელები ერთმანეთის მხარდამხარ იღწვიან რესპუბლიკის, მთელი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ. ერთაშორის ურთიერთობის განვითარებისა და ძმური მეგობრობის განმტკიცების გამოცდილება, რომელიც საქართველოს კომპარტიამ სამოცდაათიან წლებში შეიძინა, კიდევ ერთი დამაჯერებელი დასტურია იმისა, თუ რამდენ სწორია სკკპ ლენინური ეროვნული პოლიტიკა.

ცხოვრებამ უცილობლად ცხადყო. რომ ეროვნული ურთიერთობის სფეროს სწორი პარტიული ხელმძღვანელობა მრავალეროვანი სოციალისტური საზოგადოების პროგრესის განმსაზღვრელი პირობაა. ლენინური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ნიადაგ ზრუნავენ სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და ერთიანობის ყოველმხრივი განმტკიცებისათვის, შემოქმედებითად ავითარებენ ლენინურ მოძღვრებას ეროვნულ საკითხზე.

უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა ქმედითი ღონისძიებანი დედაენის სწავლების გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკის სკოლებში. საქმე ეხება არა მარტო ქართული ენის, არამედ ყველა იმ ენის (აფხაზური, ოსური, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული ენების) სწავლების გაუმჯობესებას, რომლებზეც ასწავლიან სკოლებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ მიიჩნია რუსული ენის — ერთა შორის ურთიერთობის ენის სწავლების ძირეულად გაუმჯობესება. იგი დღენიადაგ ზრუნავს იმისათვის, რომ დედაენასთან ერთად რესპუბლიკის ყოველმა მცხოვრებმა კარგად იცოდეს რუსული ენა, ჩვენი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ძმობის ენა, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ენა, რომლის მეშვეობით

---

7 სკკპ XXVI ყრილობის მასალები. თბილისი, 1981, გვ. 85.

ხელმისაწვდომი ხდება ყოველი ხალხის ეროვნული განძი, მსოფლიო ცივილიზაციის ნიმუშები.

ჩვენი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ძმური მეგობრობის საფუძველზე შეიქმნა საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა, რომლის წამყვანი ძალაა მუშათა კლასი. პირველად მხოლოდ საბჭოთა კავშირმა უზრუნველყო ყველა ერისა და ეროვნების არა მარტო იურიდიული, არამედ ფაქტობრივი თანასწორობა, რაც ჩვენში დაკანონებულია კონსტიტუციურად. შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა— საბჭოთა ხალხი, რომელიც შედუღაბებულია თავისი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ინტერნაციონალური ერთობით, მისი ძირეული ინტერესების, მიზნებისა და მსოფლმხედველობის ერთიანობით.

სსრ კავშირად გაერთიანებული ხალხების რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობის შედეგი გახდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება, რომელიც დღეისათვის სოციალური პროგრესის ყველაზე მაღალი საფეხურია და კომუნიზმის პირველი ფაზის ფარგლებში ხანგრძლივი ეტაპი იქნება.

ჩვენში კონსტიტუციურად დაკანონებულია, რომ ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა, მათ შორის საბჭოთა საქართველო, სსრ კავშირის — ერთიანი საკავშირო მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს სრულუფლებიანი წევრია, რომელმაც ნამდვილი ინტერნაციონალისტური, ძმური, მეგობრული ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მშრომელებთან. „ჩვენს ქვეყანაში ყველგან იციან საქართველო, — განაცხადა ლ. ი. ბრეჟნევმა საიუბილეო სხდომაზე თბილისში, — ეს არის დედამიწის თვალწარმტაცი კუთხე, სადაც ცხოვრობს გულღია ხალხი, ოდითგან რომ აფასებს კაცურ კეთილშობილებას, შთაგონებულ შრომას, მხედრულ ვაჟკაცობას და ერთგულ მეგობრობას“[8].

საბჭოთა საქართველოს მშრომელები ახალი ძალით და მტკიცე რწმენით ირაზმებიან ლენინური პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის, საერთო-საკავშირო დოვლათში თავისი წვლილის გადიდებისათვის.

---

[8] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. სიტყვა საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, გვ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17236

# სოციალისტური სამართლის სისტემაში შრომა-გასწორების სამართლებრივი ნორმების ადგილის შესახებ

ა. პაპუაშვილი,

თსუ იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის ასპირანტი

საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგება წარმოებს პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის მიზნით. „ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის გამოსვლაში ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლების წინაშე, — თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ორგანიზმის სწორად განვითარებისათვის ზუსტად დამუშავებულ კანონმდებლობას. განზოგადებული კონცენტრირებული ფორმით საბჭოთა კანონები გამოხატავენ ხალხის ნებას, პარტიისა და სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებას, უზრუნველყოფენ საზოგადოების წინსვლას გათვალისწინებული კურსით“[1].

თანამედროვე ეტაპზე სამართლებრივი ნორმების როლის პრობლემა მეტად აქტუალურია. დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური პროცესებით მათი განპირობებულობის საკითხების დამუშავებას, მათში გამოხატული ქცევის წესების ხასიათის გარკვევას, ახალი ნორმების შექმნისა თუ მოქმედის შეცვლის კანონზომიერებათა დადგენას. რაც შეეხება საკითხის პრაქტიკულ მხარეს, მას უწინარეს ყოვლისა განსაზღვრავს ის, რომ როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა სკკპ XXV ყრილობაზე, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების მიღებასთან დაკავშირებით საჭიროა განხორციელდეს საკანონმდებლო სამუშაოების ფართო პროგრამა, რომ მოქმედი სამართლებრივი აქტები შევუსაბამოთ კონსტიტუციის დებულებებს.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში სოციალისტური სახელმწიფოს საქმიანობას, რომელიც მიმართულია ნორმატიული იურიდიული აქტების დამუშავების, გამოცემისა და სრულყოფისაკენ. სამართალშემოქმედებითი საქმიანობა ეწოდება[2].

სოციალისტურ საზოგადოებაში მოქმედი სამართლებრივი ნორმები მრავალფეროვანია. ამის მიზეზია იმ მითითებების[3] სხვადასხვა ხასიათი, რაც მათში მოცემული. ა. ფ. შებანოვი[4], რომელიც ეთანხმებოდა რ. ა. მიცკევიჩს[5],

---

[1] ლ. ი. ბრეჟნევი. ლენინური კურსით, სიტყვები და სტატიები, ტ. III, თბ., ,1973, გვ. 53.

[2] **Алексеев С. С. Проблемы теории государства и права, М., 1979, стр. 252.**

[3] **Предписание — нормативное предписание. — 1)** მიწერილობა. **2)** წერილობითი ბრძანება. 3) დანაწესი. — იურიდიული ტერმინოლოგია. თბილისი 1963 წ., გვ. 218. ჩვენი აზრით ამ კონტექსტში მართებულია ეს ტერმინი ვთარგმნოთ და გამოვიყენოთ „ნორმატიულ მითითებად“.

[4] **Шебанов А. Ф. Форма Советского права, М., «Юридическая литература», 1968, стр. 97.**

[5] Мицкевич А. В. Акты высших органов Советского государства. М., «Юридическая литература», 1967, с. 32—33.



კ. მარქსის სახ. სახ. საჯ. ბიბ

მართებულად შენიშნავდა, რომ სამართლებრივი ნორმის შინაარსისათვის დამახასიათებელია მასში საზოგადოებრივი ქცევის წესების გამოხატვა. იგი ნორმის ძირითად ნიშნებად ასახელებს:

„...სამართლებრივი ნორმის სპეციფიკური კავშირის არსებობას სოციალისტურ სახელმწიფოსთან, რადგანაც როგორც სამართლებრივი ნორმების დადგენა, ისე მისი განხორციელების უზრუნველყოფა, შეუძლებელია სოციალისტური სახელმწიფოს გარეშე;

...არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობებით სოციალისტური სამართლებრივი ნორმის შინაარსის განპირობებულობას და ამ ურთიერთობებზე მისი უკუზემოქმედების მიზანშეწონილებას;

...საბჭოთა სამართლებრივი ნორმების საზოგადოებრივ ურთიერთობებზე უკუზემოქმედების ხერხს (მეთოდს), გამოხატულს იმ გარემოებათა მითითებით, რომელთა დროსაც ხორციელდება სამართლებრივი ნორმა.

ამ საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა სუბიექტურ უფლებებსა და მოვალეობებს, ამ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის სანქციებს;

„...საბჭოთა სამართლებრივ ნორმაში მოცემულ რეგულირებულ ურთიერთობათა სუბიექტების ქცევის წესების საერთო ხასიათს“[6].

ს. ს. ალექსეევი ამ პრობლემების განხილვისას აღნიშნავს, რომ სამართლებრივი ნორმისათვის დამახასიათებელია ინტელექტუალურ-ნებითი და იურიდიული შინაარსი. ინტელექტუალური მომენტი მოწმობს, რომ ნორმაში კანონმდებელმა გამოხატა საზოგადოებრივი ურთიერთობის იდეალური მოდელი. ნებითი მომენტი გამოხატავს კანონმდებლის ნებას, გაბატონებული იყოს ისეთი ქცევა, რომ ჩამოყალიბდებოდეს ის ურთიერთობა, რომლის მოდელიც დაპროგრამირებულია (ნაგულისხმევია). იურიდიული შინაარსი კი საზოგადოებრივი ურთიერთობის მოდელის სპეციფიკური გაფორმებაა მათი სუბიექტების უფლებებისა და მოვალეობების სახით[7].

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი ნორმა არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი და სანქციონირებული ზოგადი ხასიათის ქცევის წესების გაფორმება საზოგადოებრივი ურთიერთობის სუბიექტური უფლებებისა და მოვალეობების დადგენის სახით, რომლის არსებობითაც დაინტერესებულია სახელმწიფო.

ამასთან ერთად, პროფესორმა ს. ა. გოლუნსკიმ თავის დროზე გამოთქვა აზრი, რომ სავალდებულო არ არის სამართლებრივი ნორმა შეიცავდეს ქცევის წესებს. ნორმა შეიძლება მოცემული იყოს დეკლარაციის, რეკომენდაციის, მიმართვის, საგეგმო დავალების და საერთოდ დავალების სახით[8].

ს. ს. ალექსეევმა ეს საკითხი ახლებურად განიხილა, ამჯერად უკვე სახელმწიფოს მიერ გამოცემული აქტის ასპექტში. იგი აქტებს ყოფს ნორმატიულებად და არანორმატიულებად. პირველს განეკუთვნება აქტები, — განმარტავს ს. ს. ალექსეევი, — რომლებშიც სამართლებრივი ნორმებია მოცემული. ხოლო

---

[6] Шебанов И. Ф. Форма Советского права, М., «Юридическая литература», 1968, с. 99—105.

[7] Алексеев С. С. Проблемы теории права, т. 1, Свердловск, 1977.

[8] Голунский С. А. К вопросу о понятии правовой нормы в теории социалистического права, «Советское государство и право», 1961, № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არანორმატიულში სახელმწიფოს ინდივიდუალური ნებაა გამოხატული: დირექტივები, აქტები, რომლებშიც ფორმულირებულია საგეგმო დავალებები და ა. შ.

ს.ს. ალექსეევი შემდეგ ავითარებს ფრიად მნიშვნელოვან დებულებას: „სამართალში დაიწყო არა მარტო უმეტესწილად სპეციალიზებული ნორმატიული მითითებების განზოგადება, არამედ მოხდა მათი ღრმა იდეოლოგიური, იდეურ-თეორიული საწყისების დამოუკიდებელ ცალკე დებულებებად გამოყოფა. მათში ნათლად ვლინდება საბჭოთა სამართლის სოციალისტური ბუნება, მისი კავშირი მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიასთან“[9]

საინტერესო და ორიგინალური აზრი გამოთქვა სამართლებრივი ნორმების სახეთა თაობაზე ვ. მ. გორშენიოვმა. იგი აღნიშნავს, რომ ნორმატიულ მითითებას ვხვდებით უწინარეს ყოვლისა კლასიკური ტიპის სამართლებრივ ნორმაში. ამასთან ერთად სამართალში არსებობს ასევე არატიპური ნორმატიული მითითებაც. არატიპურ ნორმატიულ მითითებებს იგი აკუთვნებს: დეფინიციებს, ფიქციებს, პრეზუმფციებს, პრეიუდიციებს და სხვა. ვ. მ. გორშენიოვი ყველა არატიპურ ნორმატიულ მითითებებს მათი ნორმატიულობის ხარისხის მიხედვით ყოფს სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში იგი აერთიანებს შედარებით მაღალი ნორმატიულობის შემცველ მითითებებს. ამ ჯგუფის არატიპური ნორმატიული მითითებებია: საგეგმო დავალებები და პრეიუდიციები; მეორე ჯგუფში მოცემულია პრეზუმფციები და ფიქციები; მესამე ჯგუფში კი გაერთიანებულია დეფინიციები და იურიდიული კონსტრუქციები[10].

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ამჟამად საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ქცევის წესებისა და სხვა არატიპური ნორმატიული მითითებების არსებობა სამართლებრივ აქტებში დასაშვებია, უწინარეს ყოვლისა კი იმ ნორმატიული მითითებისა, რომლებიც გამოხატავს პოლიტიკის, იდეოლოგიის, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დებულებებს.

ეს დებულება მიესადაგება იურიდიული აქტების იმ მუხლებს, რომლებშიც ფორმულირებულია კანონმდებლობის ამოცანები, განსაზღვრულია სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციები, მოცემულია ცნებები.

სამართლებრივი ნორმის თეორიული განხილვის დროს ჩვეულებრივად ხაზს უსვამენ მასში საზოგადოებრივი ურთიერთობის მოდელის დადგენას. ამის განხორციელება კი შეიძლება ამ ურთიერთობის მონაწილეთა უფლებებით აღჭურვითა და სუბიექტური ვალდებულებების დაკისრების გზით. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ სამართლის დარგის ნორმებისათვის დამახასიათებელია საკუთარი რეგულირების საგნის არსებობა საზოგადოებრივი ურთიერთობის განსაზღვრული ერთობლიობის სახით. ამდენად შეიძლება დაისვას ნებისმიერი სამართლის დარგის სამართლებრივი ნორმების შინაარსის სპეციფიკურობის საკითხი. ამასთან, როგორც წესი, ეს სპეციფიკურობა სამართლებრივ ნორმას ანიჭებს სოციალურ შინაარსს, რომელიც თავისი ბუნებით შესაბამის საზოგადოებრივ ურთიერთობასთან არის დაკავშირებული.

---

[9] Алексеев С. С. Структура Советского права, М., «Юридическая литература», 1975, с. 87—88.

[10] Горшенев В. Н. Нетипичные нормативные предписания в праве, «Советское государство и право», 1978, № 3.

ყოველივე ამასთან ერთად სამართლებრივი ნორმა უნდა დარჩეს ნორმად, ე. ი. ქცევის წესად, რომელიც დადგენილია სახელმწიფოს მიერ, მასში გამოხატული საზოგადოებრივი ურთიერთობების სუბიექტების (მონაწილეთა) უფლებებისა და ვალდებულებების სახით. სოციალური მასალა უნდა ვეძებოთ არა იმაში, რომ არსებობს ნორმა-დეკლარაციები, მიმართვები, საგეგმო დავალებები და ა. შ., არამედ იგი მოცემული უნდა იყოს სუბიექტური უფლებისა და მოვალეობის შინაარსში, ახდენდეს გარკვეულ ზეგავლენას მათზე. ამით იგი განსაზღვრავს სამართლებრივი ნორმის შინაარსს.

სპეციფიკური შინაარსი ახასიათებს იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ ნორმებს, რომლებიც თავის მხრივ წარმოიქმნება დამნაშავეობასთან ბრძოლის სფეროში. კერძოდ, სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და შრომა-გასწორების სამართლის ნორმები.

ამოსავალი წერტილი სისხლის სამართლის ნორმებისათვის თვითონ მისი დანიშნულებაა. იგი სისხლის სამართლის ნორმატიულ მასალას გარკვეულ შინაარსს ანიჭებს. დიდი ხანია ტრადიციად არის ქცეული, რომ სისხლის სამართლის ნორმათა გაგება ხდება მათი სტრუქტურის თვალსაზრისით: ჰიპოთეზა (პრეზუმპცია), დისპოზიცია (დანაშაულის შემადგენლობა) და სანქცია (ჩადენილი ქმედობის შედეგი სასამართლოსადმი მიწერილი მიმართვის სახით — საერთო წესით სასჯელის ზომის შესახებ)[11]. ისმება კითხვა — სად არის აქ ნორმატიული მითითება, ქცევის წესი? თუ სისხლის სამართლის დანიშნულება სამართალდაცვითი ფუნქციის შესრულებაა, მაშინ დანაშაულის შემადგენლობა არ არის ქცევის წესი. ამ შემთხვევაში შეიძლება გავიზიაროთ ვ. ჯ. სმირნოვის შეხედულება, რომ წესი უმეტესწილად მოცემულია სანქციაში[12].

ამასთან, თუ სისხლის სამართლის ნორმებს გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ მათი უმრავლესობა ამა თუ იმ კონკრეტული ქმედობის დასჯადობას ადგენს. სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში შეიძლება აღმოვაჩინოთ ნორმები, რომლებიც ამ ტერმინის აზრის ზუსტი შესაბამისობით გაიგება, ნორმები აუცილებელი მოგერიებისა და უკიდურესი აუცილებლობის შესახებ. ეს შემადგენლობები მართლზომიერი ქცევის წესებს შეიცავენ ექსტრემალურ სიტუაციებში. არის მუხლები, რომლებშიც ფორმულირებულია ე. წ. არატიპური ნორმატიული მითითებები პოლიტიკური ხასიათის დებულებების სახით: სისხლის სამართლის კანონის ამოცანები, სასჯელის მიზნები. მთელი რიგი მუხლები ერთდროულად შეიცავს ნორმებსა და ცნებათა განმარტებებს. მაგალითად, მუხლები, რომლებშიც განმარტებულია სასჯელის სახეები და ამავე დროს ფორმულირებულია წესები, რომლებიც სასამართლომ უნდა დაიცვას სასჯელის დანიშვნის დროს; ასეთივეა ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს თანამონაწილეობას დანაშაულში, განზრახი დანაშაულის ჩადენის სტადიებს.

ამავე დროს შესაძლებელია შედარებით განსხვავებული, ვიდრე ზემოთ იყო მოცემული, მიდგომა სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ნორმათა შინაარსის შეფასებისას. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ საბჭოთა იურიდიულ

---

[11] «Курс советского уголовного права», Т, I, М., 1970, с. 180. Советское исправительно-трудовое право (общая часть), М., 1977. გ. ინწკირველი, სახ. სამ. თეორია, თბილისი, 1979, გვ. 263.

[12] Смирнов В. Г. Функции Советского уголовного права, Л., изд-во ЛГУ, 1965, с. 33—38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ნორმები საზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს საზოგადოებრივად საშიში ქცევის აკრძალვის განსაკუთრებული ფორმით. ისინი სასჯელის მუქარით ადგენენ ფარგლებს, რომელთა იქითაც აკრძალული ქცევებია, ამ თვალსაზრისით არის გაგებული სისხლის სამართლის კანონმდებლობის განსაკუთრებული ნაწილის ნორმათა დისპოზიცია. ითვალისწინებს რა იმას, თუ რა წარმოადგენს დანაშაულს, მოხაზავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროს, რომლის მიღმაც სახელმწიფოს საწინააღმდეგო არაფერი არა აქვს. ამავე დროს საჭიროა მხედველობაში გვქონდეს, რომ განსაზღვრული ქცევები, რომლებსაც არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ნორმები, შეიძლება მიჩნეულ იქნეს მართლსაწინააღმდეგოდ ადმინისტრაციული, შრომის, სამოქალაქო სამართლისა და სამართლის სხვა დარგების პოზიციებიდან.

სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ნორმათა სოციალური შინაარსი განისაზღვრება მათში ქცევის საზოგადოებრივი საშიშროების გამოხატვით და ზოგჯერ კი დანაშაულის სუბიექტითაც. საზოგადოებრივი საშიშროების შეფასება შეიცავს პოლიტიკურ და ზნეობრივ კრიტერიუმებს.

სისხლის სამართლის ნორმათა სოციალური შინაარსის შესახებ პროფესორმა ა. ა. გერცენზონმა გამოთქვა აზრი, რომ სოციოლოგია სისხლის სამართალში შეაღწევს კრიმინოლოგიის საშუალებით, რომელიც თავის მხრივ დამოუკიდებელი მეცნიერებაა და შედის სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მეცნიერებაში[13].

სისხლის სამართლის ნორმის სოციალური შინაარსი უწინარეს ყოვლისა მისი სოციალური განპირობებულობაა. სხვაგვარად, სისხლის სამართლის ნორმები გამოყენებულ უნდა იქნეს დამნაშავეობასთან ბრძოლაში საზოგადოების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. დანაშაულად, ცხადია, არ მიიჩნევა ყველა ის ქმედობა, რომელიც საზოგადოებრივად საშიშია[14], დანაშაულებრივი ქმედობის ნიშნები ამ ქმედობის სოციალურ არსს უნდა გამოხატავდეს. ისეთ დანაშაულს, როგორიც არის, მაგალითად, ძარცვა, საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება სხვადასხვა სოციალური ელერადობა ჰქონდეს.

სისხლის სამართლის პროცესის, შრომა-გასწორების სამართლის და სისხლის სამართლის ნორმები განსხვავებული ბუნებისაა[15]. რამდენადაც ისინი აწესრიგებენ შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა დასაშვებ ქცევას, ამდენად შეიცავენ ქცევის წესებს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ შრომა-გასწორების კანონმდებლობა შეიცავს როგორც მატერიალური, ისე პროცესუალური თვისებების ნორმებს[16]. ეს მთლიანად შეესაბამება. შრომა-გასწორების სამართლის, როგორც მთელ რიგ თავისებურებათა შემცველი მეცნიერების, მდგომარეობას[17]. სამართლის დარ-

---

13 Герцензон А. А. Уголовное право и социология, М., 1972.

14 თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, მოძღვრება დანაშაულზე, თბილისი, 1969, გვ. 41.

15 «Советское исправительно-трудовое право», М., 1977, с. 128—144.

16 Перков И. М. Соотношение материальных и процессуальных норм исправительно-трудового права в теории и практике исполнения уголовных наказаний, М., 1980, с. 21.

17 «Советское исправительно-трудовое право (общая часть)», М., Академия МВД СССР, 1977, с. 77—83.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გის დამოუკიდებლობისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ სამართლებრივი რეგულირების საგნის არსებობა. აქ საგულისხმოა ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც სახელმწიფოს მხრივ სამართლის მეშვეობით მოწესრიგებას საჭიროებს. მხოლოდ ამის გათვალისწინების შემდეგ უნდა ჩამოვაყალიბოთ ნორმათა სისტემა. აქედან სარწმუნოდ შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ აუცილებელია სამართლის დარგის განვითარებაში კომპლექსური პერიოდი, რის შემდეგაც იგი, მართალია დამოუკიდებელი ხდება, მაგრამ მაინც კიდევ არაა აბსოლუტური.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგზის არის გამოთქმული მოსაზრება, რომ სამართლის ყველა დარგი თანაბარმნიშვნელოვანი არ არის. ისინი ქმნიან თავისებურ კომპლექსებს[18]. სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი და შრომა-გასწორების სამართალი ქმნიან თავიანთ კომპლექსს, რომელშიც წამყვან როლს ასრულებს სისხლის სამართლის ნორმები, რომლებიც ადგენენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელის პრინციპებს. შრომა-გასწორების სამართლის ნორმათა სოციალური შინაარსი, რა თქმა უნდა, განისაზღვრება იმავე მომენტებით, რომლებიც დამახასიათებელია სისხლის სამართლის ნორმებისათვის. მათი დახმარებით წყდება მნიშვნელოვანი სოციალური ამოცანები. მაგრამ ამავე დროს შრომა-გასწორების სამართლის ნორმათა სოციალური არსის ერთ-ერთი გამოხატულებაა მათი უმრავლესობისათვის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური შინაარსის მიკუთვნება.

შრომა-გასწორების სამართლის ნორმებში მოცემულ ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის მოთხოვნებს ორმხრივი გამოხატულება აქვს. უპირველესად, ნორმაში შეიძლება განმტკიცებული იყოს სასჯელის აღმსრულებელი ორგანოების ადმინისტრაციის ვალდებულებები — განახორციელოს ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ზემოქმედება მსჯავრდადებულებზე, ხოლო მეორე მხრივ, შრომა-გასწორების სამართლის ნორმები შეიძლება ასახავდეს ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის დებულებებს. ამ ამოცანის გადაწყვეტის სირთულე ის არის, რომ სრულყოფილად დავადგინოთ შრომა-გასწორების სამართლის ნორმის შესაბამისი რედაქცია. მათ არ შეუძლიათ დაკარგონ სამართლებრივი ნორმისათვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტები. ამავე დროს უნდა განამტკიცონ პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის დებულებები. როგორც შრომა-გასწორების სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი სუბიექტის — სახელმწიფო ორგანოს განსაზღვრული ვალდებულება — სისრულეში მოიყვანოს სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

შრომა-გასწორების სამართლის ნორმათა შინაარსის ერთ-ერთი თავისებურებაა მათი წამახალისებელი ნორმების სახით არსებობაც. თავისი იურიდიული ბუნებით, როგორც საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, წამახალისებელი ნორმა არ შეიძლება იყოს იმპერატიული, კატეგორიული ხასიათის მითითება[19]. საბჭოთა იურისტები ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ

---

[18] Алексеев С. С. Проблемы права, т. I, Свердловск, 1972, с. 142. რაც შეეხება შრომა-გასწორების სამართალს, ს. ალექსეევი მას უწოდებს კომპლექსურს. ის Алексеев С. С. Структура советского права, М., 1975, с. 204.

[19] Баранов В. М. Поощрительная норма Советского социалистического права, Саратов, 1978.

არ შეიძლება ესა თუ ის პირი ვაიძულოთ წამახალისებელი შედეგების მიღწევისათვის. ამ მხრივ მეტად საინტერესოა საბჭოთა შრომა-გასწორების სამართლის წამახალისებელი ნორმები. საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 23-ე მუხლში ჩაწერილია, რომ „კარგი ყოფაქცევის გამოჩენისა და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში, სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევრის მოხდის შემდეგ მსჯავრდადებულს პატიმრობის პირობები შეიძლება გაუუმჯობესდეს“. ანდა „სასჯელის განსაზღვრული ნაწილის მოხდის შემდეგ მისი შემდგომი მოხდისათვის შეიძლება გადაყვანილი იქნეს კოლონია-დასახლებაში“ (საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 66-ე მუხლი). ამ ნორმის შინაარსიდან საინტერესოა შემდეგი საკითხის გარკვევა: 1) აქვს თუ არა მსჯავრდადებულს უფლება, მოითხოვოს პატიმრობის გაუმჯობესებულ პირობებზე გადაყვანა ან ასეთივე გადაყვანა კოლონია-დასახლებაში? 2) არის თუ არა იგი წამახალისებელი ნორმა?

იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია შეხედულება, რომ წამახალისებელი ნორმა უნდა ადგენდეს კომპეტენტური ორგანოს ვალდებულებას— განახორციელოს შესაბამისი წამახალისებელი ღონისძიება, თუ ამისათვის არსებობს განსაზღვრული პირობები. წამახალისებელი ნორმა ზოგადი ხასიათის სახელმწიფოებრივი მითითებაა განსაზღვრული სახის წახალისებისათვის სუბიექტის წარდგენის შესახებ, თუ არსებობს სახელმწიფოსათვის საჭირო ქცევის ვარიანტი და იმ პირობათა კომპლექსი, რომლებიც ჩვეულებრივ მოთხოვნებზე გაცილებით მაღლა დგას[20].

ნათქვამს უნდა დავუმატოთ ისიც, რომ საბჭოთა სოციალისტურ სამართალში არსებობს წამახალისებელი ნორმების დამოუკიდებელი, თავისთავადი კომპლექსი.

ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით შრომა-გასწორებითი სამართლის დარგიდან ჩვენთვის საინტერესო ნორმის თაობაზე შეიძლება ითქვას, რომ ისინი არ წარმოშობენ მსჯავრდადებულის უფლებას —მოითხოვოს პატიმრობის პირობების გაუმჯობესება. ამა თუ იმ წახალისების გამოყენების ვალდებულება, უწინარეს ყოვლისა, ეკისრება სახელმწიფო ორგანოს, რომელიც სასჯელს აღასრულებს.

ამასთან ეს ნორმა თავისი ხასიათით მიეკუთვნება საბჭოთა სოციალისტური სამართლის წამახალისებელ ნორმათა კატეგორიას.

წახალისება იმიტომ არის წახალისება, რომ ერთი მხარე (რომელსაც უფლება აქვს წაახალისოს — ჩვენს შემთხვევაში სახელმწიფო) ყოველთვის ხელმძღვანელობს — განსაზღვრავს მსჯავრდადებულის გამოსწორებას და ხელახლა აღზრდის პროცესს. წამახალისებელ ნორმაში აუცილებელი სახით არსებობს სტიმულირების ელემენტი. საკითხის შებრუნებით დასმა (მსჯავრდადებულის უფლება რომ ყოფილიყო) იმის ტოლფასი იქნებოდა, რომ წახალისება, როგორც ასეთი, არსებობას შეწყვეტდა, დაიკარგებოდა ასევე სტიმულირების ელემენტიც.

[20] Баранов В. М. Поощрительная норма советского социалистического права, Саратов, 1978, с. 31—32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლა მუქთახორობასთან და საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულობებთან: პრაქტიკა, ამოცანები და პრობლემები

ვ. სირაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე

მუქთახორობასთან ბრძოლა, როგორც ფრიად აქტუალური პრობლემა, მთელი საზოგადოების საზრუნავია. ადამიანი, რომელიც ცხოვრობს საზოგადოებაში, სარგებლობს სხვისი შრომის ნაყოფით და თავს არიდებს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, არ ასრულებს ყველაზე მნიშვნელოვან კონსტიტუციურ მოვალეობას, უპირისპირდება საზოგადოებას, ნოყიერ ნიადაგს უქმნის ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს.

ციფრებს გვერდს ვერ ავუვლით: რესპუბლიკაში განსაკუთრებით საშიშ სამართალდარღვევათა დაახლოებით მესამედი ჩადენილია მუქთახორების მიერ.

ამიტომ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობს სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებით, ესოდენ სერიოზულ ყურადღებას უთმობს რესპუბლიკის შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებას, მუქთახორობასთან ბრძოლის გაძლიერების პრობლემებს, მის პროფილაქტიკას.

ამ მოთხოვნათა შესასრულებლად სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ბოლო ხანს განამტკიცეს კავშირი სამართალდაცვის ორგანოებთან, გააქტიურეს მუშაობა იმ პირთა გამოვლენისა და შრომითს საქმიანობაში ჩასაბმელად, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას.

ამჟამად მთელი ეს საქმიანობა წარმოებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებული საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომით დაუსაქმებელ პირთა გამოვლენის, მათი შრომითი მოწყობისა და შრომითს კოლექტივებში დამკვიდრების მუდმივმოქმედი სისტემის შესახებ დებულების შესაბამისად და მას პირადად ხელმძღვანელობენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები.

მუქთახორობის პროფილაქტიკის საქმეში დიდი როლი შეასრულა შარშან, 1981 წლის 20 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებულმა ბრძანებულებამ და მის შესაბამისად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლში ცვლილებების შეტანამ. პარაზიტული ცხოვრებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებასთან ერთად საზოგადოებრივ-სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგებლო შრომით დაუსაქმებლობის ზღვრულად დასაშვები ვადა შემცირდა სამ თვემდე.

პარაზიტული ცხოვრება გულისხმობს სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირის მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში (3 თვეზე მეტ ხანს ზედიზედ ან საბოლოო ანგარიშით წლის განმავლობაში) საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისაგან თავის არიდებას.

პარაზიტული ცხოვრებისათვის პასუხისგებაში არ მიეცემიან 18 წელს მიუღწეველი პირნი, I, II და III ჯგუფის ინვალიდები, 55 წელს გადაცილებული ქალები და 60 წელს გადაცილებული მამაკაცები, აგრეთვე ორსულები, ქალები, რომელთაც რვა წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, და დიასახლისები.

მუქთახორობასთან ბრძოლის გააქტიურების ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორია ის გარემოება, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობა მუქთახორობის პროფილაქტიკისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს მუდმივი ყურადღების არეშია. ამ პრობლემებს შეუნელებელ ყურადღებას უთმობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მართლწესრიგის დაცვის სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი.

რესპუბლიკაში საქმის ვითარების მუდმივი ანალიზი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციები ხელს უწყობს იმას, რომ ადგილებზე მთელი სისრულით ესმით ამ პრობლემის სიმწვავე, რაც იწვევს მუქთახორობასთან ბრძოლის უფრო აქტიურ მოქმედებას.

გაუმჯობესდა მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. უფრო მეტი მასალები ქვეყნდება მუქთახორობის სოციალური საშიშროების, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისაგან ბოროტი თავის არიდებისათვის საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის შესახებ.

ბოლო პერიოდში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები თანამიმდევრულად ახორციელებენ მუქთახორობასთან ბრძოლის გაძლიერების ორგანიზაციულ, აღმზრდელობითს და სამართლებრივ ღონისძიებათა კომპლექსს, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებიდან, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და მუქთახორობის აღკვეთის, როგორც მთლიანად მართლწესრიგის დაცვის გაუმჯობესების მთავარი პირობის შესახებ. ამ მოთხოვნათა განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები.

მუქთახორობასთან ბრძოლის გაძლიერებისა და რესპუბლიკის დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაბმისათვის მუშაობის გაუმჯობესების საკითხები განიხილა საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების კომისიისა და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიის ერთობლივი წარდგინებით.

საყოფაცხოვრებო სამართლადარღვევათა პროფილაქტიკის რესპუბლიკური კომისია უფრო მეტ ყურადღებას უთმობს მუქთახორობასთან საბრძოლველად მუშაობის ორგანიზაციას. კომისიის სხდომებზე რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შრომის რესურსების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად განხილულია სახალხო დეპუტატთა რუსთავისა და ტყიბულის, მახარაძის, გეგეჭკორის, საქალაქო, ქ. თბილისის კალინინის რაიონული, თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, ახმეტის, ბორჯომის, ბოლნისის, კასპის, თიანეთის, დუშეთის რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ გაწეული მუშაობა მუქთახორობასთან ბრძოლისა და საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის. ამ საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, ადგილობრივი სამართალდაცვის ორგანოების მუშაკები, სამეურნეო ხელმძღვანელები.

ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები, აქტივი სულ უფრო უკეთ ეუფლებიან მუქთახორობის პროფილაქტიკის ახალ ფორმებს. ამ თვალსაზრისით ფრიად ნაყოფიერი გამოდგა წლეულს მარტსა და აპრილში მოწყობილი მუქთახორობასთან ბრძოლის გაძლიერების ორთვიური. მისი მსვლელობისას და მთლიანად მიმდინარე წელს ქვეკომისიათა ხელმძღვანელები — სახალხო დეპუტატთა სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებისა და სახლმმართველობების უფროსები, უბნის ინსპექტორები, აქტივი, სახლის, ქუჩისა და სოფლის კომიტეტთა ხელმძღვანელები კარდაკარ შემოვლით აქტიურად ავლენდნენ საპასპორტო რეჟიმის დამრღვევებს, მაწანწალებსა და მუქთახორებს, აფრთხილებდნენ მათ, ზრუნავდნენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მათი ჩაბმისათვის და შრომითს კოლექტივში დამკვიდრებისათვის; შედეგმაც არ დააყოვნა.

რესპუბლიკაში გამოვლინდა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომით დაუსაქმებელი ათასობით პირი, რომელთაგან 7.135, ანუ 33,2 პროცენტი არ მუშაობდა 3 თვეზე მეტ ხანს. ასეთ პირთა საერთო რიცხვიდან სამუშაოზე მოეწყო 12.508 პირი, ანუ 56,5 პროცენტი.

უფრო ეფექტიანად ხორციელდება ორგანიზაციული და ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებანი რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონში, მარნეულის, ბორჯომის, გორის, სამტრედიის და რესპუბლიკის სხვა რაიონებში.

ამ რეგიონებში უკეთ არის ორგანიზებული გამოვლენილ დაუსაქმებელ პირთა შრომითი მოწყობა და მათი დასაქმებისადმი კონტროლი. სისტემატურად მოწმდება პროფილაქტიკურ აღრიცხვაზე მყოფ პირთა საყოფაცხოვრებო პირობები, ქცევა და ცხოვრების წესი.

აღსანიშნავია ის ყურადღება და ზრუნვა, რომელსაც ამ პრობლემებისადმი იჩენენ რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის, მახარაძის აბრეშუმძაფსახვევი ფაბრიკის, „კასპელექტროაპარატის“ ქარხნისა და სხვა საწარმოების პარტიული ორგანიზაცია და დირექცია.

მიუხედავად ამისა, მთელ რიგ რაიონებში არსებითი ნაკლოვანებებია. მაგალითად, კასპის რაიონში გამოვლენილია 105 დაუსაქმებელი პირი ,ადიგენის რაიონში — 42, ხოლო თიანეთის რაიონში მხოლოდ 22 პირი. ბოგდანოვკის, ლაგოდეხის, ცხაკაიას და სხვა რაიონებში არადამაკმაყოფილებლად წყდება გამოვლენილ დაუსაქმებელ პირთა შრომითი მოწყობის საკითხები. სიღნაღის რაიონში სამუშაოზე მოწყობილია გამოვლენილ ასეთ პირთა 50 პროცენტი,

მოუგვარებელია განხორციელებულ ღონისძიებათა შემოწმების სისტემა ქ. თბილისის კალინინის რაიონში, გეგეჭკორის, მახარაძისა და რესპუბლიკის ბევრ სხვა რაიონში.

შერჩევითი შემოწმებით გამოირკვა, რომ სამუშაოზე არ გამოცხადებულა ხუთი პირი, რომლებიც თბილისის კალინინის რაიაღმასკომში ამა წლის 19 მარტიდან დასაქმებულად ირიცხებოდნენ. თბილისის ჩარხსაშენებელი გაერთიანების, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის ხელმძღვანელებმა, რომლებმაც მიიღეს შეტყობინება, არ აცნობეს აღმასკომის კომისიას გაგზავნილ პირთა სამუშაოზე გამოუცხადებლობის შესახებ.

ანალოგიური მდგომარეობა შეინიშნება სოფლადაც. მახარაძის რაიონის თხინვალის, მთისპირის, ბახვის, ბოხვაურის სასოფლო საბჭოებს ბრიგადებში ჩარიცხული პირები დასაქმებულად მიაჩნიათ, ხოლო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს არც კი ჩაუბამთ ისინი შრომაში, არ გამოუყვიათ მათთვის დამრიგებლები, არ სთხოვენ პასუხს ბრიგადირებს სამუშაოზე მათი გამოუცხადებლობისათვის; უფრო მეტიც, ამ პირთ უთვლიან მათი ნათესავების მიერ შესრულებულ სამუშაოს.

ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი შრომითი მოწყობის შესახებ ფიქციური ცნობების გაცემასაც არ ერიდება. კერძოდ ეს დაუშვეს: დუშეთის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ (უფროსი ვ. ფოფხაძე); დუშეთის რაიონულმა საგზაო-საწარმოო უბანმა (უფროსი ა. მაისურაძე); ცეკავშირის ქუთაისის უბნის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ (უფროსი ი. შუბლაძე); ამ რეგიონების შინაგან საქმეთა განყოფილებების უბნის ინსპექტორები ფარავენ დანაშაულს, ფიქციურ ცნობებს აკეთებენ პროფილაქტიკურ საქმეებში, მაშინ როდესაც მათს მეურვეობაში მყოფი პირები დანაშაულს სჩადიან. მუქთახორა გ. დვალიშვილი, რომელიც 1981 წლის 24 მარტიდან ქუთაისის სამშენებლო უბნის მუშად ითვლებოდა, 1982 წლის 12 თებერვალს ყაჩაღური თავდასხმის გამო დააპატიმრეს აბაშის რაიონში.

სამწუხაროდ, ამგვარი ფაქტები ერთეული არ არის. თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში გაგზავნილ პირთა სამუშაოზე გამოცხადებას თან ახლავს სიძნელეები, რაც თვით ამ კონტინგენტის სირთულით არის განპირობებული. ეს მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებასა და მიზანდასახულ აღმზრდელობით ზემოქმედებას.

ამას ემატება აგრეთვე საწარმოთა ზოგიერთი ხელმძღვანელის გულგრილობა და უპასუხისმგებლობა. ბევრი საწარმო და დაწესებულება არ იცავს მოთხოვნებს მუქთახორობასთან ბრძოლის კომისიების მიერ გაგზავნილ პირთა სამუშაოდ დაუბრკოლებლივ მიღების, მათი დამკვიდრების და ხელახალი აღზრდისათვის საჭირო მზრუნველობის გამოჩენის თაობაზე. მრავალ საწარმოში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ამ კონტინგენტთან მუშაობა მთლიანად მინდობილი აქვთ კადრების განყოფილებებს. პრაქტიკაში არ არის დანერგილი ამ საქმიანობაში წარმოების მოწინავეთა, დეპუტატთა, გამოცდილ დამრიგებელთა და აღმზრდელთა ჩაბმა, მათი ანგარიშგება კოლექტივის წინაშე კოლექტივში დამკვიდრებული მუქთახორის აღსაზრდელად გაწეული მუშაობის თაობაზე.

ხშირად საწარმოები ატყობინებენ სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებულ კომისიებს გაგზავნილი პირის გამოუცხადებლობის შესახებ, მაგრამ კომისიები ამაზე არ რეაგირებენ. მათი ყურადღების არეში არ არიან მოქცეული ის პირნი, რომლებიც თავიანთი საქციელით მუქთახორობის ზღვართან დგანან — არღვევენ დისციპლინას, აცდენენ სამუშაოს, ხშირად თავისუფლდებიან სამუშაოდან, ხანგრძლივად, უმიზეზოდ არ ეწყობიან სამუშაოზე, და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ზოგიერთი კურსდამთავრებული. მათი დაუყოვნებლივი შრომითი მოწყობა არ ხერხდება. საჭიროა, რომ მათი პროფესიული ორიენტირება და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის მომზადება სკოლის კედლებშივე ხდებოდეს.

სამწუხაროდ, გამოვლენილ დაუსაქმებელ პირთა შრომითი მოწყობისათვის განხორციელებული ღონისძიებანი ჯერ ვერ ანაზღაურებს მუშახელის დეფიციტს რესპუბლიკის დიდმნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო ობიექტებზე. ამ ობიექტებისათვის მუშათა ორგანიზებული შეგროვების გეგმა არ სრულდება ახალქალაქის, ბოგდანოვკის, დმანისის, ქარელის, ორჯონიკიძის, წალკისა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში, სადაც მუშახელი ჭარბადაა.

ადგილებზე არადამაკმაყოფილებლად სრულდება დავალებები, რომლებიც განსაზღვრულია სადირექტივო ორგანოების დადგენილებით „1982 წელს საქართველოს სსრ რეგიონებში შრომითი რესურსების საზოგადოებრივ მეურნეობაში ჩაბმის ამოცანების შესახებ“.

ჯერ კიდევ მთლიანად არ არის მოწესრიგებული ბოროტი მუქთახორების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საქმეც. საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისაგან ბოროტი თავის არიდებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია თითო პირი ქალაქებში ჭიათურასა და წყალტუბოში, წულუკიძის, ახმეტის, ონის, წითელწყაროს, აბაშის, ჩხოროწყუს, საჩხერის რაიონებში; ხოლო კასპის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ცაგერის, წალკის, გეგეჭკორის, ყვარლის, ჩოხატაურის, ადიგენის რაიონებში მუქთახორობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში არც ერთი პირი არ მიუციათ.

ხშირად ბოროტი მუქთახორების შესახებ საქმეთა გამოძიება და მოკვლევა უხარისხოდ და არაოპერატიულად წარმოებს. არ იმართება საჯარო სასამართლო პროცესები შრომით კოლექტივებში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ ზედმიწევნით გააანალიზა მუქთახორობის საქმეებთან დაკავშირებული შარშანდელი სასამართლო პრაქტიკა და ბევრი სერიოზული დარღვევა გამოავლინა. ამ დარღვევათა შესახებ უკვე ეცნობათ ახლად არჩეულ მოსამართლეებს, რომელთაც უნდა გაითვალისწინონ ისინი თავიანთ მუშაობაში.

მუქთახორობასთან ბრძოლა, რომელიც რესპუბლიკაში ოპერატიული ვითარების გაჯანსაღების მნიშვნელოვანი პირობაა, განსაზღვრავს აგრეთვე საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ სამართალდარღვევათა თავიდან აცილებასაც. საკმარისია ითქვას, რომ საყოფაცხოვრებო კონფლიქტის შედეგად ყოველ მეოთხე დანაშაულს სჩადიან დაუსაქმებელი პირები.

საყოფაცხოვრებო სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის რესპუბლიკური კომისია კვლავაც დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა ორგანოების მუშაობას საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა თავიდან აცილებისათვის.

განვლილი ორი წლის მანძილზე შესამჩნევად ამაღლდა საბჭოთა ორგანოების მუშაობის ეფექტიანობა, მათი პასუხისმგებლობა საყოფაცხოვრებო სფეროში დამნაშავეობასთან ბრძოლის მდგომარეობისათვის. სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან შექმნილი კომისიები მრავალმხრივ მუშაობას ეწევიან კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვისათვის, აგვარებენ, ქონებრივ და მიწათსარგებლობის დავებს, უთანხმოებებს საერთო კომუნალური სათავსების სარგებლობის დროს და სხვ. ბოლო წლებში შეინიშნება საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა შემცირების მყარი ტენდენცია.

მაგრამ საქმის ვითარება ამ სფეროში კვლავ საგანგაშოა. საკმარისია ითქვას, რომ 1982 წლის პირველ ნახევარში რეგისტრირებული ყველა მკვლელობის და სხეულის მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანების დანაშაულობანი ჩადენილია საყოფაცხოვრებო ნიადაგზე. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად უფრო მაღალია ქ. წყალტუბოში, წითელწყაროს, გორის, თიანეთის, მესტიის, საჩხერისა და ჩოხატაურის რაიონებში.

საყოფაცხოვრებო მოტივებით განზრახ მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის რეგისტრირებულ შემთხვევათა უმეტესობა ჩადენილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლო ნათესავების, მეზობლების, თანამშრომლების და მეუღლეთა მიმართ.

სწორედ ეს არის ამ დანაშაულთა პროფილაქტიკის სირთულე. შინაგან საქმეთა განყოფილებების მუშაკებისაგან ეს მოითხოვს მთელი ძალ-ღონის დაძაბვას, მათი მომსახურების ტერიტორიაზე რეალური სიტუაციის უკეთ ცოდნას, კონფლიქტში მყოფ პირთა აქტიურ გამოვლენასა და გონივრულ პროფილაქტიკურ მოქმედებას.

სამწუხაროდ, ხშირად, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და აღმასკომებისათვის კარგად არიან ცნობილი ის პირნი, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ულირსად იქცევიან და მიდრეკილება აქვთ კონფლიქტებისადმი. ამის მიუხედავად მათდამი არც ზედამხედველობაა დაწესებული და არც პროფილაქტიკური მუშაობა წარმოებს.

მაგალითად, ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქარხნო რაიონის საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილებამ ცოლ-ქმარი ბრუსილოვები აიყვანა პროფილაქტიკურ აღრიცხვაზე, მაგრამ ოჯახური კონფლიქტის მოსაგვარებლად არც უბნის ინსპექტორსა და არც აღმასკომს არაფერი გაუკეთებიათ, კონფლიქტის მიზეზიც კი არ გაურკვევიათ. საქმისადმი ამგვარ უსულგულო დამოკიდებულებას ის მოჰყვა, რომ მორიგი ჩხუბის დროს ვ. ბრუსილოვმა მოკლა ცოლი.

წლეულს 1 ივნისს საგარეჯოს რაიონის სოფელ კაზლარში ამოხოცეს ნ. შირინოვის ოჯახის თითქმის ყველა წევრი — ოჯახის უფროსი, მისი ცოლი და მცირეწლოვანი შვილი. ეს უმძიმესი დანაშაული შურისძიების მიზნით ჩაიდინა მათმა თანასოფლელმა ბ. ალიევმა. საგარეჯოს შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში ბ. ალიევის მიმართ დიდი ხნის წინათ იყო შედგენილი პროფილაქტიკური საქმე, მაგრამ მასთან არავითარი მუშაობა არ წარმოებდა. ბ. ალიევს რეგისტრირებული სანადირო თოფიც კი არ ჩამოართვეს. სწორედ ამ თოფით დახოცა მან თავისი თანასოფლელები.

კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი ხშირად თვით ხელისუფლების წარმომადგენელთა, სოციალური სამსახურებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის ხარვეზები, ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურებაა, რომლებიც ფეხმოკიდებულია ზოგიერთ საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოში. არის ფაქტები ყოვლად შეუწყნარებელი არაობიექტურობისა ყოფა-ცხოვრების მწვავე პრობლემებთან დაკავშირებულ მშრომელთა მიმართვების, წერილებისა და საჩივრების განხილვისას.

საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში 1967 წლიდან გრძელდებოდა კონფლიქტი ი. ჭუაძისა და გ. მესხიშვილის ოჯახებს შორის და იგი მხოლოდ 1981 წლის დეკემბერში მოგვარდა მოდავეთა კარ-მიდამოსთან მისასვლელი გზის მოწყობის საკითხის სწორი გადაწყვეტის შედეგად. ამგვარი მაგალითის მოყვანა მრავლად შეიძლება. სწორედ ადამიანთა საჭიროებებისადმი უყურადღებობის გამო იქმნება კონფლიქტური სიტუაციები, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ საკითხის დროული, სამართლიანი გადაწყვეტით.

მაგრამ განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საკითხში ჯერ კიდევ მრავალი საბჭოს აღმასკომი სცოდავს. ამის გამო სისტემატურად იზრდება ზემდგომ ორგანოებში მოქალაქეთა მიმართვის რიცხვი. თითქმის ორჯერ გაიზარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ქალაქ ჭიათურიდან, ხონის, წალკის, დუშეთის, ზესტაფონის და სხვა რაიონებიდან შემოსულ განცხადებათა რაოდენობა.

საყოფაცხოვრებო დანაშაულთა თავიდან აცილებისათვის მუშაობა უნდა დაიწყოს ყველა დონის საბჭოთა სახელმწიფო აპარატის საქმიანობაში პარტიული წესრიგის დამყარებით. აუცილებელია სრულვყოთ მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის პრაქტიკა, აღმოვფხვრათ ადამიანთა საჭიროებებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულება, სხვა მრავალი ანომალია საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სტატისტიკა მოწმობს, რომ ყოველი მეოთხე განზრახ მკვლელობა ჩადენილია მთვრალის მიერ.

ბოლო ხანს რესპუბლიკაში შესუსტდა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა, არასაკმარისია საბჭოთა ორგანოების მიერ განხორციელებული აღმზრდელობითი ღონისძიებანი და ლოთობის გამო მიღებული ადმინისტრაციული ზომები. ეს უპირველესად ეხება ბოლნისის, ზუგდიდის, ზესტაფონის რაიონებს, ქალაქ ქუთაისს, სადაც მთვრალ მდგომარეობაში ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი 2-3-ჯერ გაიზარდა, ხოლო ალკოჰოლიზმის საწინააღმდეგო კანონმდებლობის დარღვევისათვის დაჯარიმებულ პირთა რიცხვი წლეულს 15,2 პროცენტით შემცირდა.

უაღრესად არადამაკმაყოფილებლად წარმოებს მუშაობა ფსიქიკურად დაავადებულ პირთა იზოლაციისა და მკურნალობისათვის. ისინი კი არა მარტო არღვევენ საზოგადოების სიმშვიდეს, არამედ ხშირად მძიმე დანაშაულთა თანამონაწილენიც არიან.

უკანასკნელი წლების სტატისტიკამ გვიჩვენა, რომ რესპუბლიკაში მომხდარ მკვლელობებში 82 ფსიქიკურად დაავადებული პირი მონაწილეობდა, სხეულის მძიმე დაზიანებაში — 73, ხულიგნობაში — 97, მოქალაქეთა პირადი საკუთრების ქურდობაში — 58, ძარცვასა და ყაჩაღობაში — 15 პირი. ამ დანაშაულთა უმეტესობა რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის ლენინისა და საქარხნო რაიონებში, ზესტაფონის, მახარაძის, სამტრედიის, ხაშურის, ოჩამჩირის, გალის რაიონებში, ქალაქ ფოთში.

საყურადღებოა, რომ საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ყოველი მეხუთე დანაშაული ხდება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, რომელთა ნახევარზე მეტი არ არის რეგისტრირებული მილიციის ორგანოებში.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად არის ორგანიზებული მოსახლეობის მიერ უკანონოდ ან წესების დარღვევით შენახული იარაღის გამოვლენა-ჩამორთმევის საქმე აფხაზეთის ასსრ ქალაქებსა და რაიონებში, ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის, ოქტომბრისა და 26 კომისრის სახელობის რაიონებში, მახარაძის, ქობულეთის და ზოგიერთ სხვა რაიონსა და ქალაქში. საბჭოების აღმასკომებმა მეტი სიმკაცრით უნდა მოსთხოვონ შინაგან საქმეთა ორგანოებს, რათა მათ უფრო ეფექტიანად წარმართონ მუშაობა მოქალაქეთა მიერ უკანონოდ შენახული იარაღის ჩამოსართმევად.

საყოფაცხოვრებო დანაშაულთა პროფილაქტიკის ყველა ეს საკითხი თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში უფრო სრულად უნდა გაითვალისწინონ საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხაროდ, ყველა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდება ამ მოთხოვნებს, ღრმად არ აანალიზებს საქმის ვითარებას, ხშირად მონაცემებიც კი არა აქვს იმის შესახებ, თუ რა კონკრეტულ მუშაობას ეწევიან საყოფაცხოვრებო სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის ადმინისტრაციული ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, გონივრულ კოორდინაციას არ უწევს მათს ღონისძიებებს.

რესპუბლიკაში 400-ზე მეტი წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტია, შრომითს კოლექტივებში 2 906 პროფილაქტიკის საბჭო, ათასობით ამხანაგური სასამართლო და ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულია. ზარშან წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების დათვალიერებამ ცხადყო, რომ მათი საქმიანობა ხშირად ფორმალურია და ამის გამო ეფექტიანი არ არის.

ეს უპირველეს ყოვლისა ეხება ყვარლის, მცხეთის, ზუგდიდის, ბოლნისის, გორისა და მთელ რიგ სხვა რაიონებს. მიკრორაიონთა საბჭოები, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები, ქუჩის, სახლისა და სასოფლო კომიტეტები, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციები, ამხანაგური სასამართლოები, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. შრომითი კოლექტივები ღონისძიებათა გაერთიანებისა და კოორდინაციის ნაცვლად სჯერდებიან შემოსული საჩივრებისა და განცხადებების განხილვას, სხვადასხვა სახის ანგარიშების შედგენას.

მომავალში კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი აღმასკომებს, მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივ ორგანოებს მოსახლეობის კანონისა და ცხოვრების სოციალისტური წესის ნორმებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით აღსაზრდელად. საგაზეთო პუბლიკაციებში სამართლებრივი პროპაგანდა უფრო მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს სასამართლო პრაქტიკას, რაც ხელს შეუწყობს დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, რესპუბლიკის მშრომელთა საზოგადოებრივი, საწარმოო და შრომითი აქტიურობის ამაღლებას.

საჭიროა მუქთახორობასთან ბრძოლის მუდმივმოქმედი სისტემის შესახებ დებულების შესაბამისად სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ყველა აღმასკომსა და შინაგან საქმეთა ორგანოებში დამყარდეს მკაცრი წესრივი აღრიცხვასა და ანგარიშგებაში, გაუმჯობესდეს გაწეული მუშაობის შედეგების ყოველთვიური შეჯამების სისტემა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების ყოველ სესიასა და მათი აღმასკომების სხდომებზე სათანადო ინფორმაციის მოსმენის პრაქტიკა.

უნდა გააქტიურდეს ამ მიმართულებით საარჩევნო ოლქებში დეპუტატთა, შესაბამისი მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი, თვითმოქმედი ორგანოების საქმიანობა, გაჩაღდეს გადამწყვეტი ბრძოლა თვალის ახვევასთან, სახალხო კონტროლის ადგილობრივი ორგანოების ძალებით სისტემატურად შემოწმდეს მუქთახორობასთან ბრძოლის კომისიების მიერ გაგზავნილ პირთა შრომითი მოწყობის შესახებ საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გაცემული ცნობების სისწორე. აუცილებელია ავამაღლოთ მათი პასუხისმგებლობა, კანონის მთელი სიმკაცრით მოეთხოვოთ პასუხი ფიქციური დოკუმენტების გაცემისათვის.

რესპუბლიკის პროკურატურამ უნდა გააძლიეროს მუქთახორობისა და ყოფა-ცხოვრების სფეროში სამართალდარღვევათა აღმოსაფხვრელად პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციისადმი საპროკურორო ზედამხედველობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საბჭოთა, შინაგან საქმეთა, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოებისადმი წაყენებული ეს და სხვა მოთხოვნები მუქთახორობისა და ყოფაცხოვრების სფეროში სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად ზუსტად არის განსაზღვრული სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებში, „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილებაში, რესპუბლიკის პარტიული აქტივის 1982 წლის იანვრის დადგენილებაში.

ამჟამად მთავარი საზრუნავია უზრუნველვყოთ ამ მოთხოვნების მაღალეფექტიანი შესრულება.

# შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობა— ახალი ამოცანების დონეზე

გ. გვეტაძე,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი

Საქართველოს მშრომელები თავდადებით იღწვიან სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, წარმატებით სძლევენ მეთერთმეტე ხუთწლედით დასახულ მიჯნებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით განაგრძობენ უკომპრომისო ბრძოლას ყოველივე დრომოჭმულის და ნეგატიურის წინააღმდეგ — რესპუბლიკაში მორალურ-ზნეობრივი კლიმატის მთლიანად და საბოლოოდ გაჯანსაღებისათვის.

ყრილობის მიზანდასახულობათა ხორცშესხმაში დიდი როლი აკისრია შინაგან საქმეთა ორგანოებს, და ჩვენც ვცდილობთ მებრძოლური სულისკვეთება და შემართება ვაქციოთ ჩვენი მუშაკების საქმიანობის ნორმად, შევიმუშაოთ და დავამკვიდროთ პრაქტიკაში მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები, დავხვეწოთ და გავაუმჯობესოთ ორგანოს პირადი შემადგენლობის ყოველდღიური საქმიანობის სტილი.

ყრილობის დამთავრებისთანავე შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ და პარტიულმა კომიტეტმა განსაზღვრეს მთავარი პრობლემები უახლოესი მომავლისათვის, დააკონკრეტეს ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაზეც უნდა ვემუშავა 1981 და 1982 წელს. ეს საკითხები კვლავაც ჩვენი მხედველობის არეშია და ძირითადად სწორედ აქეთ წარვმართავთ ბრძოლის მახვილს მეთერთმეტე ხუთწლედში: ეს არის ბრძოლა მუქთახორობის, ხულიგნობის, ქონებრივ დანაშაულობათა, მექრთამეობის და სახალხო ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ; ეს არის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სამძებრო და საგამოძიებო საქმიანობის გაუმჯობესება, სოციალისტური კანონიერების განმტკიცება, შინაგან საქმეთა ორგანოების პირადი შემადგენლობის მაღალი მორალურ-ზნეობრივი პრინციპებით აღზრდა, მართვის ოპტიმალური მეთოდების შემუშავება და დანერგვა.

ყველა ამ პრობლემის გადასაწყვეტად, აგრეთვე სხვადასხვა სამსახურის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა კომისიები და სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც სათავეში უდგანან სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები, კოლეგიის წევრები. ასეთი კომისიები და ჯგუფებია: ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შემდგომი სრულყოფის საკითხების შემსწავლელი, დისციპლინის განმტკიცებისა და სოციალისტური კანონიერების დაცვისა, პარტიისა და მთავრობის დადგენილებების, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროლის, საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტებისა და რეციდივულ დანაშაულობათა შემსწავლელი და სხვა კომისიები.

შარშან რესპუბლიკის სამართალდაცვის ორგანოებთან მჭიდრო კავშირით, მათთან ერთობლივი, მიზანდასახული მუშაობით ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მნიშვნელოვნად შეგვემცირებინა მთელი რიგი განსაკუთრებით საშიში დანაშაულობანი, რამაც საგრძნობლად გააჯანსაღა ოპერატიული ვითარება. თუმცა მთლიანად ვერ შევძელით მიგვეღწია იმ შედეგისათვის, რომელსაც სადღეისოდ ჩვენგან პარტია და მთავრობა მოითხოვს.

1981 წელი დანაშაულის გახსნის თვალსაზრისით წინა წლებთან შედარებით გაცილებით უკეთესი გამოდგა, მაგრამ შედეგით მაინც არა ვართ კმაყოფილი. რესპუბლიკაში ჯერ კიდევ გაუხსნელია ბევრი დანაშაული, მათ შორის მკვლელობა, ყაჩაღობა, ძარცვა.

მოსახლეობა კმაყოფილებით შეხვდა ცნობას, რომ ოპერატიულად მოკლე ვადაში გაიხსნა „ელექტრონიკის“, „ქარვის“ და „ზურმუხტის“ საიუველირო მაღაზიებში მომხდარი ქურდობანი, მაგრამ ამ დანაშაულობათა გახსნამ ისიც გვიჩვენა, რომ დანაშაულის ჩადენას ხელი შეუწყო არასაუწყებო დაცვის სამსახურის მუშაობაში დაშვებულმა შეცდომებმა და ნაკლოვანებებმა, რის შესახებაც პრინციპულად იმსჯელა შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ.

სახალხო დოვლათის დაცვის მხრივ არა გვაქვს სახარბიელო სურათი რკინიგზის ტრანსპორტზე, სადაც სახელმწიფო ქონების ქურდობათა შემთხვევები ჯერ კიდევ ბევრია, მრავალი დანაშაული დღემდე გაუხსნელია. საგანგებო ღონისძიების განხორციელების მიუხედავად, აქ ოპერატიული ვითარება, კვლავ დაძაბულია. შინაგან საქმეთა სატრანსპორტო ორგანოებმა სულ ახლახან გამოავლინეს თითქმის უპრეცენდენტო დანაშაულის ფაქტი: მიმდინარე წლის 15 ივნისს თბილისის საკვანძო სადგურში, „საქბაკალეის“ ტერიტორიაზე ჩამომდგარი შაქრით დატვირთული შემადგენლობის გახსნისას ერთ-ერთი ვაგონი ცარიელი აღმოჩნდა, ბლომბი კი დაუზიანებელი იყო. თვალსა და ხელს შუა დაიკარგა 64 ტონა საერთო წონის, 1300 ტომარა შაქარი. დროულად განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად საქმე მალე გაიხსნა, დამნაშავენი დააკავეს. ისინი აღმოჩნდნენ სამტრედიის რკინიგზის სატვირთო სადგურის მწონავი კუჭუხიძე, ვანის რაიონის სამომხმარებლო საზოგადოების მუშაკები—მჟავია, კაკულია, ენგიბარიანი და ჩუბულავა, რომლებმაც შაქარი გაიტაცეს სამტრედიის რკინიგზის სადგურიდან და შესანახად მიაბარეს ამავე ქალაქის მცხოვრებს, წინათ ნასამართლევ ვინმე მებუკეს. შინაგან საქმეთა სატრანსპორტო ორგანოებმა, მილიციის ტერიტორიულ ქვეგანაყოფებთან ერთად, ყოველი ღონე უნდა იხმარონ ვითარების გასაუმჯობესებლად. მკვეთრად უნდა ამაღლდეს თანამშრომელთა სიფხიზლე მოძრავ შემადგენლობათა გაცილებისას, უფრო ეფექტიანი ოპერატიული ღონისძიებანი განხორციელდეს სახალხო ქონების დამტაცებელთა გამოსააშკარავებლად, ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ რესპუბლიკაში არ იყოს ტექნიკური დეფექტების მქონე რკინიგზის ვაგონები.

მართლწესრიგის განმტკიცებაში დიდი როლი აკისრია მილიციის უბნის რწმუნებულს. უბნის ინსპექტორი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ფიგურას ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომაც არის

აღჭურვილი იგი დიდი უფლებებითა და ნდობით. სწორედ ისინი აგებენ პასუხს თავიანთ სამოქმედო უბნებში სანიმუშო წესრიგისათვის. მათ ევალებათ შემჩნიონ სამართლებრივი ნორმებიდან გადახრის ყოველგვარი სიმპტომები და მიზანდასახული პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი ღონისძიებების განხორციელებით თავიდან აიცილონ დანაშაული. მათი აქტიური მონაწილეობის გარეშე წარმატებით ვერ გადაწყდება რეციდივული დანაშაულის, მუქთახორობის, ნარკომანიის, ლოთობისა და არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემები.

სამწუხაროდ, ამ მხრივ ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე არ არის. უბნის ინსპექტორთა მუშაობის დღევანდელი დონე აშკარად ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. ეს სერიოზული ნაკლია და სამინისტროს ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს ხმარობს მის აღმოსაფხვრელად, უბნის ინსპექტორების ავტორიტეტის ასამაღლებლად. ამ საკითხს მიეძღვნა უბნის ინსპექტორთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც წლეულს აპრილში გაიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროში.

ბოლო დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დახმარებით ბევრი რამ გაკეთდა მილიციის საპატრულო-საგუშაგო სამსახურის გასაძლიერებლად. ამასთანავე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ეს დიდმნიშვნელოვანი საშუალებანი მთლიანად არა გვაქვს გამოყენებული.

ქ. ქ. თბილისში, სოხუმში, რუსთავში და სხვაგან ჯერაც არ არის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები საპატრულო-საგუშაგო სამსახურის ქვეგანაყოფებისათვის შტაბებისა და სასწავლო-საწვრთნელი მოედნების მოსაწყობად. ამ საკითხის მოგვარება ჩვენ ვთხოვეთ შესაბამის პარტიულ კომიტეტებს და, იმედია, ისინი აღმოგვიჩენენ დახმარებას.

საჭიროა უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები. ხშირად მათი საქმიანობა ფორმალური ხასიათისაა. სახალხო რაზმეულებს კი შეუძლიათ დიდი როლი შეასრულონ ქალაქებისა და მსხვილი დასახლებული პუნქტების მოედნებზე, ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში სანიმუშო წესრიგის დამყარებაში.

შარშან სექტემბერში სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ქ. მოსკოვში გაიმართა სახალხო რაზმელების წარმომადგენელთა პირველი საკავშირო შეკრება, რომელზეც განიხილეს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის აქტუალური საკითხები, დაისახა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის საქმეში ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების როლის შემდგომი ამაღლების კონკრეტული ღონისძიებანი.

ჩვენ წინაშე მდგომი სადღეისო ამოცანების გადასაწყვეტად და დანაშაულის რეციდივის თავიდან ასაცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს შრომა-გასწორების დაწესებულებებში მსჯავრდადებულთა აღზრდის საკითხის სწორად გადაწყვეტას. ბოლო დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის დახმარებით ბევრი რამ გაკეთდა შრომა-გასწორების დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის და შრომის მეშვეობით მსჯავრდადებულთა ხელახალი აღზრდისათვის.

წლეულს საექსპლოატაციოდ გადაეცა ხის დამმუშავებელი კომბინატი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყობრში ჩადგა აგრეთვე შრომა-გასწორების კოლონია, სადაც ავტომისაბმელების წარმოებას ითვისებენ. წლის ბოლომდე ამუშავდება ახალი საწარმო, რომელიც სამთამადნო მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობას გამოუშვებს.

წარმოების მოცულობის ასეთი მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, იგი მაინც ჩამორჩება რეალურ მოთხოვნებს. რესპუბლიკას საკავშირო მასშტაბით ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს შრომით საქმიანობაში ჩაბმულ მსჯავრდადებულთა რიცხვის მიხედვით, რამაც არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს მათს ხელახალ აღზრდაზე .

გარდა ამისა, ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა მსჯავრდადებულთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. შრომა-გასწორების კოლონიებში. სამკურნალო-შრომითს პროფილაქტორიუმებსა და კომენდატურებში არ არის შექმნილი ნორმალური კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. ყოველთვის სწორედ არ არის გამოყენებული პატიმართა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის კანონით გათვალისწინებული სტიმულირების შესაძლებლობები. არის შემთხვევები, როცა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შეღავათს ავრცელებენ იმათზე, ვინც ამას არ იმსახურებს. ამ დაწესებულებებში ვხვდებით აგრეთვე სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტებს.

მომწიფდა იმის აუცილებლობა, რომ მკვეთრად გაუმჯობესდეს საგამოძიებო იზოლატორების, შრომა-გასწორების დაწესებულებების, სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმებისა და სპეციალური კომენდატურების მუშაობა, გაიზარდოს მათი როლი და მნიშვნელობა რეციდივულ დანაშაულობათა თავიდან აცილებასა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაში. ამ მხრივ შინაგან საქმეთა ორგანოებში მდიდარი გამოცდილება დაგროვდა. ეს განსაკუთრებით ითქმის შრომა-გასწორების იმ კოლონიის მიმართ, სადაც უფროსია რ. ალასანია. საჭიროა ამ გამოცდილებათა საფუძვლიანად შესწავლა და განზოგადება.

რესპუბლიკის ზოგიერთ რეგიონში შეიმჩნევა სახელმწიფო ქონების სხვადასხვა ჯურის დამტაცებელთა გააქტიურება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ჩვენგან მოითხოვს ბრძოლის მახვილი მივმართოთ ამგვარი დანაშაულებრივი ჯგუფების ფორმირების წინააღმდეგ და აღვკვეთოთ მათი დანაშაულებრივი საქმიანობა.

ამ მოთხოვნათა სარეალიზაციოდ კონკრეტულ ღონისძიებებს რომ ამუშავებს, შინაგან საქმეთა სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სახალხო მეურნეობის ობიექტების დაცვას შესაბამის სამეურნეო ორგანიზაციებთან ურთიერთკავშირის გაუმჯობესების გზით.

ამას წინათ მხილებულ იქნენ ადგილობრივი მრეწველობის კაჭრეთის სამკერვალო ფაბრიკაში, ბოლნისისა და დმანისის კომბინატებში მოქმედი „საქმოსნები“, რომლებსაც დანაშაულებრივი კავშირი ჰქონდათ გურჯაანის სამომხმარებლო საზოგადოებასთან და „თბილისტანსაცმელვაჭრობის“ მაღაზიების მუშაკებთან. მათი მეშვეობით დამნაშავენი ახდენდნენ დატაცებული ქსოვილის რეალიზაციას. გამოძიების პროცესში გამოაშკარავებულ იქნა აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს თელავის ყრუ-მუნჯთა საზოგადოების სამკერვალო საამქროში მოკალათებულ დამნაშავეთა ჯგუფი.

ჩვენ სერიოზულ პრეტენზიებს ვუყენებთ შინაგან საქმეთა ადგილობ-

რივ ორგანოებს, რომლებმაც ვერ შეძლეს დროულად აღეკვეთათ „საქმოსანთა" პარპაში, მაგრამ ამასთან ერთად უნდა ვუსაყვედუროთ შესაბამის საუწყებო სარევიზიო სამსახურებსაც, რომლებმაც ამ ობიექტებში საგეგმო რევიზიების დროს დანაშაულის „ვერავითარი კვალი" ვერ აღმოაჩინეს.

ბოლო დროს რესპუბლიკაში შეინიშნება სხვადასხვა პროფილის მცირე სიმძლავრის საამქროების გახსნის ტენდენცია. მოტივად ასახელებენ ადგილობრივი მოსახლეობის, მეტწილად ქალების შრომით დასაქმებაზე ზრუნვას, რაც თავისთავად საყურადღებოა. მაგრამ აუცილებელია მკაცრი კონტროლი დავაწესოთ ამგვარი ახალგახსნილი საამქროების სამეურნეო-ფინანსური საქმიანობისადმი.

შინაგან საქმეთა ორგანოებმა გააქტიურეს ბრძოლა წამატებებისა და თვალის ახვევის სხვა ფაქტების წინააღმდეგ. მაგრამ როგორც ირკვევა, ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, რადგან რესპუბლიკაში წამატებების ფაქტები ჯერაც არ არის აღმოფხვრილი.

მიმდინარე წელს, უსაქონლო ოპერაციის მცდელობისას, დააკავეს მარნეულის ხორცკომბინატის და სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბეს კოლმეურნეობის მუშაკები. გამოირკვა, რომ კოლმეურნეობამ 450 სული ცხვრის ნაცვლად კომბინატს ჩააბარა მხოლოდ 149 სული — სხვაობის დაფარვას კი აპირებდნენ ცხვრის ტყავებითა და ნაღდი ფულით. მსგავსი ფაქტები, სამწუხაროდ იშვიათი არ არის. წლეულს აპრილში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს მუშაკებმა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელშეწყობით, გამოავლინეს სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცების ფაქტი ხილბოსტნეულის მეურნეობების სამინისტროს ზნაურის ხილბოსტნეულის გადამმუშავებელ საამქროში. საამქროში აღმოჩნდა ასობით ტონა ფალსიფიცირებული ვაშლის ექსტრატი. სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის თანხამ მილიონ მანეთს გადააჭარბა. დანაშაული 1981-1982 წლებშია ჩადენილი. ამ საქმესთან დაკავშირებით პასუხისგებაში მიცემული არიან ზნაურის ხილბოსტნეულის გადამმუშავებელი საამქროს უფროსი ოდიკაძე, მიმღები პუნქტის გამგე ჯიგაევი, ლაბორანტი ჯავახიშვილი, აგრეთვე დამამზადებლები, რომლებიც მოსახლეობიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფიქციურ შესყიდვას აფორმებდნენ. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღებიდან 10 წელი გავიდა. ყველა ხედავს იმ სასიკეთო ძვრებს, რომლებიც ამ პერიოდში მოხდა ჩვენს რესპუბლიკაში წარსული შეცდომების დაძლევისათვის, საბჭოური ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის, კომუნისტური ზნეობის ნორმების აღდგენისათვის. ყოველივე ამან დიდი გავლენა მოახდინა სახალხო მეურნეობის, განათლების, კულტურის, ლიტერატურის და ხელოვნების, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების აღმავლობაზე, თუმცა დასახული მიზანი საბოლოოდ არ არის მიღწეული. ამის გამო იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ მიმართა რესპუბლიკის კომუნისტებს, რათა თვისებრივად ახალ დონეზე იქნეს აყვანილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარსულის მავნე გადმონაშთებისა და სხვა ანომალიების წინააღმდეგ ბრძოლა. შიმართვაში გამოთქმულია ღრმა რწმენა, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები ყველაფერს იღონებენ, რათა ჩვენი ყოფა-ცხოვრებიდან საბოლოოდ ამოიძირკვოს ყველა ანტიპოდური მოვლენა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ, სამართლებრივ და სხვა სფეროში ყოველგვარი დეფორმაციის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლა იმარჯვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულდება უთუო პირობა — ვეყრდნობოდეთ აქტივს, კომუნისტებს, მშრომელების ფართო მასებს, ვიცოდეთ მათი აზრი და ამ აზრით ვხელმძღვანელობდეთ შედეგიანი გადაწყვეტილების შესამუშავებლად.

სწორედ ამ მოწოდებას ეხმიანება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელი მოსახლეობის საუკეთესო წარმომადგენლები არიან გაერთიანებულნი. უკვე მეორე ათეული წელია, რაც ინსტიტუტი არსებობს. ამ ხნის მანძილზე იგი ბევრი კარგი წამოწყების ინიციატორი და მოთავეა.

მიმდინარე წლის ივლისში ქ. კასპში გაიმართა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გამსვლელი სხდომა, რომელიც საყოფაცხოვრებო დავის ნიადაგზე მომხდარ დანაშაულობათა პროფილაქტიკის საკითხებს მიეძღვნა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქართლის ზონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებების უფროსები და მათი მოადგილეები, უბნის ინსპექტორები, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები. მოხსენებით გამოვიდნენ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი თ. შავგულიძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოყენებითი სოციოლოგიის ლაბორატორიის უფროსი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. გაჩიანი.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წარსადგენად ამზადებს წინადადებებს, რომლებშიც მოცემულია საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოშობილი დანაშაულობების პროფილაქტიკის მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები.

დანაშაულის თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი მუშაობისათვის განსაკუთრებით დიდი როლი ეკისრებათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და შემოქმედებითს კავშირებს, ლიტერატურასა და ხელოვნებას. ახალი ადამიანის აღზრდასა და ზნეობრივ ფორმირებაში ამოუწურავი შესაძლებლობანი აქვს ლიტერატურასა და ხელოვნებას, მაგრამ იგი ჯერჯერობით მინიმალურადაც არ არის გამოყენებული.

ქართულ ლიტერატურაში ნაკლებად ვხვდებით მილიციის თემისადმი მიძღვნილ მხატვრულ ნაწარმოებებს. იგივე შეიძლება ითქვას კინოხელოვნების შესახებაც. ძალზე მცირეა კინოფილმები მილიციის თემებზე. არადა, სამართლებრივ თემებზე შექმნილ მაღალმხატვრულ კინოფილმებს დიდი საქმის გაკეთება შეუძლია საბჭოთა ადამიანების მორალურ-ზნეობრივ სრულყოფასა და კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში.

შემთხვევითი არ არის, რომ მიმდინარე წლის თებერვალში ქ. მოსკოვში გაიმართა კინემატოგრაფისტთა და შინაგან საქმეთა ორგანოების ერთობლივი საკავშირო კონფერენცია, რომელიც მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისა და საბჭოთა მილიციის პროპაგანდის საქმეში კინოხელოვნების როლის შემდგომი ამაღლების საკითხებს მიეძღვნა.

სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიამ, კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობამ და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ მიიღეს ერთობლივი დადგენილება მილიციის თემაზე მაღალმხატვრული ფილმების შექმნის უზრუნველსაყოფად.

ამ მხრივ ჩვენ უკვე გადავდგით პირველი პრაქტიკული ნაბიჯები. მიმდინარე წლის დასაწყისში შინაგან საქმეთა სამინისტროში შეხვედრა მოვუწყვეთ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მეორე შემოქმედებითი გაერთიანების გადამღებ ჯგუფს, რომელმაც დაამთავრა მუშაობა ფილმზე „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის“. იგი მიძღვნილია საქართველოს მილიციის მუშაკთა ახლანდელი თაობის გმირული შემართებისადმი. ფილმში ნაჩვენებია მათი ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ, რესპუბლიკაში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად. ფილმის განხილვისას გამოითქვა სურვილი, რომ მთავარმა გმირმა — სისხლის სამართლის სამძებრო ინსპექტორმა ზაზამ კვლავ განაგრძოს ეკრანზე ცხოვრება ამ სერიის მომავალ სხვა ფილმებში.

პარტიისა და მთავრობის მიერ შინაგან საქმეთა ორგანოების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის საჭიროა ყველა ჩვენს რგოლში სუფევდეს ჯანსაღი, საქმიანი ატმოსფერო, თითოეული მუშაკი განმსჭვალული იყოს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით და სიყვარულით მინდობილი საქმისადმი, საჭიროა განვამტკიცოთ საშემსრულებლო დისციპლინა, ოპერატიულობა და ორგანიზებულობა. ამისათვის კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კადრებთან მუშაობას, მათ სწორად შერჩევასა და აღზრდას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე ითქვა, რომ ხელმძღვანელ თანამდებობებზე უნდა შევარჩიოთ ისეთი ადამიანები, რომელთა პროფესიული წიგნიერება, კომპეტენტურობა, ორგანიზატორული ნიჭი ორგანულად იქნება შერწყმული პატიოსნებასთან, მოუსყიდველობასთან, პარტიულ პრინციპულობასთან.

შინაგან საქმეთა ორგანოებში განუწყვეტლივ მიმდინარეობს კადრების განახლებისა და გადახალისების პროცესი. შრომითი კოლექტივების რეკომენდაციებით, პარტიული და კომკავშირული საგზურებით ჩვენთან სამუშაოდ მოდიან ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები. შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრის მუშაკთა შორის მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენენ შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიგანყოფილებათა უფროსები, მაგრამ ბევრ მათგანს ჯერ კიდევ აკლია კომპეტენტურობა და პროფესიული ცოდნა, რის გამოც ხშირად საჭირო ხდება მათი შეცვლა და სხვა სამუშაოზე გადაყვანა. ეს კი იწვევს კადრების დენადობის ზრდას. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია მილიციის თბილისის უმაღლესი სასწავლებლის ბაზაზე გაიხსნას ახლადდანიშნულ შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსთა და მათ მოადგილეთა მოსამზადებელი სამთვიანი კურსები.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ შინაგან საქმეთა ორგანოების პარტიული ზირ-

თვის განმტკიცებას. სამწუხაროდ, ოფიცერთა შორის კომუნისტთა რაოდენობა 52 პროცენტს არ აღემატება, ხოლო უბნის ინსპექტორთა შორის და შრომა-გასწორების დაწესებულებებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია. მთელ რიგ რაიონებში, მაგალითად, ქ. ცხინვალში, ზნაურში, ლენინგორში ხობში, აბაშაში, ახმეტაში, ვანში, და სხვაგან, რამდენიმე წელია სკკპ წევრად არ მიუღიათ შინაგან საქმეთა ორგანოების არც ერთი მუშაკი. საჭიროა შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედა რგოლებში პირველადი პარტიული ორგანიზაციების განმტკიცება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მთელი სიმკაცრით მოითხოვს შინაგან საქმეთა ორგანოებისაგან სოციალისტური კანონიერების ყოველმხრივ განმტკიცებასა და დაცვას. საკითხის მწვავედ დაყენება ბუნებრივია. სამწუხაროდ, დროდადრო კვლავ ვაწყდებით სახელმწიფო აღრიცხვიდან დანაშაულის დამალვის, სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე დაუსაბუთებლად უარის თქმის ფაქტებს, მასალების ზერელედ განხილვასა და სხვა დარღვევებს, რისთვისაც მკაცრად ვთხოვთ პასუხს შესაბამის საქალაქო და რაიგანყოფილებათა ხელმძღვანელებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორგანოს პირადი შემადგენლობის მორალურ და ზნეობრივ სიწმინდეს. შარშან სამინისტროს ცენტრალური აპარატის უშუალო მონაწილეობით გამოვააშკარავეთ და მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მივეცით შინაგან საქმეთა ორგანოების რამდენიმე თანამშრომელი. ყოველდღიური, შეუნელებელი ბრძოლა შინაგან საქმეთა ორგანოების რიგების სიწმინდისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის კვლავაც გაგრძელდება. ჩვენ მომავალშიც უშეღავათონი ვიქნებით მსგავს მახინჯ გამოვლინებათა მიმართ, განვამტკიცებთ შრომის და საშემსრულებლო დისციპლინას, გავაძლიერებთ კონტროლს ორგანოს მუშაკთა ყოველდღიური საქმიანობისადმი.

სწორედ ასე, ამგვარი შეგნებით, კომუნისტური შეუპოვრობითა და შემართებით ვაპირებთ მუშაობას მომავალშიც, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად და რესპუბლიკაში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასახიჩრებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეთა სასამართლო განხილვის შესახებ

რ. პიტავა,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

საბჭოთა კანონით მუშა-მოსამსახურეებს, რომლებმაც შრომის უნარი დაკარგეს გარანტირებული აქვთ დახმარება და პენსია. გარდა ამისა, თუ მუშაკის ჯანმრთელობას ზიანი მიადგა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, წარმოების ბრალით, მას უფლება აქვს მიიღოს დამატებითი ანაზღაურება. მისი გამოანგარიშება ხდება საშუალო ხელფასის გათვალისწინებით, რასაც აკლდება დანიშნული პენსია და შენარჩუნებულ პროფესიულ შრომის უნარზე დამოკიდებული შესაძლებელი ხელფასის თანხა, პროფესიული შრომის უნარის მთლიანად დაკარგვის შემთხვევაში კი შენარჩუნებული საერთო შრომის უნარის პროცენტებზე დამოკიდებული შესაძლებელი ჯამაგირი; თუ დადგინდა, რომ ზიანის მიყენებაში ორგანიზაციას ბრალი არ მიუძღვის, იგი თავისუფლდება მატერიალური პასუხისმგებლობისაგან და ზარალის ანაზღაურება იფარგლება მხოლოდ პენსიის დანიშვნით. გადიდებული პენსიით ანაზღაურდება აგრეთვე ზარალი, რომელიც მუშაკს მიადგა პროფდაავადება პნევმაკონიოზმით. პროფესიული დაავადების სხვა შემთხვევებში ზარალი ანაზღაურდება, თუ დაავადება არ არის ჩვეულებრივი საწარმოო ფაქტორების ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგი და მუშაკი თავის მოვალეობას ადმინისტრაციის ბრალით ასრულებდა შრომის დაცვის სანიტარული და ტექნიკური წესებით აკრძალულ პირობებში.

ზარალის ანაზღაურების წესების, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 23 ოქტომბრის № 16 დადგენილების მე-7 პუნქტის თანახმად, დასახიჩრებულის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების სარჩელები ზარალის ანაზღაურების თაობაზე სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 91-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლო განხილვას ექვემდებარება მხოლოდ მაშინ, როცა ამ დავაზე უკვე მიღებულია ადმინისტრაციისა და პროფკავშირის საქარხნო (საფაბრიკო) ადგილკომის გადაწყვეტილება. უამისოდ სამოქალაქო სამართალწარმოების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მოქალაქეს სასარჩელო განცხადების მიღებაზე უარი უნდა ეთქვას. თუ განცხადება ამ წესების დარღვევით იყო მიღებული წარმოებაში, იგი სამსჯავრო გამოძიების პროცესში განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული (სამოქალაქო სამართალწარმოების 42-ე მუხლის პირველი პუნქტი). ეს წესი ვრცელდება განმეორებითი სარჩელების, ე. ი. ახალი ვადისათვის თანხების გადახდევინების მოთხოვნის დროსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო პრაქტიკის განზოგადოებასთან დაკავშირებით ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა 1980-1981 წლებში განხილული ამ კატეგორიის 70 საქმე. მათ შორის 18 საქმეზე (25,7 პროცენტი) არ იყო დაცული დავის სასამართლომდე განხილვის წესი, ე. ი. ადმინისტრაციასა და პროფკავშირის ადგილკომს არ გამოუტანიათ გადაწყვეტილება ამ დავასთან დაკავშირებით.

კანონის მოთხოვნა ამ კატეგორიის დავების სასამართლოს წინა განხილვის წესის შესახებ დარღვეული აქვთ ქ. თბილისის ლენინის რაიონის, ქ. ბათუმის, ქ. ტყიბულის, აგრეთვე ზუგდიდის, ბორჯომის, ქობულეთის რაიონების სახალხო სასამართლოებს. ყველაზე მეტი დარღვევა აქვს ქობულეთის რაიონის სახალხო სასამართლოს (6 საქმე) და საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლოს (3 საქმე).

პირველად შეტანილ სარჩელებზე ამ წესის დარღვევით განხილული საქმეები შეადგენს 18 პროცენტს ,ხოლო განმეორებით სარჩელებზე — 45 პროცენტს.

ეს მონაცემები მეტყველებს, რომ სასამართლოები დავის სასამართლოს წინა განხილვის წესის დაცვისადმი განსაკუთრებით უყურადღებობას იჩენენ განმეორებითი სარჩელების დროს. ეს კი გაკვირვებას იწვევს, რადგან მოქალაქეთათვის ახალი პერიოდისათვის ზიანის ანაზღაურებისას, როცა წინათ უკვე გამოტანილი იყო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხე ორგანიზაციის ბრალის შესახებ, ადმინისტრაციას ფაქტობრივად არაფერი არ უნდა ჰქონდეს სადავო და მისი გადაწყვეტა შეიძლებოდა სასამართლოს გარეშეც.

განზოგადება მოწმობს, რომ პროფკავშირის ადგილკომები ყოველთვის არ იცავენ დაზარალებული მუშაკის განცხადების განხილვის წესს. მაგალითად, გ. ბასილაშვილის განცხადება ქობულეთის რაიონის სოფ. მუხა-ესტატეს მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მიმართ ზარალის ანაზღაურების თაობაზე მეურნეობის ადგილკომის ნაცვლად განიხილა ადგილკომის თავმჯდომარემ, რომელმაც თავის რეზოლუციაში მიუთითა, რომ ადგილკომი ხელფასსა და პენსიას შორის სხვაობის მიცემის წინააღმდეგია და განმცხადებელმა საჭიროა მიმართოს სასამართლოს. ქობულეთის რაიონის სახალხო სასამართლომ ეს რეზოლუცია ადგილკომის უარად მიიჩნია და სასარჩელო განცხადება წარმოებაში მიიღო.

ზარალის ანაზღაურების საკითხზე ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ადგილკომის დადგენილება ზოგჯერ დაუსაბუთებელია, ზერელე და ფორმალურია. ხშირად პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტები არსებითად ზარალის ანაზღაურების წინააღმდეგი არ არიან, მაგრამ ცდილობენ ეს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდეს. სასამართლოები კი ამ ფაქტების მიმართ არავითარ რეაგირებას არ ახდენენ.

მაგალითად, აზერბაიჯანის სსრ ზაქათალის საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭომ ვ. ჭუჭულაშვილს ზარალის ანაზღაურებაზე უარი უთხრა იმ მოტივით, რომ დაზარალებულმა გვიან მიმართა მას. ქობულეთის რაიონის სოფ. მუხა-ესტატეს კოლმეურნეობის ადგილკომმა ა. ნოღაიდელის მოთხოვნა ზარალის ანაზღაურების შესახებ სამართლიანად მიიჩნია, მაგრამ ჩათვალა, რომ „შემთხვევა მოძველებულია (1979 წლის თებერვალი) და შეუძლებელია თანხების ერთად გაცემა“.

მარნეულის რაიონის კასუმლოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციამ და პროფკავშირის ადგილკომმა ა. რუსტამოვის განცხადება ზარალის ანაზღაურებაზე იმ საფუძვლით უარყო, რომ იგი ღებულობს პენსიას სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებიდან და ეს თანხა მას ეყოფა (შემდგომში მარნეულის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით ა. რუსტამოვს ყოველთვიურად განესაზღვრა ზარალის 132 მანეთის ოდენობით ანაზღაურება). ქობულეთის რაიონის ჩაქვის ჩაის ფაბრიკის საფაბრიკო კომიტეტმა ვ. კარელს უარი უთხრა ყოველთვიურად 158 მანეთის ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ წარმოებას აქვს გართულებები ხელფასის ფონდთან დაკავშირებით.

ასეთი დარღვევები იშვიათი არ არის, სასამართლოები კი კერძო განჩინებებით არ მიაქცევენ ცალკეული თანამდებობის პირებისა და ზემდგომი პროფკავშირული ორგანოების ყურადღებას ამ ფაქტებისადმი.

შესწავლილი საქმეებიდან 69 სარჩელი აღძრულია დასახიჩრებულის ან მისი ოჯახის წევრის მიერ. მხოლოდ ერთი სარჩელია აღძრული საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის საფუძველზე პროკურორის მიერ. დაკმაყოფილებულია 67 სარჩელი (95,7 პროცენტი).

სასამართლო გადაწყვეტილებების უმრავლესობა შენიშვნებს არ იწვევს, მაგრამ ზოგი საქმე განხილულია სამოქალაქო სამართლის მატერიალური და საპროცესო ნორმების დარღვევით. გამოტანილი მცდარი გადაწყვეტილებები გასაჩივრებული არ არის. მოსარჩლეებს უნაზღაურდებათ დიდძალი თანხა, რომლებიც, როგორც წესი, უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. ეს სასამართლოებს ავალებს ამ საქმეთა განხილვას მეტი გულისყურით მოეკიდონ და დავა გადაწყვიტონ კანონის მოთხოვნათა სრული შესაბამისობით.

ერთ-ერთი გავრცელებული შეცდომაა ის, რომ სასამართლო სამსჯავრო განხილვის პროცესში არ არკვევს მოპასუხის ბრალს და სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე გამოაქვს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. შესწავლილი საქმეებიდან 13 საქმეზე (18,5 პროცენტი) სასამართლოს საერთოდ არ გაურკვევია ბრალის საკითხი.

ქარელის რაიონის სახალხო სასამართლომ 1981 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მ. გელაშვილის სარჩელი მოხისის საბჭოთა მეურნეობის მიმართ მარჩენალის დაღუპვით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ. გადაწყვეტილება დასაბუთებულია იმით, რომ შემთხვევა მოხდა (ტრაქტორი გადაიჩეხა მდინარეში) მოსარჩლის ქმრის მუშაობის პერიოდში და სამსჯავრო სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენლის მიერ მიცემული განმარტებით ამაში ბრალი მიუძღვის ადმინისტრაციას, ვინაიდან დაზარალებული ვაუმართავ ტრაქტორზე დასვა. სამსჯავრო ოქმის მიხედვით კი მოპასუხის წარმომადგენელს ასეთი განმარტება არ მიუცია, ამასთან საქმეშია საგამოძიებო ორგანოების დადგენილება, რომლითაც ბრალი დაზარალებულს მიუძღვის.

ქობულეთის რაიონის სახალხო სასამართლომ გადაწყვეტილება ვ. კარელის სარჩელის გამო ჩაქვის ჩაის ფაბრიკის მიმართ ზარალის ანაზღაურების შესახებ დაასაბუთა იმით, რომ მოსარჩელემ დასახიჩრება მიიღო მუშაობის დროს. საქმეში არ არის არავითარი მტკიცებულება მოპასუხის ბრალის თაობაზე. აქტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი უბედური შემთხვევის მიზეზად მიჩნეულია დაზარალებულის უყურადღებობა.

ტყიბულის სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა ვ. გოჩელაშვილის სარჩელი ცოცხვათის კოლმეურნეობის მიმართ ზარალის ანაზღაურების შესახებ. ვ. გოჩელაშვილი ჩაის კრეფდა კოლმეურნეობაში. შესვენების დროს იგი ტყემლის ხეზე ავიდა ტყემლის მოსაკრეფად, საიდანაც ჩამოვარდა და დაიმტვრა. სასამართლომ გამოითხოვა ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ტექნიკური ინსპექტორის დასკვნა და ამ დასკვნის საფუძველზე დადგენილად ჩათვალა, რომ ბრალი მიუძღვის კოლმეურნეობას, რადგან მას უნდა უზრუნველეყო მოსარჩლე ხეზე დასამაგრებელი საშუალებებით. სასამართლოს არავითარი მტკიცებულება არ შეუკრებია იმის გასარკვევად, კოლმეურნეობისათვის კრეფდა თუ არა მოსარჩლე ტყემალს. თანაც, ვფიქრობთ უმჯობესი იყო სასამართლოს ტექნიკური დასკვნა მიეღო შესაბამისი დარგობრივი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტიდან, კერძოდ, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტიდან.

ადმინისტრაციის ბრალის შეუმოწმებლად დაკმაყოფილებულია ბევრი სხვა სარჩელიც. ყველა ამ საქმეში არ არის ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოს დასკვნა, დაუდგენელია რაში გამოიხატა კონკრეტულად ადმინისტრაციის მიერ შრომის დავის წესების დარღვევა.

ამ დარღვევის თავიდან აცილების მიზნით მომავალში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1982 წლის 25 ივნისის დადგენილებაში მიუთითა, რომ წარმოებასთან დაკავშირებული ყოველი დაზიანება არ წარმოშობს ხელფასსა და პენსიას შორის ზარალის ანაზღაურების მიღების უფლებას. ამ მოტივით მოქალაქეს შეიძლება დაენიშნოს ინვალიდობის პენსია დასახიჩრების ნორმით. ზარალის ანაზღაურებისათვის კი აუცილებელია არსებობდეს ორი ძირითადი პირობა:

1. დასახიჩრება დაკავშირებული უნდა იყოს წარმოებასთან,

2. მუშაკის დასახიჩრებაში, ჯანმრთელობის სხვაგვარ დაზიანებაში ან მარჩენალის დაღუპვაში ბრალი უნდა მიუძღოდეს ორგანიზაციას. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 88-ე მუხლის შესაბამისად ორგანიზაცია თავისუფლდება ზარალის ანაზღაურებისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ მას ზიანის მიყენებაში ბრალი არ მიუძღვის.

**დ**ასახიჩრების საქმეებზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების შესაბამისად წარმოების ბრალის გარკვევისათვის სასამართლოებმა აუცილებელია გამოითხოვონ პროფკავშირის ტექნიკური ინსპექტორის დასკვნები და სხვა მტკიცებულებანი. შესწავლილი საქმეებიდან კი 14 საქმეზე (20 პროცენტი) ასეთი მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ. ამ მტკიცებულებათა გამოთხოვის აუცილებლობას მიუთითებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ზემოაღნიშნული დადგენილების მე-3 პუნქტი.

საქმეთა განხილვისას ადმინისტრაციის წარმომადგენელთა უმრავლესობა ცნობს სარჩელს და თანახმაა მოსარჩლეს აუნაზღაურდეს ზარალი. შესწავლილი 70 საქმიდან მოპასუხის წარმომადგენელმა ცნო 22 სარჩელი (31,4 პროცენტი). სახალხო სასამართლოც თავის გადაწყვეტილებას ძირითადად ამით ასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუთებს. ამ წარმომადგენლებს კი არა ჰქონიათ სპეციალური რწმუნება სარჩელის ცნობის უფლების შესახებ, რასაც ითვალისწინებს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლი. ამასთან დაკავშირებით პლენუმის დადგენილებაში შეტანილია პუნქტი მოპასუხის წარმომადგენლის უფლებამოსილების თაობაზე.

ზარალის ანაზღაურების წესების მე-12 პუნქტის თანახმად დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით მიყენებული ზიანი იანგარიშება ხელფასიდან, რომელსაც მუშა-მოსამსახურენი იღებდნენ დასახიჩრების წინა 12 თვის განმავლობაში. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით კოლმეურნეობის წევრისათვის მიყენებული ზიანი ნაანგარიშევი უნდა იქნეს დასახიჩრების წინა კალენდარული წლის საშუალო თვიური ხელფასიდან. სასამართლოები კი, ზოგჯერ არ მოითხოვენ დადგენილი წესით ხელფასის ცნობის წარდგენას და სჯერდებიან სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ გაცემულ ცნობას, რომელშიც მითითებულია ხელფასის ოდენობა, რომლიდანაც ნაანგარიშევია პენსია. სასამართლოები ზარალსაც ამ ხელფასიდან ანგარიშობენ. შესწავლილი 70 საქმიდან 5 საქმეზე (7,1 პროცენტი) ხელფასის ცნობა წარდგენილი არ ყოფილა და სასამართლომ ზარალი იანგარიშა სოცუზრუნველყოფის განყოფილების ცნობაში მითითებული ხელფასიდან.

არის ფაქტები, როდესაც სასამართლოები შეცდომას უშვებენ და მხედველობაში იღებენ ხელფასს, რომელიც დაზარალებულს მიღებული აქვს არა იმ პერიოდისათვის, რომელსაც ზარალის ანაზღაურების წესები ითვალისწინებენ.

მაგალითად, ა. შავერდიანმა სარჩელი აღძრა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს № 1 ავტოსატრანსპორტო საწარმოს, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის მიმართ და მოითხოვა ზარალის ანაზღაურება. ქ. თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლომ 1981 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა რა სარჩელი, ხელფასის გასაანგარიშებლად, ზემოაღნიშნული წესების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, აიღო მოსარჩლის მიერ 1970-1971 წლებში მიღებული საშუალო ხელფასი. სასამართლო მოვალე იყო გაერკვია მუშაობდა თუ არა მოსარჩლე დასახიჩრების წინა ორი წლის განმავლობაში და თუ არ მუშაობდა, ზარალის გამოსაანგარიშებლად საჭირო ხელფასი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების მე-11 პუნქტის შესაბამისად ეანგარიშა ამ ადგილისათვის დადგენილი მინიმალური ხელფასის გათვალისწინებით. მოქ. ა. ნოლაიდელი სოფ. მუხაესტატეს კოლმეურნეობაში მუშაობისას დასახიჩრდა 1979 წლის დეკემბერში. პლენუმის დადგენილების მე-13 პუნქტის თანახმად ზარალის გამოსაანგარიშებლად უნდა აეღოთ მის მიერ 1978 წელს მიღებული ხელფასი. ნაცვლად ამისა მან სასამართლოს წარუდგინა 1979 წელს მიღებული ხელფასი და სასამართლომაც ზარალი ამ ხელფასიდან იანგარიშა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა გაითვალისწინა ეს დარღვევები და დადგენილების მე-8 პუნქტით სასამართლოებს მისცა სახელმძღვანელო მითითება სახელმწიფო და საკოლმეურნეო პენსიების გამოანგარიშების წესის შესახებ, ამასთან მიუთითა, რომ ხელფასის ოდენობა ,რომლიდანაც იანგარიშება პენსია და რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ზარალი ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. ამიტომ აუცილებელია სასამართლოებმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოითხოვონ ხელფასის ცნობის წარმოდგენა დადგენილი წესის მიხედვით.

სასამართლოები შეცდომებს უშვებენ თვით ზარალის ოდენობის განსაზღვრაშიც, რითაც არღვევენ ზარალის ანაზღაურების წესების მე-11 პუნქტის მოთხოვნებს. ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა რა ბ. ცხადაიას სარჩელი ზუგდიდის რაიონის ანაკლიის მერძეველობა-მეკამეჩეობის საბჭოთა მეურნეობის მიმართ, მოსარჩლისათვის მიყენებული ზარალი განსაზღვრა შემდეგნაირად: საშუალო ხელფასს — 102 მანეთს გამოაკლო დანიშნული პენსია 32 მანეთი და 27 კაპიკი და შემდეგ განსაზღვრა 60 პროცენტით პროფესიული შრომისუნარის დაკარგვით გამოწვეული ზარალი, რაც შეადგენს 42 მანეთს და ამ თანხის გადახდა დააკისრა მოპასუხეს. წესების მე-11 პუნქტის თანახმად კი სასამართლო მოვალე იყო თავდაპირველად განესაზღვრა მოსარჩლისათვის მიყენებული ზარალი (102 × 60) და შემდეგ ამ ზარალისათვის გამოექლო დანიშნული პენსია, ხოლო დანარჩენი თანხის — 29, 34 მანეთის გადახდა დაეკისრებინა მოპასუხისათვის.

შეცდომებია დაშვებული პროფესიული შრომის უნარის 100 პროცენტით დაკარგვის შემთხვევაში ზარალის ოდენობის განსაზღვრისას. სასამართლოები არღვევენ ზარალის ანაზღაურების წესების მე-11 პუნქტის მოთხოვნას და ზარალის ოდენობას განსაზღვრავენ მთლიანი ხელფასიდან მხოლოდ პენსიის ოდენობის გამოკლებით, ისე, რომ მხედველობაში არ იღებენ შენარჩუნებული საერთო შრომის უნარის პროცენტს.

ზარალის ანაზღაურების წესების მე-11 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით სულ განხილულია 5 საქმე (7,1 პროცენტი). შეცდომები აქვთ ზუგდიდის რაიონის მოსამართლეს ალშიბაიას, ქობულეთის რაიონის მოსამართლეს ტაკიძეს, საგარეჯოს რაიონის მოსამართლეს მასურაშვილს, ბორჯომის რაიონის მოსამართლეს ნოზაძეს.

სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულების 79-ე პუნქტის თანახმად, თუ ორივე გარდაცვლილი მშობელი მუშაობდა და შვილებს უფლება აქვთ მიიღონ პენსია ამის გამო, პენსია იანგარიშება ორივე მშობლის გამომუშავების საერთო თანხიდან.

ზარალის ანაზღაურების წესების მე-19 პუნქტის კომენტარების თანახმად იმ ბავშვებისათვის ზარალის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, რომლებმაც დაკარგეს ორივე მშობელი, ზარალი ნაანგარიშები უნდა იქნეს ორივე მშობლის ხელფასიდან. ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა გ. ლომსაძის სარჩელი საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის მიმართ ზარალის ანაზღაურების თაობაზე. ბავშვებისათვის მიყენებული ზარალი სასამართლომ იანგარიშა მხოლოდ მამის ხელფასიდან. საქმეში არსებული მასალებიდან კი ჩანს, რომ დასახიჩრების წინ ბავშვის დედაც მუშაობდა.

ამ გარემოების გათვალისწინებით პლენუმის დადგენილებამ განმარტა ეს საკითხიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარალის საზღაურის ოდენობა დამოკიდებულია დაზარალებულის პროფესიული შრომის უნარის დაკარგვის ხარისხზე, პროფესიული შრომის უნარის მთლიანად დაკარგვის შემთხვევაში კი საერთო შრომის უნარის დაკარგვის ხარისხზე. ამიტომ ზარალის ანაზღაურების წესების 22-ე პუნქტი სხვა დოკუმენტებთან ერთად სავალდებულოდ თვლის საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის დასკვნის წარმოდგენას შრომისუნარის დაკარგვის ხარისხის შესახებ. მაგრამ ამ წესს ყველა სასამართლო არ იცავს. ასეთი დასკვნის გარეშე დააკმაყოფილეს სარჩელები ზარალის ანაზღაურების თაობაზე სახალხო მოსამართლეებმა: ხვედელიძემ (ქ. ბათუმი), ჭეიშვილმა, ტაკიძემ (ქობულეთის რაიონის სახალხო სასამართლო). ბუნებრივია მოპასუხისათვის გადასახდელად დაკისრებული თანხა არ შეიძლება ამ შემთხვევაში სწორი იყოს. ზოგჯერ შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის შესახებ წარმოდგენილია არასათანადო კომისიის მიერ გაცემული დასკვნა. ბორჯომის რაიონის სასამართლომ დააკმაყოფილა გ. ქარქოზაშვილის სარჩელი ამიერკავკასიის რკინიგზის სალოკომოტივო დეპოს, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის მიმართ. დავის გადაწყვეტისას სასამართლომ იხელმძღვანელა შრომის უნარის დაკარგვის თაობაზე სშს კომისიის მიერ გაცემული დასკვნით. ზარალის ანაზღაურების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების 24-ე პუნქტის თანახმად კი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის დადგენილების მე-9 პუნქტში სწორედ ამაზე გაამახვილა სასამართლოების ყურადღება.

როგორც ზევით ითქვა, ზიანის მიმყენებელს ზარალის ანაზღაურება ეკისრება მაშინ, თუ დადგინდება მისი ბრალი. ეს წესი თანაბრად ვრცელდება როგორც ძირითადი ზარალის (ხელფასსა და პენსიას შორის სხვაობის), ისე დამატებითი ხარჯების, მათ შორის მოვლის ხარჯების ანაზღაურებაზეც. საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლომ კი ისე დააკმაყოფილა ო. დუჩიძის სარჩელი მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მიმართ მოვლის ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომ საერთოდ არ უმსჯელია და არ გაურკვევია ბრალის საკითხი. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ო. დუჩიძეს მუშაობის პერიოდში აუწია წნევამ. სშს კომისიის დასკვნის თანახმად კი იგი ცნობილია I ჯგუფის ინვალიდად საერთო დაავადებით.

სასამართლოს გადაწყვეტილებით მოვლის ხარჯები ო. დუჩიძეს აუნაზღაურდა 1974 წლის დეკემბრიდან 1980 წლამდე. სასამართლომ არც ის საკითხი გაარკვია, რომ სარჩელის საფუძვლიანობის შემთხვევაშიც რატომ გაუშვა მოსარჩელემ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა და არ იმსჯელა მის აღდგენაზე. სშს კომისიის დასკვნის თანახმად ო. დუჩიძე I ჯგუფის ინვალიდია 1979 წლიდან. წინა პერიოდისათვის I ჯგუფის ინვალიდობის ან მომვლელის საჭიროების შესახებ დოკუმენტი საქმეში არ არის. სასამართლომ მოვლის ხარჯების სახით მოპასუხეს ყოველთვიურად 70 მანეთის გადახდა დააკისრა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტის 1969 წლის 29 აპრილის წერილის თანახმად კი ეს თანხა განისაზღვრება 40 მანეთის ოდენობით. ამ ხასიათის შეცდომების გათვალისწინებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების მე-12 პუნქტში მითითებულია მოვლის ხარჯების დაკისრების წესების შესახებ.

სასამართლოები ბევრ შეცდომას უშვებენ სახელმწიფო ბაჟის დაკისრებისას. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამ კატეგორიის საქმეებზე მოსარჩელეები განთავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ბაჟის დაკისრება ხდება მოპასუხეზე სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანისას საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლით.

უმეტეს შემთხვევაში სასამართლოები არ იცავენ ამ ნორმას და სახელმწიფო ბაჟის გადახდას ან საერთოდ არ აკისრებენ მოპასუხეს, ან აკისრებენ არასწორი ოდენობით.

დაკმაყოფილებული 67 სარჩელიდან სახალხო სასამართლოებს 17 საქმეზე საერთოდ არ უმსჯელიათ და მოპასუხისათვის არ დაუკისრებიათ ბაჟის გადახდა.

დაშვებული დარღვევების გათვალისწინებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა სასამართლოების ყურადღება მიაქცია საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის მე-4, 5, 6 პუნქტების განუხრელი დაცვის აუცილებლობაზე.

როგორც ზევით ითქვა, შესწავლილი საქმეებიდან სარჩელების 95,7 პროცენტი დაკმაყოფილებულია, ე. ი. სასამართლოებმა დადგენილად მიიჩნიეს ზიანის მიმყენებლის მიერ შრომის პირობებისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესების დარღვევა. ამასთან სასამართლოებს არცერთხელ არ მიუქცევიათ ამ დარღვევებზე საწარმოებისა და დაწესებულებების თანამდებობის პირთა ყურადღება. ასევე არც ერთი საქმე არ განუხილავს გამსვლელ სესიას. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა სასამართლოების ყურადღება გაამახვილა ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კანონის სამსახურში

იმ დღეს ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი იოსების ძე წიქარაძე სამსახურში ჩვეულებისამებრ დილაადრიან მივიდა. მისი კაბინეტის კარებთან ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა კაცი ატუზულიყო. გიორგი უცნობს მიესალმა, კაბინეტის კარი გააღო, შიგ შევიდა და ორიოდე წუთის შემდეგ უცნობიც მიიწვია.



„ნეტავ სად მინახავს ეს კაცი"? — გაიფიქრა მოსამართლემ და უცნობს მშვიდად მიმართა:

— დაბრძანდით, რა გაგჭირვებიათ? გისმენთ.

უცნობი სკამზე არ დაჯდა. ხელში ქუდს აწვალებდა, ღელავდა. ბოლოს ენის ბორძიკით დაიწყო:

— პატივცემულო მოსამართლევ, მე პავლე მექოშვილი გახლავართ, ამ რამდენიმე წლის წინ გამასამართლეთ.

მოსამართლემ იცნო პავლე მექოშვილი, რომელიც მთელ რაიონში იყო ცნობილი აღვირახსნილი ცხოვრებით, არსად არ მუშაობდა და არც სურდა მუშაობის დაწყება. ცოლიც შეირთო, ოჯახს მოეკიდა. ეგებ ახლა მაინც დაწყნარდეს და რაიმე სასარგებლო საქმიანობას მოჰკიდოს ხელიო, — ფიქრობდნენ პავლეს ახლობლები. მაგრამ ცოლის შერთვის შემდეგ არ დაწყნარებულა. უმიზეზოდ ეჭვიანობდა, საკმარისი იყო ოჯახში რამე არ მოსწონებოდა, ყველაფერს დალეწავდა. მეუღლეს ხელითაც კი შეხებია. ერთ დღეს უგონოდ მთვრალმა პავლემ თავის საკუთარ სახლს ცეცხლი წაუკიდა და ოჯახს გამოუსწორებელი ზარალი მიაყენა.

— სასჯელი მოვიხადე და დავბრუნდი, თუმცა...

მოსამართლე ფიქრებიდან გამოერკვა.

— ძალიან კარგი, რომ დაბრუნდი, შინ როგორ შეგხვდნენ ახლობლები, მეუღლე?..

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. პავლე კვლავ ქუდს აწვალებდა. ეტყობა, ვერ ამხელდა მთავარ სათქმელს, რომელმაც იგი ამ დილაუთენია სასამართლოში მოიყვანა. ბოლოს მაინც ამოღერღა:

— სწორედ მაგაშია საქმე, პატივცემულო მოსამართლევ, მეუღლეს შერიგება არ უნდა, არადა, სასჯელი, რომელიც მოვიხადე, ჩემთვის ცხოვრების დიდი გაკვეთილი იყო. რჩევისთვის მოვედი. როგორ მოვიქცე... ოჯახის დანგრევა არ მინდა. ვერც სამუშაოზე მოვეწყვე, — ნასამართ-

ლევიათ, და ყველა თავიდან მიცილებს. ვინმე რომ დამხმარებოდა, არ შევარცხვენდი...

მოსამართლე ერთხანს დაფიქრებული იყო, ყურადღებით აკვირდებოდა მზისაგან გარუჯული შავგვრემანი ვაჟკაცის მხარბეჭს და დაკოჟრილ ხელებს. პავლეს სინანული გამოხატვოდა სახეზე, ეტყობოდა, ნანობდა, წარსულის გახსენება ზარავდა.

„კაცს, რომელიც ცხოვრებისაკენ შემობრუნდა, გამხნევება და მხარში ამოდგომა სჭირდება“, — გაიფიქრა გიორგიმ. იგი წამოდგა, მაგიდას შემოუარა და ახალგაზრდა კაცს ღიმილით მიმართა:

— ხომ გაგიგონია, კაი მთქმელს კაი გამგონე უნდაო, ჰოდა, გამიგონე. მე მჯერა შენი. სამუშაოზე მოწყობაში დაგეხმარები, შენ მეუღლესაც მოველაპარაკები. ხვალ ამ დროს შემოიარე, გელოდები...

სახალხო მოსამართლემ სიტყვა არ გატეხა. იმავე დღეს დაიბარა პავლე მექოშვილის მეუღლე, დიდხანს ესაუბრა პავლეს საქციელით ბევრჯერ გამწარებულ და განაწამებ ქალს. ბოლოს დაარწმუნა, რომ ქმარს შერიგებოდა. პავლე მექოშვილი სამუშაოზეც მოაწყო.

ახლა პავლე მექოშვილი წელში გამართული და სანიმუშო, მუყაითი კაცია. ამაში თავისი წვლილი აქვს შეტანილი სახალხო მოსამართლეს გიორგი წიქარაძესაც.

„ყველა კაცმა, რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რისი შემძლებიც არის, ქვეყნიერებაზე უბედურნი აღარ იქნებიან“, — ხშირად იმეორებს ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვებს მოსამართლე გიორგი წიქარაძე. დიდი ცხოვრებისეული გზა აქვს გავლილი გიორგის. სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე 20 წლის ჭაბუკი ფაშისტი ურჯუკების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება. იოსებმა შვილი რომ გაისტუმრა, რამდენიმე დღის შემდეგ თვითონაც ფრონტს მიაშურა.

ფრონტზე გაიგო გიორგიმ, რომ გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლაში მამამისიც ჩაბმული იყო. მამა-შვილი წიქარაძეები ფრონტის სხვადასხვა უბანზე ავლებდნენ მუსრს მტერს.

ორჯერ დაიჭრა გიორგი ფაშისტებთან ბრძოლაში და ორჯერვე თავის ბატალიონს დაუბრუნდა. სარდლობას შეუმჩნეველი არ დარჩა მოქნილი, უშიშარი მამაცი ჭაბუკი, რომელიც ყოველთვის ყველაზე საშიშ უბანზე იყო. და აი, გიორგი წიქარაძეს საბრძოლო მამაცობისათვის პირველი ჯილდო, მესამე ხარისხის დიდების ორდენი გადაეცა. პირველს მეორე მოჰყვა და სულ მალე გიორგის მკერდი სამშობლოს ჯილდოებმა დაამშვენა.

ფრონტზე მყოფი მამა-შვილი იოსებ და გიორგი წიქარაძეები ერთმანეთს წერილობით უკავშირდებოდნენ. მაგრამ 1944 წლის იანვრის ერთ დღეს გიორგიმ ცნობა მიიღო: მამამისი იოსებ წიქარაძე მამაცურად დაღუპულიყო ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ერთიათად აზღვევინა ფაშისტებს იმ დღეს გიორგიმ მამის სიკვდილი. მალე, მამის დაღუპვიდან ორიოდე თვის შემდეგ, 1944 წლის აპრილში მას ფრონტზე გადასცეს სკკპ წევრობის კანდიდატის ბილეთი.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ გიორგი წიქარაძე დაუბრუნ-და მშობლიურ მიწას. ერთხანს სოფლის სკოლის მასწავლებელია. 1947 წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-ტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1952 წელს იგი წარჩინების დიპლომით ამთავრებს უნივერსიტეტს და მუშაობას იწყებს საქართველოს კომპარ-ტიის თბილისის საოლქო კომიტეტში ინსტრუქტორად. 1953 წელს მას ირ-ჩევენ სიღნაღის რაიონის სახალხო მოსამართლედ. 1970 წლიდან დღემდე ლაგოდეხის რაიონის სახალხო მოსამართლეა.

რთული და მრავალფეროვანი, ამასთან ცოცხალი და საინტერესოა გიორგი წიქარაძის, როგორც სასამართლოს თავმჯდომარის, საქმიანობა. იგი ანაწილებს განსახილველად სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს, კონტროლს უწევს საქმეთა განხილვის ვადების და პროცესუალუ-რი ნორმების დაცვას, ზრუნავს სასამართლოს მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის...

გ. წიქარაძე რაიონის სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად ახორ-ციელებს ღონისძიებებს დამნაშავეობის პროფილაქტიკისათვის. მას ხში-რად შეხვედრებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც კითხულობს ლექცია-მოხსენებებს სამართლებრივ თემებზე, ანგარიშს აბა-რებს ამომრჩევლებს. მარტო წელს სასამართლოს მუშაკებმა წაიკითხეს 45 ლექცია-მოხსენება, აქედან 6 ლექცია — რაიონის ამხანაგური სასამართ-ლოების თავმჯდომარეებისათვის. სისხლის სამართლის საქმეთა საგრძ-ნობი ნაწილი განხილულია გამსვლელ სხდომაზე.

მართლმსაჯულების განხორციელება კანონის შესაბამისად, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა — აი გიორგი წიქარაძის დევიზი. ამი-ტომ მის მიერ გამოტანილი განაჩენი ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში იშვიათად თუ გაუქმებულა ან შეცვლილა. 1976 წლიდან კი გ. წიქარაძეს საკასაციო წესით არც ერთი განაჩენი არ გაუქმებია.

სანიმუშო, შრომისმოყვარე ოჯახი ჰყავს გიორგი წიქარაძეს. უფროსმა ვაჟმა მამის პროფესია აირჩია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოში მუშაობს გამომძიებლად. ქა-ლიშვილი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტია, ყველაზე პატარა კი მე-ექვსე კლასის მოსწავლეა.

მუდამ გამართულად ევლოს მას არჩეულ გზაზე!

ზაალ მესხიშვილი,
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საინტერესო ცხოვრება გრძელდება



უკვე ხანდაზმულია, მაგრამ ჯერ კიდევ მხნედ გამოიყურება. ყოველ დილით მშვიდად მიუყვება ლენინის ქუჩას, სადაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება გაატარა. გზაში ბევრი ნაცნობი თუ მეგობარი კეთილი ღიმილით მიესალმება. ირაკლის ძე ლომინაძეს, ღვაწლმოსილ ადვოკატს, რომელიც თავაწეული, კმაყოფილი და დაჯერებული მიდის, რამეთუ მას არასოდეს უღალატია საკუთარი სინდისის, პატიოსნებისა და რწმენისათვის.

თითქმის ორმოცდაათი წელია, რაც ალექსანდრე ლომინაძე ერთგულად ემსახურება კანონიერების განმტკიცების კეთილშობილურ საქმეს. სრულიად ახალგაზრდამ, ოცი წლის ჭაბუკმა დაიწყო გამომძიებლად მუშაობა აჭარის მაღალმთიან რაიონში და უმალ მიიქცია ყურადღება ალღოიანი, მართალი და პირდაპირი ბუნებით. ეს ის დრო, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ პარპაშებენ საბჭოთა ხელისუფლების მტრები, შენიღბული და ბოროტმოქმედებაში გაწაფული კონტრრევოლუციონერები. ისინი არაფერს ერიდებოდნენ და ხშირად სრულიად აშკარად, დაუფარავად სჩადიოდნენ სისხლის სამართლის ათასნაირ დანაშაულს. ახალბედა გამომძიებელი სწორედ ხალხის მტრებთან ჭიდილში გამოიწრთო და გამოიბრძმედა, აქ შეითვისა, შეისისხლხორცა და შემდგომში უკვე პროფესიულ ჩვევად ექცა კომუნისტისათვის დამახასიათებელი თვისებები — უდრეკი ნებისყოფა და შეურიგებლობა არა მარტო დანაშაულთან, არამედ უბრალო გადაცდომასთანაც კი, ერთი შეხედვით, თითქოს შეცდომასთან, მაგრამ კანონიერების აშკარა უპატივცემულობასთან, რაც ხშირად სხვა, უფრო დიდი ბოროტმოქმედების საწყისად იქცევა ხოლმე.

ა. ლომინაძის საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრების გზა დღესაც გრძელდება. ვალმოხდილი, პერსონალური პენსიონერი აქტიურად არის ჩაბმული საადვოკატო მოღვაწეობაში და კმაყოფილებით იგონებს ძნელბედობისა, მაგრამ ამასთანავე მრავალმხრივი გამარჯვებების წლებს, რამაც დღევანდელობამდე მოიყვანა ჩვენი ქვეყანა.

ომი რომ დაიწყო, ა. ლომინაძე უკვე გამოცდილი, კვალიფიციური იურისტი იყო და სამხედრო პროკურატურაში გაიწვიეს. ჯერ დივიზიის სამხედრო პროკურატურის გამომძიებლად მუშაობდა, შემდეგ კი ფრონტზე მოქმედი სამხედრო შენაერთის პროკურორად დაანიშნეს. მალე ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო პროკურორის თანაშემწე გახდა. ახალგაზრდა იურისტის მონდომება, ყველა საქმისადმი სერიოზული მიდგომა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. დემობილიზაციის შემდეგ იგი საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილედ დაინიშნა. აქედან ა. ლომინაძე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორად გადაიყვანეს, სადაც 1956 წლამდე იმუშავა.

პროკურატურის ორგანოებიდან ა. ლომინაძე, საკუთარი თხოვნით გათავისუფლდა, მაგრამ იურისტის პროფესიას მაინც ვერ შეელია. 1956 წლიდან იგი ადვოკატია და აქაც ერთგულად ემსახურება ახალგაზრდობაში ამორჩეულ საყვარელ საქმეს.

მხოლოდ მოწინავეთა შორის ყოფნა იქცა ა. ლომინაძის ცხოვრების ძირითად აზრად. აკი ამიტომაც ასახელებენ მას საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმში იმათ გვერდით, ვინც ქართული საადვოკატო მოღვაწეობა და მჭევრმეტყველება მაღალ დონეზე აიყვანა. ამის დასტურია ქართულად გამოცემული ის ერთადერთი წიგნიც, რომელსაც „ქართველ ადვოკატთა სამოსამართლო სიტყვები“ ჰქვია. აქ, სხვა ქართველ სახელმოხვეჭილ ადვოკატთა გვერდით ა. ლომინაძესაც სრულიად სამართლიანად დაეთმო ადგილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცხოვრებაგამოვლილი, მუდამ დარბაისელი, წინდახედული იურისტი ჩვეული პასუხისმგებლობით ასრულებს საზოგადოებრივ დავალებებს, იგი ადვოკატთა მოღვაწეობის ხარისხის შემოწმებისა და მათ შორის შრომის დისციპლინის განმტკიცების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარეა. ამ კომისიის ნაყოფიერი მუშაობა აღნიშნა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა 1982 წლის 14 იანვარს, როცა მის თავმჯდომარეს მადლობა გამოუცხადა და ფასიანი საჩუქრითაც დააჯილდოვა.

ცალკე უნდა გამოიყოს ა. ლომინაძის ლიტერატურული მოღვაწეობა. იგი ახალგაზრდობაშივე წერდა პიესებს, მოთხრობებს, ფელეტონებს და ჩანახატებს, აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ პრესაში, ხოლო როდესაც პრაქტიკულმა გამოცდილებამ კიდევ უფრო მეტი ცოდნა შესძინა, მისი კალამიც უფრო შედეგიანი და მახვილი გახდა. მის პირად ბიბლიოთეკაში საკმაოდ ინახება იმ ქართული ჟურნალებისა და გაზეთების ნომრები, სადაც ა. ლომინაძის ნაწარმოებებია დაბეჭდილი. ამ საინტერესო მოთხრობებში, იუმორისტულ ჩანახატებსა და ნარკვევებში კარგად ჩანს თავის პროფესიაზე შეყვარებული მწერალი — იურისტი. ყველაზე დიდ ლიტერატურულ გამარჯვებად კი ა. ლომინაძეს ის უნდა ჩაეთვალოს, რომ სხვადასხვა დროს რესპუბლიკის თეატრებში წარმატებით დაიდგა მისი ორი დეტექტური ჟანრის პიესა.

ამას წინათ ა. ლომინაძეს დაბადების სამოცდაათი წელი შეუსრულდა და კოლეგებმა სიყვარულით მოულოცეს ეს თარიღი. თავისი მრავალმხრივი და საინტერესო ცხოვრებიდან მან ძირითადად ის ეპიზოდები გაიხსენა, რომლებიც ადვოკატობის პერიოდში გადახდა.

გასახსენებელი კი ბევრი აქვს ა. ლომინაძეს, რადგან ადვოკატის სიცოცხლის აზრი და მიზანი კანონიერების დაცვა, მისი ცხოვრებაში სანიმუშოდ გატარებაა.

ცხოვრება კი, საინტერესო და შინაარსიანი, კვლავ გრძელდება.

ა. არსენაშვილი.

# მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს

„გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატის 200 წლისთავი" — ასეთი იყო თემა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისა, რომელიც გამართა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების ხელმძღვანელობამ.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ჟვანიამ. მოხსენებები თემებზე: „გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატი, როგორც საერთაშორისო სამართლის დოკუმენტი და გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატის შედეგები" გააკეთეს რესპუბლიკური კურსების მეთოდიკური საბჭოს წევრებმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებმა, პროფესორებმა ი. სიხარულიძემ და ალ. ბენდიანიშვილმა.

კონფერენციაზე გამოვიდნენ რესპუბლიკური კურსების მეთოდიკური საბჭოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათ დოქტორი, პროფესორი ნ. წერეთელი, რესპუბლიკური კურსების მეთოდიკური საბჭოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ო. გამყრელიძე, თბილისის საქალაქო მმაჩის არქივის განყოფილების გამგე ი. ცნობილაძე.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობის შედეგები შეაჯამა რესპუბლიკური კურსების მეთოდიკური საბჭოს თავმჯდომარემ, კურსების დირექტორმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. კომახიძემ.

ჟ. კუძიევა,
რესპუბლიკური კურსების ბიბლიოთეკარი.

# ოფიციალური მასალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოსთან არსებული სახალხო მსაჯულთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოსთან არსებული სახალხო მსაჯულთა საბჭოს დებულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი.

1982 წლის 21 სექტემბერი.

*

## რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოსთან არსებული სახალხო მსაჯულთა საბჭოს დებულება

### I. ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1.** „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად სახალხო მსაჯულთა საბჭო იქმნება რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოსთან.

**მუხლი 2.** სახალხო მსაჯულთა საბჭო არჩევითი საზოგადოებრივი ორგანოა, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს იმ საქმიანობაში, რომელსაც იგი ეწევა მართლმსაჯულების განსახორციელებლად, სასამართლო გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლისა და აგრეთვე გამაფრთხილებელი ხასიათის ღონისძიებათა ჩატარებისათვის.

**მუხლი 3.** სახალხო მსაჯულთა საბჭოს ირჩევენ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა კრებაზე ღია კენჭისყრით სახალხო მსაჯულთა უფლებამოსილების ვადით. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე საბჭოს ასარჩევად სახალხო მსაჯულთა კრებას იწვევს არა უგვიანეს ერთი თვისა რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს მიერ სახალხო მსაჯულთა სიის მიღების დღიდან.

საბჭოს წევრთა რაოდენობას ადგენს სახალხო მსაჯულთა კრება, მაგრამ მათი რიცხვი შვიდზე ნაკლები არ შეიძლება იყოს. საბჭოს შემადგენლობაში არჩეულად ჩაითვლებიან სახალხო მსაჯულები, რომლებმაც მიიღეს კენჭისყრაში მონაწილე სახალხო მსაჯულთა ხმის უმრავლესობა.

სახალხო მსაჯულთა საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და მდივანს.

სახალხო მსაჯულთა საბჭო ქმნის სექციებს თავისი საქმიანობის ცალკეულ მიმართულებათა მიხედვით. საბჭო სექციების ხელმძღვანელებსა და შემადგენლობას ამტკიცებს საბჭოს წევრებისა და სხვა სახალხო მსაჯულთა რიცხვიდან.

**მუხლი 4.** სახალხო მსაჯულთა საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობით, ამ დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

**მუხლი 5.** სახალხო მსაჯულთა საბჭო გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს სახალხო მსაჯულთა კრებას წელიწადში ერთხელ მაინც.

**მუხლი 6.** სახალხო მსაჯულთა საბჭო თავისი კომპეტენციის საკითხებზე ურთიერთმოქმედებს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებსა და ინსპექციებთან, ადმინისტრაციულ და სამეთვალყურეო კომისიებთან, ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიებთან, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოებთან, ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებთან, ამხანაგურ სასამართლოებთან, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების სხვა ორგანოებთან, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

## II. სახალხო მსაჯულთა საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი

**მუხლი 7.** ამ დებულების მე-2 მუხლში მითითებული ამოცანების შესრულების მიზნით სახალხო მსაჯულთა საბჭო:

ხელს უწყობს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სასამართლოში მოვალეობათა შესასრულებლად სახალხო მსაჯულთა გამოძახების რიგ-რიგობის შესახებ კანონის მოთხოვნათა განხორციელებაში;

მონაწილეობს სახალხო მსაჯულებთან მეცადინეობის ორგანიზაციაში მათი სამართლებრივი ცოდნის ასამაღლებლად;

დახმარებას უწევს სახალხო მსაჯულებს ამომრჩეველთათვის ანგარიშების ჩაბარების ორგანიზაციაში და აკონტროლებს მათ ჩატარებას; ინფორმაციას აწვდის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ამომრჩეველთა შენიშვნების და წინადადებების შესახებ, რომლებიც სასამართლოს მუშაობას შეეხება;

ხელს უწყობს მართლმსაჯულების აღმზრდელობითი მნიშვნელობის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელებას;

უზრუნველყოფს სახალხო მსაჯულთა მონაწილეობას პირობით მსჯავრდებულთა ყოფაქცევისადმი კონტროლის განხორციელებაში; არკვევს, შინაგან საქმეთა ორგანოებს, ხოლო არასრულწლოვანთა მიმართ აგრეთვე არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს დაწესებული აქვთ თუ არა კონტროლი მსჯავრდებულთა ყოფაქცევისადმი, რომელთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულება გადადებულია; აგრეთვე აღსრულებულია თუ არა განაჩენი იმ ნაწილში, რომელიც შეეხება განსაზღვრული შრომითი კოლექტივის ან პირისათვის მსჯავრდებულზე ზედამხედველობისა და მასთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარების მოვალეობის დაკისრებას;

ხელს უწყობს სასამართლოს ალიმენტების გადახდევინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებათა, სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილებათა და განაჩენთა დროულად აღსრულებისადმი კონტროლის განხორციელებაში;

მონაწილეობს სასამართლოს კერძო განჩინებათა გამო ზომების მიღებისადმი კონტროლის განხორციელებაში;

ხელს უწყობს სასამართლოს განაჩენთა და გადაწყვეტილებათა ფართოდ განხილვას საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილას;

ისმენს სექციების ხელმძღვანელთა და სახალხო მსაჯულთა ინფორმაციებს გაწეული მუშაობის შესახებ, იძლევა რეკომენდაციებს მისი გაუმჯობესების თაობაზე და ორგანიზაციას უწევს მათი მუშაობის დადებითი გამოცდილების გაზიარებას;

ინფორმაციას აწვდის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს პირობით მსჯავრდებულთა გამოსასწორებლად და ხელახლა აღსაზრდელად, ალიმენტების გადახდევინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებათა, სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებათა, განაჩენთა და კერძო განჩინებათა შესასრულებლად, აგრეთვე სხვა საკითხებთან დაკავშირებით საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობაში ნაკლოვანებათა თაობაზე.

სახალხო მსაჯულთა საბჭო აღძრავს შუამდგომლობებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე სასამართლოში აქტიური მუშაობისათვის სახალხო მსაჯულთა წახალისების შესახებ.

## III. სახალხო მსაჯულთა საბჭოს საქმიანობის წესი

**მუხლი 8.** სახალხო მსაჯულთა საბჭო მუშაობს საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმით. სამუშაო გეგმა დგება ყოველკვარტალურად. მისი შესრულებისადმი კონტროლს ახორციელებს საბჭოს თავმჯდომარე.

**მუხლი 9.** სახალხო მსაჯულთა საბჭოს სხდომები ტარდება სულ ცოტა კვარტალში ერთხელ და უფლებამოსილად ითვლება, თუ მათ ესწრება საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს გადაწყვეტილებანი მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით. სხდომების ოქმებს ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

სახალხო მსაჯულთა საბჭოს სხდომებში მონაწილეობის მიღება შეუძლია რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს.

**მუხლი 10.** სახალხო მსაჯულთა საბჭოს სასამართლოს მუშაობის მოცულობისა და პირობების, სახალხო მსაჯულთა რაოდენობის მიხედვით შეუძლია სახალხო მსაჯულთაგან შექმნას შემდეგი სექციები:

პირობით მსჯავრდებულთათვის გამოტანილი განაჩენების, აგრეთვე იმ მსჯავრდებულთა მიმართ განაჩენის აღსრულებისადმი კონტროლისა, რომელთაც გადაედოთ თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულება;

ალიმენტების გადახდევინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებათა, სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებათა და განაჩენთა აღსრულებისადმი კონტროლისა;

სასამართლოს კერძო განჩინებათა შესრულებისადმი კონტროლისა;

მართლმსაჯულების აღმზრდელობითი მნიშვნელობის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელებაში ხელის შეწყობისა.

საბჭოს შეუძლია შექმნას სხვა სექციებიც, აგრეთვე სექციები თავისი საქმიანობის რამდენიმე მიმართულების მიხედვით. სექციების დაკომპლექტებისას გაითვალისწინება სახალხო მსაჯულთა პროფესია, ცხოვრებისეული გამოცდილება და სურვილი.

**მუხლი 11.** სახალხო მსაჯულთა საბჭოს თავმჯდომარე:

იწვევს საბჭოს და თავმჯდომარეობს მის სხდომებზე;

განსაზღვრავს მორიგ სხდომაზე განსახილველ საკითხებს;

აძლევს დავალებებს საბჭოს წევრებსა და სხვა სახალხო მსაჯულებს;

ორგანიზაციას უწევს მუშაობას საბჭოს გადაწყვეტილებათა შესასრულებლად;

ინფორმაციას აწვდის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს სახალხო მსაჯულთა საბჭოს მუშაობის შესახებ.

სახალხო მსაჯულთა საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

**მუხლი 12.** რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე წარმართავს სახალხო მსაჯულთა საბჭოს მუშაობას, აცნობს საბჭოს წევრებსა და სხვა სახალხო მსაჯულებს სასამართლოს ამოცანებს, ორგანიზაციასა და საქმიანობას, ეხმარება საბჭოს მუშაობაში.

საბჭოსათვის მეთოდური და სამართლებრივი დახმარების გასაწევად რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე იზიდავს სახალხო მოსამართლეებს.

**მუხლი 13.** სახალხო მსაჯულთა საბჭოს საქმიანობას ტექნიკურ მომსახურებას უწევს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს აპარატი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ლაშქარაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## გამოკვლევა საზოგადოებრივი აზრისა და მართლშეგნების შესახებ

თ. შავგულიძის ნაშრომით „საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა" საზოგადოებამ მიიღო მეტად საინტერესო და საჭირო წიგნი, რომელიც ეხება საზოგადოებრივი აზრისა და მართლშეგნების იმ ძირეულ საკითხებს, რომლებსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის საქმეში.

ავტორი ითვალისწინებს იმ არსებულ არადამაკმაყოფილებელ ვითარებას, რომ საბჭოთა მეცნიერებაში ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება საზოგადოებრივ აზრსა და მართლშეგნებას შორის, ასევე — მართლშეგნების ადგილი ადამიანის ქცევის ფაქტორთა სისტემაში, იგი ცდილობს შეავსოს აღნიშნული ხარვეზი, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მართლშეგნების პრობლემის კომპლექსურ კვლევას.

ნაშრომი შედგება ორი თავისაგან. პირველი — „მართლშეგნება და მისი ზემოქმედება დანაშაულებრივ ქცევაზე" ძირითადი თეორიული გამოკვლევაა, ხოლო მეორე — „მოსწავლეთა და სტუდენტობის მართლშეგნების დახასიათება", ექსპერიმენტული გზით მოპოვებულ საინტერესო მასალას გვითვალისწინებს.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია საკითხები: 1. საზოგადოებრივი შეგნება და მართლშეგნება, 2. მართლშეგნება და საზოგადოებრივი აზრი, 3. სოციალისტური და სამართლებრივი კონტროლი და დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური სტრუქტურა, 4. მართლშეგნების ადგილი დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურ ფაქტორთა შორის.

წიგნის გაცნობისას მკითხველს იმთავითვე თვალში ეცემა მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის აუცილებელი გზა: ჯერ კონკრეტული ცნების შინაარსის დადგენა, მისი მიმართებების გარკვევა სხვა ცნებებთან, ხოლო შემდეგ ემპირიული გამოკვლევა. ავტორი არ ღალატობს ამ ლოგიკურ გზას, იგი იწყებს სწორედ საზოგადოებრივი შეგნებისა და მართლშეგნების ცნებების შინაარსის გარკვევით. ავტორი წერს: „ადამიანის სოციალიზაციის კვალობაზე გროვდება არა მხოლოდ ცოდნა და გამოცდილება, არამედ იქმნება დამოკიდებულება სხვადასხვა მოვლენისადმი, ყალიბდება სოციალურ ღირებულებათა მთელი სისტემა, მუშავდება ამა თუ იმ ვითარების შესაბამისი ქცევის შაბლონები, აგრეთვე, და ეს მთავარია, დამოკიდებულება გარკვეული მოქმედებისადმი და გზები გარკვეული მოქმედების შესასრულებლად. ყოველივე ეს აისახება ადამიანის ცნობიერებაში და ქმნის ცოდნისა და გარკვეული მოქმედებისადმი მზაობის პოტენციურ ველს, რომელიც შეგნების სფეროს განეკუთვნება" (გვ. 13 შეად. გვ. 151). საზოგადოებრივი შეგნება, როგორც ზედნაშენური კატეგორია, ყოფიერების უბრალო ასახვა კი არ არის, არამედ მას ადამიანთა ქცევის, მათი ურთიერთობის მომწესრიგებელი ფუნქცია აქვს. საზოგადოებრივი შეგნება ადამიანში მთლიანობითი ბუნებისაა და მეცნიერების დარგები დიფერენცირებული შესწავლის მიზნით გამოყოფს მის ამა თუ იმ ნაწილს (მაგ. პოლიტიკური, ესთეტიკური და ა. შ.); იმის კვალობაზე, თუ საზოგადოებრივი ურთიერთობის რომელი სფეროს შეგნებისეულ მოწესრიგებას ეხება საქმე, წარმოიშობა მოძღვრებაც საზოგადოებრივი შეგნების შესაბამისი ფორმის თაობაზე.

თ. შავგულიძე იზიარებს შეხედულებას, რომ საზოგადოებრივი შეგნების ის სფერო, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობათა ასპექტს ასახავს, მართლშეგნებას წარმოადგენს, რომელსაც სამი ძირითადი ფუნქცია მიეწერება: შემეცნებითი, შეფასებითი და მომწესრიგებელი. ამის საფუძველზე უნდა ვთქვათ, რომ ის პიროვნებაა მაღალი მართლშეგნებით, რომელმაც იცის კანონი, ეთანხმება მას და მზად არის პრაქტიკულად განახორციელოს მოთხოვნა. მართლშეგნების ფუნქციათა შორის გადამწყვეტია მომწესრიგებელი ფუნქცია, ვინაიდან იგი საერთოდ შეგნების არსებითი ნიშანია (გვ. 14-18).

აქვე დგება საკითხი მართლშეგნების დამოკიდებულებისა საზოგადოებრივი აზრის ცნებასთან. ავტორი ამ ცნებებს განასხვავებს და იძლევა საზოგადოებრივი აზრის ცნების შინაარსის გარკვევის ცდას. იგი წერს, „საზოგადოებრივი აზრი არის მიკრო და მაკრო სოციალურ ჯგუფში გაბატონებული შეხედულება გარკვეულ სოციალურ, სამართლებრივ მოვლენებზე, აგრეთვე პიროვნებაზე, მის ქცევასა და სოციალურ, სამართლებრივ ღირებულებებზე, იგი განპირობებულია საზოგადოების საწარმოო წესით, სოციალური და პოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკური წყობით, ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობებით და საზოგადოებრივი შეგნების დონით. საზოგადოებრივი აზრი გვევლინება სოციალური კონტროლის უზრუნველყოფის საშუალებად და წარმოადგენს ქცევის შაბლონების შემუშავებისა და „მე"-კონცეფციის ჩამოყალიბების და ვანმტკიცების წყაროს" (გვ. 32-33). ავტორი თვლის, რომ საზოგადოებრივი აზრის ცნების მოცულობა ფართოა მართლშეგნებასთან შედარებით, ვინაიდან პირველი მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მოვლენას, მათ შორის სამართლებრივ მოვლენებსაც (გვ. 40). ავტორის მსჯელობა, ვფიქრობთ, დამარწმუნებელია საზოგადოებრივი აზრისა და მართლშეგნების ცნებათა განსხვავების საქმეში. ამასთან კარგი იქნებოდა, ავტორს დაწვრილებით განეხილა საკითხი საზოგადოებრივი აზრის განსხვავებისა საზოგადოებრივი შეგნებისაგან საერთოდ; საზოგადოებრივი აზრის ამაღლება საზოგადოებრივ შეგნებამდე ხომ არ მოხსნიდა მათ განსხვავებულობას?

თ. შავგულიძის ნაშრომში, როგორც აღინიშნა, ერთ-ერთი პირველი სერიოზული ცდაა, გაარკვიოს ადამიანის ქცევის ფაქტორთა სისტემაში მართლშეგნების ადგილი. განსაკუთრებით აღსანიშნავი ის არის, რომ ნაშრომში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ფსიქოლოგიური ასპექტის დამუშავება, რასაც საბჭოთა მკვლევარები მართლშეგნების კვლევის დროს ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. ფსიქოლოგიური მხარის შესწავლის დროს ავტორი არსებითად ემყარება ქართული ფსიქოლოგიური სკოლის — განწყობის ფსიქოლოგიის მიღწევებს.

ავტორი ნაშრომში დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაუკავშირდეს არა მარტო ნებისმიერ ქცევას, არამედ იმპულსურსაც, ოღონდ ისეთს, რომლის დროსაც პიროვნებას შესწევს უნარი გააცნობიეროს თავისი ქცევა და მას ნებისყოფა დაუპირისპიროს. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ნებისყოფის სუბიექტს.

ნაშრომში, ვფიქრობთ, დამაჯერებლად არის გაანალიზებული მოტივაციის პროცესში მისი ე. წ. სუბიექტური (მოთხოვნილება, სუბიექტის უნარი, მართლშეგნება, „მე"-კონცეფცია) და ე. წ. ობიექტური (მოთხოვნილების ობიექტი, სიტუაცია, საზოგადოებრივი აზრი, ანუ სოციალური კონტროლი და სამართლებრივი ნორმები ანუ სამართლებრივი კონტროლი) მხარის ფაქტორები. ასევე მითითებულია ქცევის სუბიექტზე მართლშეგნებისა და სამართლებრივი კონტროლის, როგორც განსხვავებული ფაქტორების, ზემოქმედების სპეციფიკურ ბუნებაზე. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ მართლშეგნება გაცილებით ქმედითია სამართლებრივ კონტროლთან შედარებით. მაღალი მართლშეგნება შეუძლებელს ხდის დანაშაულებრივი ქცევის მოტივის შემუშავებას, ვინაიდან არ შეიძლება პიროვნებამ დანაშაულებრივი მოქმედება თავისთვის საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნიოს, თუ მას ამის საწინააღმდეგო ქცევის მზაობა ადრევე შექმნილი ექნება. დანაშაულებრივი ქცევის მოტივის გამომუშავება, ე. ი. მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მრავალ ქცევათა შორის დანაშაულის არჩევა და მისი მიზანშეწონილად მიჩნევა დაბალი მართლშეგნების შედეგია.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დ. უზნაძის განწყობის თეორიის ძირითადი დებულებების გამოყენების საკითხს ქცევის მიმდინარეობის დახასიათებისათვის. კერძოდ, საქმე ეხება ე. წ. „ინტეგრირებული ქცევის განწყობას", რომელიც, ავტორის აზრით, რამდენიმე ქცევას მოიცავს და ავსებს უკვე წარმართული ქცევის შუალედებს. აღნიშნულ საკითხს უკავშირდება „გენერალური ქცევის მოტივისა" და „გენერალური ქცევის განწყობის", აგრეთვე „ფიქსირებული გენერალური განწყობის" ცნებები. ავტორი თვლის, რომ სამართლებრივი აღზრდა ფაქტობრივად წარმოადგენს ინდივიდში სამართლებრივი ნორმების შესრულების გენერალური მიზნის, მოტივისა და განწყობის შექმნა-განმტკიცებას. ამ მიმართულებით შემდგომი მუშაობა საინტერესო ჩანს განწყობის ფსიქოლოგიისათვის.

წიგნის მეორე თავში მოყვანილია ის ექსპერიმენტული მასალა, რომელიც ეხება საქართველოში დანაშაულისა და სასჯელის პრობლემების სფეროში მოსწავლე ახალგაზრდობის გაცნობიერების დონის სოციოლოგიურ გამოკვლევას. აქვე მოცემულია რამდენიმე ზოგადი ხასიათის დასკვნა, და ბოლოს მითითებულია იმ საკითხებზე, რომელთა მომავალი გამოკვლევა ხელს შეუწყობს ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი აზრისა და მართლშეგნების საერთო დინამიკის სურათის ჩვენებას.

წიგნში რამდენიმე მსჯელობაა, რომლებიც დაზუსტებას მოითხოვს:

1. კარგი იქნებოდა, ავტორს მოტივის უზნაძისეული გაგების გადმოცემის დროს (იხ. გვ. 74) მოეყვანა უზნაძის მიერ მოტივის ფუნქციის დახასიათება, რომ „მოტივი ფიზიკურ ქცევას პიროვნების ძირითად მოთხოვნილებათა სისტემაში რთავს და სუბიექტს

მისი შესრულების განწყობას უჩენს" (დ. უზნაძე, შრომები, ტ. 3-4, თბ. 1964, გვ. 216). აღნიშნულზე ხაზგასმით მითითებული იქნებოდა იმ ორიგინალურ მომენტზე მოტივის გაგებაში, რაც განასხვავებს დ. უზნაძის მოტივის ცნებას არსებული სხვა შინაარსისაგან.

2. ავტორი წერს: „ადამიანის სოციალიზაცია იწყება თვითკონტროლის უნარის გაჩენით" (იხ. გვ. 151). ავტორი, ალბათ, არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ადამიანის სოციალიზაცია, მასში საზოგადოებრივი ნორმების შეტანა, ე. წ. ინტერიორიზაცია თვითკონტროლის უნარის აღმოცენებამდეც ხორციელდება.

3. წიგნის 66-67-ე გვ. წერია: „ადამიანის მოქმედების მექანიზმში მიზნის დასახვა მეორე, მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდგომი ეტაპია". ეს მსჯელობა შეიძლება ისე იქნეს გაგებული, თითქოს მიზნის დასახვა მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდგომ ხდებოდეს. ამიტომ უნდა ეწეროს: „ადამიანის მოქმედების მექანიზმში მიზნის დასახვა მეორე, მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის აქტიურობის შემდგომი ეტაპია".

4. ავტორი იზიარებს დებულებას, რომ „მიზანი ადამიანის მოთხოვნილების... ახალ თვისობრიობას წარმოადგენს" (გვ. 67). მიზანი მოთხოვნილების თვისება კი არ არის, არამედ იმ ქცევის სტრუქტურის მომენტია, რომელიც აღძრულია მოთხოვნილებით.

5. 76-ე გვ. წერია: „მოთხოვნილება საჭიროების შეგრძნებაა, ხოლო მოტივი არის შეგრძნება... ღირებულებისა". შეგრძნების მაგივრად უნდა იყოს ტერმინი „განცდა", ან „ცნობიერება".

6. ავტორი თვლის, რომ „განწყობა, შესაბამის ქცევას ყოველთვის არ იწვევს, ადამიანს შეუძლია შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება ან დაიოკოს მოთხოვნილების იმპულსი და ეს შეიძლება განწყობის შეცვლის საფუძვლად იქცეს" (გვ. 20).

უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით, ქცევასა და მის შესაბამის განწყობას შორის განსვლა დაუშვებელია. რა ქცევაც უნდა განხორციელდეს, მას შესაბამისი განწყობა უდევს საფუძვლად და ყოველი ქცევა კონკრეტული განწყობის რეალიზაციაა. ამდენად განწყობა შესაბამის ქცევას იწვევს ყოველთვის.

7. წიგნის 62-ე გვერდზე ავტორი მსჯელობს ნებისმიერი და იმპულსური ქცევების შესახებ და მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს წინააღმდეგობის გადალახვის უნარით. სახელდობრ, ნებისმიერი მაშინ არის ქცევა, როცა ხდება წინააღმდეგობის გადალახვა, ხოლო იმპულსურია ქცევა, როცა მას წინ არ ეღობება ობიექტური ან სუბიექტური ბუნების წინააღმდეგობები.

ფიქრობენ, რომ წინააღმდეგობის გადალახვა უცხო არ არის ცხოველის ქცევისათვის, რომელსაც რა თქმა უნდა, ნებისყოფას ვერ მივაწერთ, ამდენად ზემოაღნიშნული ნიშანი არ გამოდგება ქცევის გათიშვისათვის იმპულსურად და ნებისმიერად. განმასხვავებელ ნიშანს სხვა ფაქტორში ხედავენ, სახელდობრ, გენეზისში. იმპულსური ქცევა მოთხოვნილებით განპირობებულად ითვლება (სულ ერთია ეს მოთხოვნილება მაღალი თუ დაბალი რომელობისაა), ამისაგან განსხვავებით, ნებისმიერი ქცევა მხოლოდ ნებისყოფით აღძრული ქცევაა (მნიშვნელობა არა აქვს ქცევის განხორციელების გზაზე წინააღმდეგობის გადალახვის მომენტს, წინააღმდეგობის გადალახვა იმპულსური ქცევითაც ხდება: მშიერი ადამიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის მრავალ სიძნელეს გადალახავს). ეს თვალსაზრისი უფრო ლოგიკური და დამარწმუნებელი ჩანს. ამიტომ დანაშაულებრივი ქცევაც კონკრეტულად განპირობებული შეიძლება იყოს როგორც იქნება ან იმპულსური, ან ნებისმიერი, და დანაშაულებრივი ქცევაც ამისდა მიხედვით იქნება ან იმპულსური, ან ნებისმიერი.

თ. შავგულიძის მონოგრაფია „საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა" ღრმა მეცნიერული გამოკვლევაა, რომელიც გამოირჩევა ორიგინალურობით, ლოგიკურობით, გადმოცემის სისადავით. იგი სამართლებრივი და ფსიქოლოგიის მეცნიერების მიჯნაზე მართლშეგნების კვლევის მიმართულებით გადადგმული პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია და საინტერესო ნაშრომია, როგორც იურიდიული, ისე ფსიქოლოგიის მეცნიერებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

ა. ფრანგიშვილი,

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

ვ. კაკაბაძე,

ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაშრომი დანაშაულის პროფილაქტიკაში სასამართლოს როლის შესახებ

1981 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა ალ. შუშანაშვილის წიგნი „სასამართლო და დანაშაულის პროფილაქტიკა".

სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას, იუსტიციის ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას, მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლებას. სწავლული და პრაქტიკოსი იურისტები ამის საფუძველზე იკვლევენ აქტუალურ და რთულ პრობლემებს, რომლებიც შეეხება სასამართლოების საქმიანობის გაუმჯობესებას, მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას.

ამ მიზანს ისახავს ალ. შუშანაშვილის ნაშრომიც. წიგნი ეყრდნობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის შეხედულებებს სოციალისტური კანონიერებისა და საბჭოთა მართლმსაჯულების შესახებ, სკკპ XXVI ყრილობის, და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, ამ უკანასკნელ ხანს პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებს.

წიგნში, რომელიც წინასიტყვაობისა და სამი თავისაგან შედგება, განხილულია მოქმედი საბჭოთა საპროცესო კანონმდებლობა, განზოგადებულია სასამართლო პრაქტიკის მონაცემები, გამოყენებულია მდიდარი სპეციალური ლიტერატურა, ნაჩვენებია საზღვარგარეთის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობის თავისებურებანი.

წიგნის პირველ თავში „სასამართლოს გამსვლელი სესია" დაწვრილებით არის დამუშავებული გამსვლელი სესიის არსი და მნიშვნელობა, გამსვლელი სესიის მომზადების და მისი ჩატარების, სამსჯავრო განხილვის აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური ზემოქმედების საკითხები.

ავტორი აღნიშნავს თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა მართლმსაჯულების განხორციელების ისეთ მნიშვნელოვან დემოკრატიულ პრინციპს, როგორიც არის სასამართლოში საქმეთა განხილვის საჯაროობა.

მართებულია ავტორის დასკვნა საქმის სასამართლოს გამსვლელ სესიაზე განხილვის უდიდესი პროფილაქტიკური და გამაფრთხილებელი მნიშვნელობის შესახებ. კონკრეტული საქმის გარჩევით სასამართლო განუმარტავს ფართო საზოგადოებრიობას დანაშაულის საშიშროებას, თვალნათლივ უჩვენებს იმ მიზეზებსა და პირობებს, რომლებიც იწვევს ან ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას. პრაქტიკის არაერთი მაგალითით დადასტურებულია, რომ კარგად ჩატარებული სასამართლო საჯარო გამსვლელი სხდომა აქტიურად უწყობს ხელს სოციალისტური კანონების განმტკიცებას, დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრას. წიგნში მოყვანილია სასამართლო პრაქტიკის სათანადო მონაცემები.

ავტორს გამოთქმული აქვს საინტერესო და ყურადსაღები რეკომენდაციები სასამართლოს გამსვლელი სესიის მომზადებისა და ჩატარების საკითხთან დაკავშირებით. ორიგინალურია ავტორისეული მოსაზრებანი სამსჯავრო განხილვის აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური ზემოქმედების გაფართოების შესახებ.

ავტორი გვთავაზობს დასაბუთებულ მოსაზრებებს, თუ რა დიდი როლი აკისრია სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური ზემოქმედების გაფართოების, სოციალისტური კანონიერებისა და მართლმსაჯულების საკითხებისადმი ფართო საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობის საქმეში პრესას, რადიოსა და ტელევიზიას.

ნაშრომის მეორე თავში „საზოგადოებრივი ბრალმდებელი და საზოგადოებრივი დამცველი" სპეციალურ ლიტერატურულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყაროებსა და მოქმედ საკანონმდებლო მასალაზე დაყრდნობით გამოკვლეულია: საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის პროცესუალური მდგომარეობა და სამსჯავრო განხილვაში მათი მონაწილეობის მნიშვნელობა; საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის გამოყოფის პროცესუალური საკითხები, მათი საქმის განხილვაში დაშვება, მათი მონაწილეობა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის სამსჯავრო განხილვაში მონაწილეობა ხელს უწყობს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას, კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის დადგენას. ამიტომ სწორად დაასკვნის ავტორი, რომ ამ ინსტიტუტს დიდი პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს, ეხმარება სასამართლოს დაადგინოს ჩადენილი დანაშაულის ყველა მიზეზი და ხელის შემწყობი პირობა, დასახოს ეფექტიანი ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად.

მკითხველი ინტერესით გაეცნობა ავტორისეულ მოსაზრებებს საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის გამოყოფისა და მათ სასამართლოზე დაშვების საკითხთან დაკავშირებით. აქვე გაანალიზებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლები, რომლებიც აწესრიგებს საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის საქმიანობას.

შრომის მესამე თავი ეძღვნება სასამართლოს კერძო განჩინებას. ამ თავში სხარტად და სწორედ არის გამოკვლეული საკითხები: კერძო განჩინების არსი და მნიშვნელობა, მისი კანონიერება და დასაბუთებულობა, კერძო განჩინების დადგენისა და აღსრულების, მისი გაპროტესტების და გასაჩივრების წესი. გაანალიზებულია საქართველოს სსრ სსსკ 321-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს კერძო განჩინების საწევებს, მისი დადგენისა და აღსრულების წესს. კრიტიკულად არის განხილული კერძო განჩინების სამართლებრივი ბუნების თაობაზე საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული სწავლული იურისტების მოსაზრებანი. სავსებით სწორია ავტორის დასკვნა, რომ სასამართლოს შეუძლია კერძო განჩინების საშუალებით თვალსაჩინო ზემოქმედება მოახდინოს სოციალისტური კანონიერების დაცვის მდგომარეობასა და ხალხის მართლშეგნებაზე, თუ ამ საკითხში გამოიჩენს მეტ დაინტერესებას და აქტიურობას, მტკიცედ დაიცავს და შეასრულებს კანონის მოთხოვნებს. კერძო განჩინება, განაგრძობს მსჯელობას ავტორი, მართლმსაჯულების აქტია და იგი შეიძლება და უნდა დადგინდეს მხოლოდ მართლმსაჯულების პრინციპების საფუძველზე, პროცესუალური ნორმებისა და ფორმების დაცვით.

რესპუბლიკის სახალხო სასამართლო ორგანოების პრაქტიკის შესწავლის და ანალიზის შედეგად წიგნში გამოვლენილია მთელი რიგი ნაკლოვანებები და დარღვევები სასამართლო ორგანოების მუშაობაში, მოცემულია მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები მათს აღმოსაფხვრელად. ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრებანი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე. არგუმენტირებულია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებული შესაბამისობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი.

წიგნი კარგი ლიტერატურული ენით არის დაწერილი და ინტერესით იკითხება. ეს წიგნი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში პირველი მონოგრაფიული ნაშრომია, რომელიც ეძღვნება სასამართლო პროფილაქტიკის საკითხებს. წიგნის მიმართ გვაქვს ცალკეული შენიშვნები. ჩვენი აზრით, ნაშრომის პირველი თავი „სასამართლოს გამსვლელი სესია“ უფრო სწორი იქნებოდა დასათაურებულიყო ასე: „სასამართლოს გამსვლელი სხდომა“. ავტორი ამ შემთხვევაში იზიარებს რუსულ და ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას „სასამართლოს გამსვლელი სესიის“ შესახებ. უფრო მეტიც, პროფ. რ. რახუნოვმა 1968 წელს გამოსცა ნაშრომი „სასამართლოს გამსვლელი სესია“. საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის სახელმძღვანელოებში ავტორები ხმარობენ ტერმინს „სასამართლოს გამსვლელი სესია“ (როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე არსებულ სახელმძღვანელოებში), რაც სწორედ არ მიგვაჩნია, ვინაიდან სასამართლო ორგანოები, როგორც წესი, სესიებს არ ატარებენ. „სესიებს“ ატარებენ ხელისუფლების ადგილობრივი და უმაღლესი ორგანოები, სამეცნიერო დაწესებულებები და ა. შ. სასამართლოები ატარებენ გამსვლელ, საჯარო სხდომებს, ზოგჯერ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში დახურულსაც. ლიტერატურაში დამკვიდრებულ ამ მცდარ ტერმინოლოგიაზე უარი უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვთქვათ. მით უფრო, როცა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა (საკავშირო და რესპუბლიკური) არ იყენებს ტერმინს „სასამართლო სესია".

სასურველი იყო ნაშრომის მეორე თავი „საზოგადოებრივი ბრალმდებელი და საზოგადოებრივი დამცველი" ცალ-ცალკე თავებად ყოფილიყო გამოყოფილი.

სამეცნიერო ლიტერატურაში, პრესაში ხმარობენ გამოთქმას „ახალი კონსტიტუცია". კონსტიტუცია (1977 წ.), რომელიც ხუთი წელია მოქმედებს, ახალი აღარ არის. ჩვენი ავტორიც, ტრადიციისამებრ, კონსტიტუციას ახალს უწოდებს.

წიგნი უდავოდ მოიგებდა, რომ მას დართვოდა რეზიუმე რუსულ ენაზე. მით უფრო, როცა წიგნში ავტორი აკრიტიკებს ზოგიერთ ცნობილ და წამყვან საბჭოთა მეცნიერებს, მაგალითად, ტ. დობროვოლსკაიას და სხვ.

ჩვენ არ ვიზიარებთ წიგნში განვითარებულ მოსაზრებას (გვ. 114—118) და აგრეთვე სხვა ავტორთა მოსაზრებებს (ლ. გოლუბევა, ვ. სავიცკი, ე. ლევაკოვა), რომლებიც მოითხოვენ საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის მიერ განაჩენის გასაჩივრებასა და საკასაციო წესით განხილვაში მათი დაშვების უფლების დაკანონებას. საეჭვოა, საკასაციო ინსტანციაში, სადაც მაღალკვალიფიციური მოსამართლეები პროკურორისა და ადვოკატის მონაწილეობით ამოწმებენ და იხილავენ საკასაციო საჩივარს, საზოგადოებრიობის წარმომადგენლების, არასპეციალისტების მონაწილეობამ რაიმე სარგებლობა მოუტანოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

ეს არაარსებითი შენიშვნები ოდნავადაც არ ჩრდილავს წიგნის ღირებულებას. იგი დახმარებას გაუწევს რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების და იუსტიციის სხვა ორგანოების პრაქტიკოს მუშაკებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ ახალგაზრდობას საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის მეცნიერების შესწავლისას, აგრეთვე მეცნიერ მუშაკებს, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესში მუშაობენ, და ფართო მკითხველებსაც. ალ. შუშანაშვილის წიგნი აქტიურ როლს შეასრულებს რესპუბლიკის მოსახლეობის სამართლებრივი სულისკვეთებით აღზრდაში.

**დ. ცინცაძე,**
**იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მეცნიერული კეთილსინდისიერებისათვის

1979 წლის ბოლოს გამოქვეყნდა თბილისის უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის პროფესორის ვ. აბაშმაძის წიგნი „საბჭოთა სოციალისტური სამართლის თეორიის საკითხები“. წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ ავტორი მიზნად ისახავს „განვითარებული სოციალიზმის ეპოქის საზოგადოებრივ ურთიერთობებზე საბჭოთა სამართლის ზემოქმედების უმნიშვნელოვანესი იურიდიული ფორმების მეცნიერულ შესწავლას“, კერძოდ, ისეთი პრობლემებისა, როგორიც არის სოციალისტური სამართლის სისტემა და სოციალისტური სამართლებრივი ურთიერთობები. როგორ არის განხორციელებული ეს მიზანი დასახელებულ წიგნში?

ჩვეულებრივ, მეცნიერული ნაშრომის რეცენზირებისა და შეფასების კრიტერიუმია მისი ღირსებებისა და ნაკლოვანებების გაანალიზება, იმ წვლილის დადგენა, რომელიც ავტორმა შეიტანა მეცნიერების გარკვეულ დარგში ან ცალკეული პრობლემის დამუშავებაში. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ამ ტრადიციის დაცვა შეუძლებელია, ვინაიდან პროფესორი ვ. აბაშმაძე მხოლოდ პირობით შეიძლება ჩაითვალოს ავტორად გამოცემული წიგნისა. მისი დიდი ნაწილი ა) ან სიტყვასიტყვით გადაწერილია რუსი საბჭოთა სწავლული იურისტების შრომებიდან (ცხადია, წყაროების მიუთითებლად), ბ) ან სიტყვასიტყვით გადაწერილია უწინწკლებოდ და უკომენტარებოდ, მაგრამ ბოლოს გარკვეულ ავტორებზე მითითებით, ისე, რომ მკითხველი ვერ გაიგებს — ეს მითითება ეხება უკანასკნელ წინადადებას, აბზაცს, გვერდს თუ გვერდებს, გ) ან მთელ გვერდებზე გადმოცემულია სხვა ავტორების შეხედულებები მათი შრომების კონსპექტირების სახით, დ) ან კიდევ აკრიტიკებს ამა თუ იმ ავტორის დებულებებს სხვა ავტორთა გამონათქვამებიდან ამონაწერებით.

ცხადია, რომ პროფ. ვ. აბაშმაძის მიერ წყაროების არაკეთილსინდისიერი გამოყენების მეთოდებიდან ყველაზე ალმაშფოთებელი და საჯაროდ გასაკიცხია პირდაპირი გადაწერა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ცალკეულ დამთხვევებთან, საყოველთაოდ აღიარებული ცნებების, განსაზღვრებებისა და დებულებების ერთნაირ გადმოცემასთან, არამედ მთელ გვერდებზე სხვა ავტორთა მსჯელობის უცერემონიოდ გადაწერის თავისებურ სისტემასთან (ზოგჯერ არაკვალიფიციურად თარგმნით და შინაარსის დამახინჯებით). ამასთან, ამ პრობლემატიკას გაცნობილი მკითხველისათვის ნათელი ხდება, რომ ვ. აბაშმაძის ხელში მაკრატლისა და წებოს გამოყენების ობიექტია შედარებით შეზღუდული რაოდენობა ლიტერატურისა, უმეტესად, არა ძველი წლებისა. ასეთ „დაზარალებულ“ ავტორებს მიეკუთვნებიან: ს. ს. ალექსეევი («Общие теоретические проблемы системы советского права», М., 1961), ა. ფ. შებანოვი («Система советского социалистического права, М., 1961), ავტორები წიგნისა «Курс советского государственного права», М., 1971, ავტორები ოთხტომეულისა «Марксистско-ленинская общая теория государства и права», М., 1970—73. ამგვარი გადაწერის ფაქტები ჩვენ მიერ შემჩნეულია პროფ. ვ. აბაშმაძის წიგნის რამდენიმე ათეულ გვერდზე. მაგალითად, გვ. გვ. 29, 30, 31, 39, 42, 43, 44, 45, 50, 65, 67, 68, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 82, 83, 88, 90, 91, 92, 94, 95, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103 და ა. შ. აქვე მოგვყავს გადაწერის რამდენიმე ნიმუში:

**С. С. Алексеев, Общие теоретические проблемы системы советского права, М., 1961.**

Внутренняя согласованность права, основанная на его экономическом, социально-классовом единстве, выражается в единстве его правовых принципов и даже в единстве приемов и способов выражения и закрепления предписаний правовых норм в источниках права.

Однако органическое единство права данного государства не исключает того, что в нем существуют внутренние подразделения — самостоятельные, относительно обособленные области. Совершенно очевидно, например; что правоположения, регламентирующие процедуру рассмотрения уголовных дел и условия купли-продажи товаров, столь отличаются друг от друга, что должны быть отнесены к различным областям права. (стр. 3—4).

Отрасли права характеризуются следующим:

А) Они являются главными подразделениями системы советского права. Система права складывается именно из отраслей. Это не исключает возможности классификации отраслей, их группировку по определенным признакам. Но такая группировка, отражая некоторые связи между родственными по содержанию отраслями, имеет вторичный характер.

Б) Отрасли права являются подразделениями правовой классификации. Как уже отмечалось выше, объективную основу разграничения права на отдельные отрасли следует искать вне права, в конечном счете — в экономическом базисе общества. Однако отсюда вовсе не следует, что само деление права на отрасли не является правовой классификацией[1]. Внеправовые критерии позволяют объяснить связь и разграничение права между собой, но они не могут быть квалифицированы в качестве непосредственных признаков, характеризующих эту связь и разграничение.

В) Соотношение отраслей права характеризуется не только тем, что они обособлены друг от друга, но и тем, что они со-

**ვ. აბაშმაძე, საბჭოთა სოციალისტური სამართლის თეორიის საკითხები, თბ., 1979.**

სამართლის შინაგანი შეთანხმებულობა, რომელიც მის ეკონომიკურ და სოციალურ-კლასობრივ ერთიანობაზეა დამყარებული, გამოხატულებას პოულობს სამართლებრივი პრინციპებისა და იურიდიული ნორმების ბრძანებათა სამართლის წყაროებში გადმოცემის საშუალებებისა თუ ხერხების ერთიანობაში.

მიუხედავად ამისა, სამართლის ორგანული ერთიანობა სულაც არ გამორიცხავს მის დამოუკიდებელ ნაწილებად დაყოფას. ცხადია, სამართლებრივი დებულებანი, რომლებიც განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმეების განხილვას და ნივთების ყიდვა-გაყიდვის პირობებს, იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ისინი სამართლის სხვადასხვა დარგს უნდა მიეკუთვნონ. (გვ. 31).

სამართლის დარგების უმთავრეს დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ისინი საბჭოთა სამართლის სისტემის ძირითადი დანაყოფებია. სამართლის სისტემა სწორედ დარგებისაგან შედგება, მაგრამ ეს არ გამორიცხავს დარგების კლასიფიკაციის შესაძლებლობას, მათ დაჯგუფებას განსაზღვრული ნიშნით. ეს დაჯგუფება, რომელსაც მეორადი ხასიათი აქვს, გამოხატავს მხოლოდ და მხოლოდ სამართლის დარგებს შორის არსებულ შინაარსობლივ მსგავსებას. გარდა ამისა, სამართლის დარგები წარმოადგენს სამართლებრივი კლასიფიკაციის დანაყოფებს. როგორც ცნობილია, ცალკეულ დარგებად სამართლის დაყოფის ობიექტური საფუძველი უნდა ვეძებოთ არა თვით სამართალში, არამედ საზოგადოების ეკონომიკურ ბაზისში, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ თვით სამართლის დაყოფა დარგებად არ წარმოადგენს სამართლებრივ კლასიფიკაციას[3]. არასამართლებრივი კრიტერიუმები შესაძლებლობას გვაძლევს ავხსნათ სამართლის დარგებს შორის კავშირი და განსხვავება, მაგრამ ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს ამ კავშირებისა და განსხვავებების უშუალო ნიშნებად. დაბოლოს, სამართლის დარგებს შორის ურთიერთშეფარდების დამახასიათებელ თავისებურებას შეადგენს არა მარტო ის, რომ ისინი ერთმანეთისაგან განცალკევებულია, არამედ ისიც, რომ სამართლის დარგები ურთიერთდაკავშირებულია კანონზომიერი კავშირებით.

единены закономерными связями. Именно поэтому в советской юридической литературе еще со времени первой дискуссии о системе права (1938—1940 гг.) утвердился взгляд, согласно которому соотношение между отраслями советского права определяется и моментом их связи и моментом их разграничений. (стр. 5—6).

[1] В. Ф. Мешера, О делении советского права на отрасли. «Советское государство и право», 1957 г., № 3, стр. 97.

Если отрасль права является главным подразделением системы права, то правовой институт — главное подразделение отрасли права...

На наш взгляд, правовой институт характеризуется двумя признаками.

Во-первых, правовой институт, представляя собой совокупность норм, охватывает не одно, а несколько правоотношений. Указанные правоотношения, однако, не обособлены друг от друга. Напротив, они составляют единый комплекс правовых отношений. В качестве примера может служить институт купли-продажи или поставки в гражданском праве, институт дисциплины труда — в трудовом праве, каждый из которых охватывает несколько связанных между собой простых правоотношений.

Во-вторых, правовой институт характеризуется в целом однородностью содержания, т.е. тем, что его нормы относятся к определенной отрасли права. Когда перед нами совокупность норм, которая регулирует отношения, связанные с давностью в уголовном праве, давностью в трудовом праве, давностью в гражданском праве и давностью в гражданско-процессуальном праве, то каждое из этих правовых образований не может быть квалифицировано как «часть» составного (межотраслевого) института «давности». Каждое из них (давность в уголовном праве, давность в трудовом праве и т. д.) — это самостоятельные правовые институты. (стр. 6—7).



ჯერ კიდევ სამართლის სისტემის შესახებ 1938-1940 წლებში გამართული დისკუსიის შედეგად საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში განმტკიცდა აზრი იმის შესახებ, რომ საბჭოთა სამართლის დარგებს შორის ურთიერთშეფარდებას განსაზღვრავს არა მარტო მათ შორის არსებული კავშირების, არამედ მათი ურთიერთგამიჯვნის მომენტებიც (გვ. 31-32).

[3] იხ. В. Ф. Мешера. О делении советского права на отрасли («Советское государство и право», 1957, № 3, стр. 97—98).

...სამართლის დარგი წარმოადგენს სამართლის სისტემის უმთავრეს ქვედანაყოფს, სამართლის ინსტიტუტი კი — სამართლის დარგის უმთავრეს ქვედანაყოფს. სამართლის ინსტიტუტის ცნებას არსებითად განსაზღვრავს შემდეგი ორი ნიშანი:

ა) სამართლის ინსტიტუტი იურიდიულ ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც მოიცავს არა ერთ, არამედ რამდენიმე სამართლებრივ ურთიერთობას. ეს სამართლებრივი ურთიერთობანი ერთმანეთისაგან გამიჯნული და განცალკევებული კი არაა, არამედ მათ ერთიანი, კომპლექსური სამართლებრივი ურთიერთობის სახე აქვს. მაგალითად, შეიძლება დასახელებული იქნეს ყიდვა-გაყიდვის ან მიწოდების ინსტიტუტი სამოქალაქო სამართალში, შრომის დისციპლინის ინსტიტუტი შრომის სამართალში და ა. შ. თითოეული ზემოაღნიშნული ინსტიტუტი შეიცავს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ რამდენიმე მარტივ სამართლებრივ ურთიერთობას.

ბ) სამართლებრივი ინსტიტუტი ხასიათდება მთლიანად შინაარსის ერთგვაროვნებით ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მისი ნორმები განეკუთვნება სამართლის განსაზღვრულ დარგს. სამართლის ნორმების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ხანდაზმულობიდან წარმომდგარ ურთიერთობებს, სამართლის ყველა დარგში გვხვდება, მაგრამ სისხლის სამართლის ხანდაზმულობის, სამოქალაქო სამართლის ხანდაზმულობის და ა. შ. საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა საერთოდ ხანდაზმულობის შემადგენელ ნაწილებს კი არ წარმოადგენს, არამედ ისინი ხანდაზმულობის დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტებშია. (გვ. 100-101).

ეროვნული ბიბლიოთეკა

Признаки предмета правового регулирования могут быть подразделены на общие и специальные.

Общие признаки характеризуются, во-первых, тем, что предмет правового регулирования составляют общественные отношения, осуществляющиеся через определенное поведение людей; во-вторых, тем, что предмет правового регулирования образуют те общественные отношения, которые по своей природе в данных социальных условиях могут быть объектом правовой регламентации.

...в третьих, тем, что предмет правового регулирования составляют те общественные отношения, которые в данных социально-классовых условиях объективно требуют правового регулирования. (стр. 13—14).

სამართლებრივი მოწესრიგების საგანს ახასიათებს ზოგადი და სპეციალური ნიშნები. სამართლებრივი მოწესრიგების საგნის ზოგადი ნიშნები მიუთითებს იმაზე, რომ სამართლებრივი მოწესრიგების საგანი შეიძლება იყოს ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებიც ხორციელდება ადამიანთა განსაზღვრული მოქმედებით, ამასთანავე ეს ურთიერთობანი თავიანთი ბუნებით მოცემულ სოციალურ პირობებში შეიძლება იყოს სამართლებრივი რეგულირების ობიექტი. გარდა ამისა, სამართლებრივი მოწესრიგების საგნის ზოგად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ისიც, რომ იგი გულისხმობს მხოლოდ ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც მოცემულ სოციალურ-კლასობრივ პირობებში ობიექტურად მოითხოვს სამართლებრივ მოწესრიგებას. (გვ. 55).

Комплексный (смешанный) правовой институт представляет собой составную часть данной отрасли права, которая содержит в себе отдельные элементы метода правового регулирования иной отрасли права. (стр. 83).

Одной из характерных черт комплексного института (как и всякого института права) является неразрывная, объективно существующая связь, взаимодействие между всеми его частями. Части комплексного института невозможно изолировать друг от друга без нарушения единства данного правового образования. (стр. 84).

Комплексный характер имеют гражданскоправовые институты, опосредствующие кредитно-расчетные отношения. Госбанк СССР, выступая в отношениях со своей многочисленной клиентурой в качестве юридического лица, в то же самое время выполняет властные, контролирующие функции органа государственного управления[1]. Причем свою контролирующую, властно-организационную деятельность учреждения банка осуществляют в ходе выполнения своих хозяйственных операций. Поэтому в пределах кредитных или расчетных правоотношений, имеющих по своей природе гражданскоправовой характер, дают себя знать и

კომპლექსური (შერეული) სამართლებრივი ინსტიტუტი კონკრეტული სამართლებრივი დარგის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ იგი შეიცავს სხვა სამართლის დარგის სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდის ცალკეულ ელემენტებს. კომპლექსური სამართლებრივი ინსტიტუტის ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი გამოხატავს ყველა იმ ნაწილს შორის ობიექტურად არსებულ კავშირს. კომპლექსური სამართლებრივი ინსტიტუტის ნაწილები შეუძლებელია განცალკევდეს ერთმანეთისაგან მოცემული სამართლებრივი ნორმების ერთიანობის დარღვევის გარეშე. მაგალითად, კომპლექსური ხასიათი აქვს სამოქალაქო-სამართლებრივ ინსტიტუტებს, რომლებიც ახდენს საკრედიტო-საანგარიშო ურთიერთობათა გაშუალებას. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი, რომელიც თავის მრავალრიცხოვან კლიენტურასთან ურთიერთობაში გამოდის, როგორც იურიდიული პირი, ამავე დროს ასრულებს სახელმწიფოებრივი მმართველობის ორგანოს მბრძანებლურ, მაკონტროლებელ ფუნქციას[1]. ამასთან, თავის მაკონტროლებელ, მბრძანებლურ-ორგანიზაციულ საქმიანობას ბანკის დაწესებულებანი ახორციელებს თავისი სამეურნეო ოპერაციების შესრულებისას. ამიტომაც, საკრედიტო და საანგარიშო სამართლებრივ ურთიერთობათა ფარგლებში, რომელთაც თავიანთი ბუნებით სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათი აქვთ, აშკარად ვლინდება სსრ კავში-

некоторые административные правомочия Госбанка[2].

Разумеется, в связи с контролирующей деятельностью Госбанка и Стройбанка складываются и самостоятельные административные правоотношения... В ходе контролирующей деятельности Госбанка и Стройбанка возникают и правоотношения смешанного типа. (стр. 85—86).

Важное значение для формирования комплексных институтов права имеет закон планомерного, пропорционального развития народного хозяйства, действие которого предопределяет необходимость сочетания административноправового метода регулирования с методами правового регулирования, присущими таким отраслям советского права, как гражданское, трудовое, колхозное[1], стр. (87—88).

[1] См. Р. О. Халфина. Правовое положение Государственного банка СССР, «Известия Академии наук СССР, отделение экономики и права», 1947 г., № 1; С. Н. Братусь, Субъекты гражданского права. Госюриздат, 1950, стр. 303—305.

[2] См. Д. М. Генкин, Предмет советского гражданского права, «Советское государство и право», 1955 г., № 1, стр. 103.

რის სახელმწიფო ბანკის ზოგიერთი ადმინისტრაციული უფლებამოსილება[1], ეჭვგარეშეა რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და მშენებლობის ბანკის მაკონტროლებელი საქმიანობის შედეგად ყალიბდება დამოუკიდებელი სამართლებრივი ურთიერთობაც, მაგრამ მათი ამგვარი საქმიანობა იწვევს შერეული ტიპის სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობასაც. (გვ. 102-103).

კერძოდ, კომპლექსური სამართლებრივი ინსტიტუტების ჩამოყალიბების საქმეში საბოლოო ჯამში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონს, რომლის მოქმედება განაპირობებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მეთოდის შერწყმას სამართლებრივი მოწესრიგების იმ მეთოდებთან, რომლებიც დამახასიათებელია საბჭოთა სამართლის ისეთ დარგებთან, როგორიცაა სამოქალაქო სამართალი, შრომის სამართალი, საკოლმეურნეო სამართალი (გვ. 103).

[1] Р. О. Халфина. Правовое положение Государственного банка СССР, (Известия Академии наук СССР, отделение экономики и права, 1947, № 1»; С. Н. Братусь. Субъекты гражданского права. М., 1950, стр. 303—305.

[1] Д. М. Генкин. Предмет советского гражданского права. М., 1955, № 1, стр. 103.

**А. Ф. Шебанов, Система советского социалистического права, М., 1961.**

По своему положению в системе советского права финансовое право тесно примыкает к административному. Это объясняется тем, что по своему характеру, по кругу участников и методу правового регулирования финансовые отношения подобны административным: в финансовых отношениях одним из участников обязательно является государственный орган, наделенный властными полномочиями по отношению к другому участнику.

Вместе с тем бесспорно, что правовые нормы, регламентирующие отношения в процессе финансовой деятельности органов Советского государства, составляют отдельную отрасль советского права. Дело в том, что эта область государственной деятельности имеет чрезвычайно важ-

**ვ. აბაშმაძე, საბჭოთა სოციალისტური სამართლის თეორიის საკითხები, თბ. 1979.**

...საბჭოთა სამართლის სისტემაში დაკავებული ადგილის მიხედვით საფინანსო სამართალი მჭიდროდაა დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალთან. საქმე ისაა, რომ თავისი ხასიათით, სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებითა და აგრეთვე საფინანსო ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდით იგი ადმინისტრაციულ სამართალს ემსგავსება; კერძოდ, საფინანსო ურთიერთობებში ერთ-ერთ მონაწილეს უსათუოდ წარმოადგენს სახელმწიფო ორგანო, რომელიც აღჭურვილია მბრძანებლური უფლებამოსილებით ამ ურთიერთობის სხვა მონაწილეთა მიმართ. მიუხედავად ამისა, ეჭვს არ იწვევს, რომ სამართლებრივი ნორმები, რომლებიც აწესრიგებს ურთიერთობებს საბჭოთა სახელმწიფო ორგანოთა საფინანსო საქმიანობის პროცესში, საბჭოთა სამართლის დამოუკიდებელ დარგს წარმოადგენს. სახელმწიფოს საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ное значение для советского общества; неслучайно собирание и распределение денежных средств осуществляются специальной системой государственных органов. Поэтому отношения, складывающиеся в процессе собирания и распределения денежных средств Советским государством, имеют свою специфику, что и обусловливает выделение в самостоятельную отрасль норм финансового права. (стр. 23).

Нормы уголовного права определяют отношение управомоченных органов государства к совершившим преступления лицам, возлагают на граждан обязанность воздерживаться от совершения запрещенных уголовным законом действий, а соответствующим государственным органам (суду, прокуратуре, органам расследования) предоставляют полномочия (и в то же время возлагают на них обязанность) бороться в установленном законом порядке с преступлениями. Нормы уголовного права, закрепляющие общие принципы и положения, которыми должны руководствоваться органы правосудия при решении конкретных дел, составляют так называемую общую часть. Нормы, указывающие отдельные виды преступлений, а также меры наказания, подлежащие применению судом к лицам, совершившим то или иное преступление, образуют так называемую особенную часть уголовного права.

Нормы уголовного права направлены на защиту социалистического общественного и государственного строя, на защиту социалистической собственности, на охрану жизни и здоровья, чести и достоинства советских граждан, а также установленного Советским государством правопорядка, обеспечивающего подлинную свободу гражданина СССР, осуществление им своих демократических прав, свобод и законных интересов...

Применение мер уголовного наказания в отношении правонарушителей из среды трудящихся, совершивших преступление в силу своей малосознательности и на-

მიანობის ამ მხარეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა საზოგადოებისათვის, ფულადი სახსრების აკუმულაცია და განაწილება ხორციელდება სპეციალურად შექმნილ სახელმწიფო ორგანოთა სისტემის მიერ. სწორედ ამის გამო საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ფულადი სახსრების შეკრებისა და განაწილების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს გააჩნია თავისი სპეციფიკა, რაც განაპირობებს საბჭოთა სამართლის სისტემაში საფინანსო სამართლის ცალკე დარგად გამოყოფას. (გვ. 82).

საბჭოთა სისხლის სამართალი წარმოადგენს ნორმათა ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოების ურთიერთობას დანაშაულებრივი ქმედობის ჩამდენ პირებთან, მოქალაქეებს აკისრებს ვალდებულებას, თავი შეიკავონ სისხლის სამართლის კანონით აკრძალული მოქმედების ჩადენისაგან, ხოლო სათანადო სახელმწიფო ორგანოებს (სასამართლოს, პროკურატურასა და გამოძიების ორგანოებს) ანიჭებენ უფლებამოსილებას და ვალდებულებასაც კანონით დადგენილი წესის მიხედვით აქტიური ბრძოლა აწარმოონ დანაშაულობათა წინააღმდეგ. სისხლის სამართლის ნორმების ერთი ნაწილი ადგენს ზოგად დებულებებსა და პრინციპებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ სამართლებრივი მსაჯულებისა და გამოძიების ორგანოებმა კონკრეტული საქმეების გადაწყვეტის დროს. ეს ნორმები შეადგენს სისხლის სამართლის ზოგად ნაწილს. მაგრამ სისხლის სამართალში გვხვდება აგრეთვე ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს როგორც დანაშაულის ცალკეულ სახეებს, ასევე სასჯელის იმ ზომებს, რომლებიც გამოყენებული უნდა იყოს სასამართლოთა მიერ დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ. ეს ნორმები შეადგენს სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილს...

საბჭოთა სისხლის სამართლის ნორმები განამტკიცებს საბჭოთა სოციალისტურ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას, უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების განვითარებას, იცავს საბჭოთა მოქალაქეების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართლებრივ წესრიგს, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოთა მოქალაქეთა თავისუფლებას და კანონიერი ინტერესების განხორციელებას...

ჩვენი ქვეყნის მშრომელებისადმი, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, სისხლის სამართლის ნორმებით გათვალისწინებული სასჯე-

личия пережитков буржуазной морали, является в то же время средством воспитания как самих правонарушителей, так и всех окружающих. Что касается классовых врагов советского народа — шпионов, диверсантов и иной агентуры империалистических государств, а также злостных преступников-рецидивистов, то применение к ним мер уголовного наказания является средством обезопасить от них Советское государство и советское общество. (стр. 29—30).

Одним из важнейших видов деятельности Советского государства по осуществлению своих основных функций является социалистическое правосудие.

Согласно ст. 2 Основ законодательства о судоустройстве Союза ССР, союзных и автономных республик правосудие в СССР призвано охранять от всяких посягательств: а) закрепленный Конституцией СССР и конституциями союзных и автономных реесфублик общественный и государственный строй Союза ССР, социалистическую систему хозяйства и социалистическую собственность; б) политические, трудовые, жилищные и другие личные и имущественные права и интересы граждан СССР, гарантированные Конституцией СССР и конституциями союзных и автономных республик; в) права и охраняемые законом интересы государственных учреждений, предприятий, колхозов, кооперативных и иных общественных организаций.

Правосудие в СССР имеет своей задачей обеспечение точного и неуклонного исполнения законов всеми учреждениями, организациями, должностными лицами и гражданами СССР.

Социалистическое правосудие осуществляется в СССР путем: а) рассмотрения и разрешения в судебных заседаниях гражданских дел по спорам, затрагивающим права и интересы граждан, государственных предприятий, учреждений колхозов, кооперативных и иных общественных организаций; б) рассмотрения в судебных заседаниях уголовных дел и применения установленных законом мер наказания к лицам, виновным в совершении преступления, либо оправдания невиновных...

ლების შეფარდება მიზნად ისახავს როგორც სამართალდამრღვევთ, ასევე საბჭოთა საზოგადოების დანარჩენი ნაწილის აღზრდას, მაგრამ რაც შეეხება საბჭოთა ხალხის კლასობრივ მტრებს, დივერსანტებსა და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგენტურის სხვა წარმომადგენლებს, აგრეთვე ბოროტ დამნაშავე-რეციდივისტებს, მათ მიმართ სისხლის სამართლის ნორმებით გათვალისწინებული სასჯელების გამოყენება წარმოადგენს ამ ელემენტებისაგან საბჭოთა სახელმწიფოსა და საბჭოთა საზოგადოების უვნებელყოფის საშუალებას. (გვ. 94-95).

როგორც ცნობილია, საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მხარეს, თავისი ძირითადი ფუნქციების განხორციელებისას, წარმოადგენს სოციალისტური სამართლებრივი მსაჯულება. საბჭოთა სამართლებრივი მსაჯულება ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი ხელყოფისაგან იცავს: ა) სსრ კავშირის კონსტიტუციის, აგრეთვე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების მიერ დადგენილ სსრ კავშირის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას, მეურნეობის სოციალისტურ სისტემას და სოციალისტურ საკუთრებას; ბ) სსრ კავშირის მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომით, საბინაო და სხვა პირად თუ ქონებრივ უფლებებს, რომლებიც გარანტირებულია სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით; გ) სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოლმეურნეობების, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს.

სამართლებრივი მსაჯულება სსრ კავშირში მიზნად ისახავს ყველა დაწესებულების, საწარმოს, თანამდებობის პირისა და მოქალაქის მიერ სსრ კავშირის კანონთა ზუსტად და განუხრელად განხორციელებას. ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური სამართლებრივი მსაჯულება ორი გზით ხორციელდება: ა) სასამართლო სხდომებზე სამოქალაქო საქმეების განხილვა და გადაწყვეტა იმ დავებზე, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების უფლება-ინტერესებთან; ბ) სასამართლო სხდომებზე სისხლის სამართლის საქმეების განხილვა და კანონით გათვალისწინებული სასჯელის ღონისძიებების შეფარდება იმ პირთა მიმართ, რომელთაც ბრალი მიუძღვით დანაშაულის ჩადენაში, ანდა უდანაშაულოთა გამართლება.

ბიბლიოთეკა

...советское право устанавливает особый, тщательно регламентированный и обязательный к точному исполнению порядок действий органов, осуществляющих правосудие, и их отношений с другими лицами — так называемую процессуальную форму деятельности. Соблюдение процессуальной формы способствует установлению объективной истины при рассмотрении конкретных дел и обеспечивает законность в деятельности суда, прокуратуры и органов расследования, соблюдение прав и законных интересов граждан. (стр. 31—32).

В отличие от международного права, регулирующего отношения между государствами в вопросах их взаимных прав и обязанностей и называемого потому в литературе международным публичным правом, существует еще так называемое международное частное право. Это совокупность норм, устанавливающих, законы какого государства подлежат применению при имущественных отношениях между гражданами и хозяйственными органами различных государств. К международному частному праву относятся также нормы, регламентирующие гражданско-правовое положение граждан иностранных государств (стр. 38).

**«Курс советского государственного права», М., 1971.**

Государственное право основано на материальных и юридических источниках. Материальные источники — это социалистическая система хозяйства, социалистические формы собственности, труд людей в соответствии с принципами социализма и т. д. Материальные источники играют определяющую роль в жизни общества и государства. Они выступают как объективные условия возникновения и развития норм государственного права. Юридические источники — это формы выражения права, посредством которых воля советского народа приобретает конкретный вид правовой нормы... Под юридическими источниками государственного права понимают нормативные акты. Источни-

საბჭოთა სამართალი ადგენს სამართლებრივი მსაჯულების განმხორციელებელ ორგანოთა საქმიანობის ზუსტად განსაზღვრულ პროცესუალურ წესებს, რომელთა მიზანია კონკრეტული საქმეების განხილვისას ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა და სასამართლოს, პროკურატურისა და გამოძიების ორგანოთა საქმიანობაში კანონიერების უზრუნველყოფა, აგრეთვე სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. (გვ. 97-98).

გარდა ამისა, საერთაშორისო სამართლისაგან განსხვავებით, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს მათი ურთიერთვალდებულებებისა და უფლებების საკითხებთან დაკავშირებით (და ამიტომაც მას ხშირად საერთაშორისო საჯარო სამართალს უწოდებენ), არსებობს ე. წ. საერთაშორისო კერძო სამართალი. იგი შედგება ნორმათა ერთობლიობისაგან, რომელიც ადგენს, თუ რომელი სახელმწიფოს კანონები უნდა იქნეს გამოყენებული მოქალაქეებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს შორის ქონებრივ ურთიერთობათა დროს სხვადასხვა სახელმწიფოების ორგანოთა მიერ. საერთაშორისო კერძო სამართალი შეიცავს აგრეთვე ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავს უცხო სახელმწიფოთა სამოქალაქო-სამართლებრივ მდგომარეობას. (გვ. 68).

**ვ. აბაშმაძე, საბჭოთა სოციალისტური სამართლის თეორიის საკითხები, თბ. 1979.**

საბჭოთა სახელმწიფო სამართალი ემყარება მატერიალურ და იურიდიულ წყაროებს; მის მატერიალურ წყაროებს წარმოადგენს მეურნეობის სოციალისტური სისტემა, საკუთრების სოციალისტური ფორმები, საბჭოთა ადამიანების შრომა სოციალიზმის პრინციპების შესაბამისად და ა. შ. ამ მატერიალურ წყაროებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში, ისინი წარმოადგენენ სახელმწიფო სამართლის ნორმების წარმოშობისა და განვითარების ობიექტურ პირობას.

საბჭოთა სახელმწიფო სამართლის იურიდიული წყაროები სამართლის გამოხატვის ფორმებია, სამართლისა, რომლითაც საბჭოთა ხალხის ნება ღებულობს კონკრეტული სამართლის ნორმის სახეს. სახელმწიფო სამართალში იურიდიულ წყაროებს წარმოადგენს ნორ-

ками государственного права в юридическом смысле являются конституции, законы, постановления, указы, положения, решения, договоры, соглашения и некоторые другие акты, содержащие правовые нормы.

...Конституция — Основной Закон государства, в котором содержатся важнейшие исходные нормы государственного права, закрепляющие основы общественного и государственного строя. На основе конституции осуществляется вся нормотворческая деятельность государства. Конституция — юридическая база для всего текущего законодательства. Это значит, что она определяет всю правотворческую деятельность органов социалистического государства (стр. 34—35).

მატიული აქტები. იურიდიული გაგებით სახელმწიფო სამართლის წყაროებს წარმოადგენს კონსტიტუცია, კანონები, დადგენილებანი, ბრძანებულებანი, დებულებანი, გადაწყვეტილებანი, ხელშეკრულებანი, შეთანხმებანი და ზოგიერთი სხვა აქტი, რომლებიც შეიცავს სამართლებრივ ნორმებს.

სახელმწიფო სამართლის უმთავრესი წყაროა კონსტიტუცია. იგი, როგორც სახელმწიფოს ძირითადი კანონი, შეიცავს სახელმწიფო სამართლის უმნიშვნელოვანეს ნორმებს, რომლებიც ადგენს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას. კონსტიტუცია წარმოადგენს სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობის საფუძველს, იგი მთელი მიმდინარე კანონმდებლობის იურიდიული ბაზაა, რაც იმას ნიშნავს, რომ კონსტიტუცია განსაზღვრავს სოციალისტური სახელმწიფო ორგანოების მთელ სამართალშემოქმედებით საქმიანობას. (გვ. 72-73).

Указы делятся на нормативные и индивидуальные.

Нормативные указы содержат правовые нормы. Так, Указ Президиума Верховного Совета СССР от 27 июля 1964 г. «Об образовании общесоюзного Министерства гражданской авиации СССР» является нормативным, так как в нем установлена определенная норма государственного права (создается новое министерство и определяется его общее правовое положение).

Указ же Президиума Верховного Совета от 25 августа 1964 г. о назначении министра гражданской авиации СССР — это акт индивидуальной: он не создает правовой нормы, цель его — ввести определенное лицо в должность, организовать нормальную деятельность министерства, обеспечить руководство его текущей работой (стр. 36).

...Постановления Президиумов Верховных Советов также делятся на нормативные и индивидуалные...

...Особое место в рассматриваемой категории актов занимают постановления Президиума Верховного Совета СССР, принимаемые совместно с Правительством СССР и Центральным Комитетом Коммунистической партии. Так, 30 июня 1941 г. Президиум Верховного Совета СССР, Совет Народных Комиссаров СССР и ЦК ВКП(б) приняли совместное

ბრძანებულებანი ორი სახისაა: ნორმატიული და ინდივიდუალური; ნორმატიული აქტები შეიცავს სამართლებრივ ნორმებს. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 27 ივლისის ბრძანებულება „სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნის შესახებ“ ნორმატიულია, რადგანაც იგი ადგენს სახელმწიფო სამართლის განსაზღვრულ ნორმას, რომლითაც შეიქმნა ახალი სამინისტრო და განისაზღვრა მისი საერთოსამართლებრივი მდგომარეობა. რაც შეეხება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 აგვისტოს ბრძანებულებას სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის მინისტრის დანიშვნის შესახებ, იგი ინდივიდუალური ხასიათის აქტია, რადგანაც ამ აქტით არ შექმნილა სამართლის ახალი ნორმა, მისი მთავარი მიზანია განსაზღვრული პირის მინისტრად დანიშვნა და სამინისტროს ნორმალური საქმიანობის ორგანიზაცია.

ასევე, უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების დადგენილებებიც ორი სახისაა: ნორმატიული და ინდივიდუალური.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას, რომელსაც ერთობლივად ღებულობენ სსრ კავშირის მთავრობა და სკკპ ცენტრალური კომიტეტი; მაგალითად, 1941 წლის 30 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და სკპ(ბ) ცენტრალურმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

постановление об образовании Государственного Комитета Обороны СССР. (стр. 37).

Акты органов военного управления как источник государственного права. При введении военного положения в отдельных местностях в интересах обороны СССР или обеспечения общественного порядка и государственной безопасности... акты органов военного управления становятся источниками государственного права. Так, по Указу Президиума Верховного Совета СССР от 22 июня 1941 г. «О военном положении» в местностях, объявленных на военном положении, все функции органов государственной власти в области обороны страны, обеспечения общественного порядка и государственной безопасности возлагались на военные советы фронтов, армий, военных округов, а там, где не было военных Советов — на высшее командование войсковых соединений, расположенных в данной местности. По всем этим вопросам военные власти могли: 1) издавать обязательные для всего населения постановления, устанавливая за их неисполнение повышенную административную ответственность; 2) отдавать распоряжения местным органам власти, государственным и общественным организациям и учреждениям и требовать от них безусловного и немедленного исполнения. (стр. 38—39).

Важным источником советского государственного права являются договоры и соглашения. Среди них самым значительным источником является Договор об образовании СССР от 30 декабря 1922 г. Источником советского государственного права являются также договоры и соглашения, заключенные (и ратифицированные) Союзом ССР или союзными республиками по вопросам гражданства, установления государственной границы и по всем другим вопросам государственного права...

В советском законодательстве указывается, что если международным договором или международным соглашением, в котором участвует СССР (или союзная республика) установлены иные правила, чем те, которые действуют в советских законах, то применяются правила междуна-

კომიტეტმა მიიღო ერთობლივი დადგენილება სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ. (გვ. 75-76).

რაც შეეხება სამხედრო მმართველობის ორგანოთა აქტებს, როგორც საბჭოთა სახელმწიფო სამართლის წყაროებს, მათი გამოცემა ხდება სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით ცალკეულ ადგილებში სსრ კავშირის თავდაცვის ინტერესების ან საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველსაყოფად. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 22 ივნისის ბრძანებულებით „სამხედრო მდგომარეობის შესახებ“ იმ ადგილებში, სადაც სამხედრო მდგომარეობა იქნა გამოცხადებული სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ფუნქცია ქვეყნის თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის დარგში დაეკისრა ფრონტების, არმიების და სამხედრო ოლქების სამხედრო საბჭოებს, ხოლო იქ, სადაც არ არსებობდა სამხედრო საბჭოები, ეს ფუნქციები გადაეცა სამხედრო შენაერთების უმაღლეს სარდლობას, რომელიც ამ ადგილებზე იყო განლაგებული. ამ საკითხების თაობაზე სამხედრო ხელისუფლებას შეეძლო: ა) მთელი მოსახლეობისათვის სავალდებულო დადგენილების გამოცემა, რომელიც ითვალისწინებდა მისი შეუსრულებლობისათვის გაზრდილ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას; ბ) ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისადმი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი განკარგულებების გაცემა და მათ მიერ ამ განკარგულებათა აუცილებელი, დაუყოვნებელი შესრულება (გვ. 77-78).

საბჭოთა სახელმწიფო სამართლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ. საბჭოთა სახელმწიფო სამართლის წყაროებს წარმოადგენს აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიერ დადებული ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი მოქალაქეობის, სახელმწიფო საზღვრების დადგენისა და სახელმწიფო სამართლის სხვა საკითხებზე..., საბჭოთა კანონმდებლობაში მითითებულია, რომ, თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირი, ადგენს საბჭოთა კანონებით გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებულ წესებს, ამ შემთხვევაში გამოიყენება საერთაშორისო ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

постановление об образовании Государственного Комитета Обороны СССР. (стр. 37).

Акты органов военного управления как источник государственного права. При введении военного положения в отдельных местностях в интересах обороны СССР или обеспечения общественного порядка и государственной безопасности... акты органов военного управления становятся источниками государственного права. Так, по Указу Президиума Верховного Совета СССР от 22 июня 1941 г. «О военном положении» в местностях, объявленных на военном положении, все функции органов государственной власти в области обороны страны, обеспечения общественного порядка и государственной безопасности возлагались на военные советы фронтов, армий, военных округов, а там, где не было военных Советов — на высшее командование войсковых соединений, расположенных в данной местности. По всем этим вопросам военные власти могли: 1) издавать обязательные для всего населения постановления, устанавливая за их неисполнение повышенную административную ответственность; 2) отдавать распоряжения местным органам власти, государственным и общественным организациям и учреждениям и требовать от них безусловного и немедленного исполнения. (стр. 38—39).

Важным источником советского государственного права являются договоры и соглашения. Среди них самым значительным источником является Договор об образовании СССР от 30 декабря 1922 г. Источником советского государственного права являются также договоры и соглашения, заключенные (и ратифицированные) Союзом ССР или союзными республиками по вопросам гражданства, установления государственной границы и по всем другим вопросам государственного права...

В советском законодательстве указывается, что если международным договором или международным соглашением, в котором участвует СССР (или союзная республика) установлены иные правила, чем те, которые действуют в советских законах, то применяются правила междуна-

კომიტეტმა მიიღო ერთობლივი დადგენილება სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ. (გვ. 75-76).

რაც შეეხება სამხედრო მმართველობის ორგანოთა აქტებს, როგორც საბჭოთა სახელმწიფო სამართლის წყაროებს, მათი გამოცემა ხდება სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით ცალკეულ ადგილებში სსრ კავშირის თავდაცვის ინტერესების ან საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველსაყოფად. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 22 ივნისის ბრძანებულებით „სამხედრო მდგომარეობის შესახებ“ იმ ადგილებში, სადაც სამხედრო მდგომარეობა იქნა გამოცხადებული სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ფუნქცია ქვეყნის თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის დარგში დაეკისრა ფრონტების, არმიების და სამხედრო ოლქების სამხედრო საბჭოებს, ხოლო იქ, სადაც არ არსებობდა სამხედრო საბჭოები, ეს ფუნქციები გადაეცა სამხედრო შენაერთების უმაღლეს სარდლობას, რომელიც ამ ადგილებზე იყო განლაგებული. ამ საკითხების თაობაზე სამხედრო ხელისუფლებას შეეძლო: ა) მთელი მოსახლეობისათვის სავალდებულო დადგენილების გამოცემა, რომელიც ითვალისწინებდა მისი შეუსრულებლობისათვის გაზრდილ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას; ბ) ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისადმი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი განკარგულებების გაცემა და მათ მიერ ამ განკარგულებათა აუცილებელი, დაუყოვნებელი შესრულება (გვ. 77-78).

საბჭოთა სახელმწიფო სამართლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ. საბჭოთა სახელმწიფო სამართლის წყაროებს წარმოადგენს აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიერ დადებული ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი მოქალაქეობის, სახელმწიფო საზღვრების დადგენისა და სახელმწიფო სამართლის სხვა საკითხებზე.., საბჭოთა კანონმდებლობაში მითითებულია, რომ, თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირი, ადგენს საბჭოთა კანონებით გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებულ წესებს, ამ შემთხვევაში გამოიყენება საერთაშორისო ხელ-

родного договора или международного соглашения. Однако международные договоры и соглашения, выступающие в качестве источника внутригосударственного права, не должны нарушать суверенность социалистического государства. Вопрос о соответствии международно-правовых документов суверенитету государства решается высшими органами государственной власти социалистического государства. (стр. 39—40).

**Марксистско-ленинская общая теория государства и права», том IV, Социалистическое право, Москва, 1973.**

Отрасль права — наиболее крупное подразделение права. Это — совокупность правовых норм, регулирующих отношения в определенной сфере общественной жизни. Особенностью каждой отрасли права, как правило, является наличие так называемой Общей части, охватывающей нормы, в которых выражены общие положения, касающиеся правового регулирования всей данной области общественных отношений. Положения норм Общей части отрасли права применяются при реализации всех других норм, регулирующих данную область отношений. (стр. 288).

Соотношение между государственным и административным правом таково. Советское государственное право закрепляет и формулирует общие принципы организации и развития органов Советского государства и их системы. Советское административное право, отправляясь от этих общих положений и принципов, раскрывает особенности организации и деятельности органов государственного управления, рассматривает вопрос об их системе и классифицирует формы их деятельности. (стр. 300).

В литературе по вопросам трудового права длительное время велся спор относительно сферы применения норм данной отрасли. Отдельные ученые считали, что трудовое право должно распростра-

შეკრულების ან შეთანხმებით დადგენილი წესები. მაგრამ საერთაშორისო შეთანხმებანი და ხელშეკრულებანი, როგორც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის წყარო, არ უნდა არღვევდეს საბჭოთა სახელმწიფოს სუვერენიტეტს. საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების საბჭოთა სახელმწიფოს სუვერენიტეტთან შესაბამისობის საკითხს წყვეტს საბჭოთა სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები. (გვ. 78).

**3. აბაშმაძე, საბჭოთა სოციალისტური სამართლის თეორიის საკითხები, თბ. 1979.**

...სამართლის დარგი სამართლის შედარებით დიდი ქვედანაყოფია. სამართლის დარგი არის სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში. სამართლის თითოეულ დარგს, როგორც წესი, გააჩნია ზოგადი ნაწილი. იგი შედგება მთელი მოცემული დარგის საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგებისათვის აუცილებელი ზოგადი დებულებების შემცველი ნორმებისაგან, რომლებიც გამოყენებული უნდა იყოს ამ დარგის ურთიერთობათა რეგულირებისათვის გამიზნული ყველა სხვა სამართლებრივი ნორმის რეალიზაციის დროს. (გვ. 67).

საბჭოთა სახელმწიფო სამართალსა და საბჭოთა ადმინისტრაციულ სამართალს შორის განსაზღვრული თანაფარდობა არსებობს. საბჭოთა სახელმწიფო სამართალში ჩამოყალიბებული და განმტკიცებულია საბჭოთა სახელმწიფოს ორგანოებისა და მათი სისტემის ზოგადი პრინციპები. საბჭოთა ადმინისტრაციული სამართალი, რომელიც ემყარება ამ ზოგად დებულებებსა და პრინციპებს, წარმოდგენას გვაძლევს სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა საქმიანობისა და ორგანიზაციის თავისებურებებზე, სწავლობს საკითხს მათი სისტემის შესახებ და ახდენს ამ ორგანოთა საქმიანობის კლასიფიკაციას. (გვ. 79).

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში შრომის სამართლის საკითხები დიდი ხნის განმავლობაში დავის საგანს წარმოადგენდა. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევდა, რომ შრომის სამართლის ნორმები უნდა გავრცელდეს მეურნეობის სოციალისტური სისტემის ყველა დარგში მომუშავე პირებზე, კერძოდ, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

няться на всех лиц, работающих в социалистической системе хозяйства, как в государственном, так и в колхозно-кооперативном секторе. Другие же утверждали, что трудовые правоотношения в колхозах составляют часть сложного, но единого колхозного правоотношения, от которого они неотделимы, поэтому они должны регулироваться нормами колхозного, а не трудового права. Основы законодательства о труде Союза ССР и союзных республик решили этот спор, установив, что содержащиеся в них нормы регулируют трудовые отношения лишь рабочих и служащих. (стр. 302—303).

Самостоятельное место в системе социалистического права занимает семейное право. Эта отрасль права регулирует неимущественные и связанные с ними имущественные отношения, возникающие из брака, родства, усыновления, принятия детей в семью на воспитание и т. д. (стр. 303).

Что касается международного права, то общепризнано, что эта исключительно важная отрасль права не входит в систему права какого-либо государства. Международное право образует особую отрасль, представляющую собой совокупность норм права, регулирующих отношения между государствами в процессе их борьбы и сотрудничества, направленных на обеспечение их мирного сосуществования, выражающих волю господствующих классов этих государств и защищаемых в случае необходимости принуждением, осуществляемым государствами индивидуально или коллективно.

Советская доктрина международного права исходит из того, что нормы современного международного права должны опираться на ряд принципов: принцип мирного сосуществования государств с различными социально-экономическими системами, разрешения всех возникающих международных вопросов только

სახელმწიფო, ასევე საკოლმეურნეო-კოოპერატიულ სექტორში. სხვები კი ამტკიცებდნენ, რომ კოლმეურნეობებში შრომის სამართლებრივი ურთიერთობანი შეადგენს შედარებით რთული, ერთიანი საკოლმეურნეო შრომითი ურთიერთობის ნაწილს, რომლისგანაც იგი განუყოფელია. სწორედ ამიტომ კოლმეურნეობებში წარმოშობილი შრომითი ურთიერთობანი უნდა მოწესრიგდეს არა შრომის სამართლის, არამედ საკოლმეურნეო სამართლის ნორმების მიერ. საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში არსებული ზემოაღნიშნული დავა გადაჭრა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებმა. ამ საკანონმდებლო აქტით დადგენილია, რომ შრომის სამართლის ნორმები აწესრიგებს მხოლოდ და მხოლოდ მუშებისა და მოსამსახურეების შრომით ურთიერთობებს. (გვ. 92).

სოციალისტური სამართლის სისტემაში დამოუკიდებელი ადგილი უკავია საოჯახო სამართალს, რომელიც აწესრიგებს ქორწინების, შვილად აყვანის, დაბადების, ოჯახში ბავშვის აღსაზრდელად აყვანის და სხვა საფუძველზე წარმოშობილ არაქონებრივ და მასთან დაკავშირებულ ქონებრივ ურთიერთობებს. (გვ. 93).

... საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საერთაშორისო სამართალი სამართლის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს, მაგრამ იგი არ შედის არც ერთი სახელმწიფოს სამართლის სისტემაში. საერთაშორისო სამართალი, როგორც სამართლის განსაკუთრებული დარგი, შედგება სამართლის ნორმათა ერთობლიობისაგან, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას მათი ბრძოლისა და თანამშრომლობის პროცესში. იგი, გარდა იმისა, რომ მიზნად ისახავს ამ სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფას, შეესაბამება ცალკეული ქვეყნების გაბატონებული კლასების ინტერესებსაც, რომელთა დაცვა აუცილებლობის შემთხვევაში ხორციელდება სახელმწიფოების იძულებით ინდივიდუალურად ან კოლექტიურად. საერთაშორისო სამართლის საბჭოთა დოქტრინის თანახმად, საერთაშორისო სამართლის ნორმები უნდა ემყარებოდეს რიგ უმნიშვნელოვანეს პრინციპებს. ეს პრინციპებია: სხვადასხვა სოციალ-ეკონომიკური სისტემების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, ყველა საერთაშორისო საკითხის გადაჭრა მხოლოდ მშვიდობიანი გზით სახელმწიფოთა

мирным путем, на основе уважения и соблюдения суверенитета государств, неприменения силы в отношениях между государствами, ненападения и т.

სუვერენიტეტის დაცვისა და პატივისცემის საფუძველზე, ძალის გამოუყენებლობა სახელმწიფოთა ურთიერთობაში, თავდაუსხმელობა და ა. შ. (გვ. 67).

* * *

მკითხველებისათვის რომ შეექმნა შთაბეჭდილება წიგნის ვითომდა ფართო სამეცნიერო აპარატის შესახებ, პროფ. ვ. აბაშმაძემ ასევე ზომიერების დაუცველად გადაწერა სხვა ავტორთა ნაშრომებიდან სქოლიოები ლიტერატურის მითითებით, ზოგჯერ გადაწერილ ძირითად ტექსტთან ერთად. ამგვარი მეთოდი მას გამოყენებული აქვს ასევე მრავალ ათეულ გვერდზე. მაგალითად, გვ. გვ. 19, 27, 28, 31, 50, 57, 59, 65, 70, 71, 104, 105, 125, 126, 128, 129, 134, 154, 164, 189 და სხვ. აქედან მოვიყვანთ მარტო ერთ ნიმუშს. თავისი წიგნის 65-ე გვერდზე ვ. აბაშმაძემ გადაიწერა ს. ს. ალექსეევის მსჯელობის მთელი ტექსტი ამ ავტორის ზემოთ დასახელებული ნაშრომის 70-ე გვერდიდან და ამასთანავე ს. ს. ალექსეევის მიერ მითითებული ყველა სქოლიო იმავე თანამიმდევრობით და იმავე ავტორთა ნაშრომების მითითებით.

სქოლიოებით ამგვარი მანიპულაციისას ვ. აბაშმაძე ზოგჯერ აშკარად კონფუზურ მდგომარეობაშივარდება. მაგალითად, თავისი წიგნის 112-ე გვერდზე მან გადმოიწერა სქოლიო «Марксистско-ленинская теория государства и права»-ს მეოთხე ტომიდან (стр. 519), სადაც მოხსენიებულია ვ. კოპეიჩიკოვისა და ბ. ოლხოვსკის სტატია ჟურნალიდან «Советское государство и право»; ამასთან, ტომის ამ გვერდზე დაშვებული შეცდომა (სტატიის არასწორი დასახელება და ჟურნალის ნომრის არასწორი მითითება) ვ. აბაშმაძეს სიტყვასიტყვით გადაწერილი და გადატანილი აქვს თავის წიგნში. მეოთხე ტომის აღნიშნულ გვერდზე სქოლიოში მითითებულია: «В. В. Копейчиков. Б. И. Олховский. «Статус трудового коллектива» («Советское государство и права», 1972 г., № 2). ასევე გადაუწერია ეს სქოლიო თავისი წიგნის 192-ე გვერდზე ვ. აბაშმაძეს, რომელსაც ეს სტატია და ჟურნალიც, როგორც ჩანს, თვალითაც არ უნახავს, ვინაიდან სინამდვილეში სტატია მოთავსებულია დასახელებული ჟურნალის № 1-ში და მისი სათაურიც სხვანაირია: «Статус социалистического трудового коллектива».

სქოლიოებთან დაკავშირებით უნდა ითქვას აგრეთვე, რომ მრავალ ადგილას ვ. აბაშმაძეს ისინი გადაწერილი აქვს უხეში დამახინჯებით და აშკარად ცხადყოფს, რომ დასახელებული ნაშრომები მას ასევე არ უნახავს. მაგალითად, 107-ე გვერდზე ს. კეჩეკიანის წიგნს: «Правоотношения в социалистическом обществе» იგი უწოდებს: «Правоотношение в социалистическом праве»; 228-ე გვერდზე იგი მიუთითებს ასეთ წყაროზე «Н. Г. Александров, «Права и законность в советском обществе». მაშინ როდესაც ასეთი სათაურის წიგნი საერთოდ არ არსებობს. ამ ავტორს აქვს: «Законность и правоотношения в советском обществе». М., 1955 г. და «Право и законность в период развернутого строительства коммунизма», М., 1961 г. იმავე გვერდზე და იმავე სქოლიოში მოხსენებულია ლ. ს. იავიჩის ნაშრომი «Проблемы правого регулирования советских общественных отношений», стр. 181. მაშინ, როდესაც ეს წიგნი შეიცავს სულ 172 გვერდს სარჩევის ჩათვლით. ამის გარდა წიგნში უამრავი ადგილია, სადაც სქოლიოში მითითებულია რომელიმე წყარო, სინამდვილეში კი იქ არ არის ასეთი ციტატი ან დასახელებული ავტორის ასეთი სტატია, მაგალითად, გვ. გვ. 31, 58, 70, 105, 138, 161, 191 და ა. შ.

წიგნის მოცულობის გაზრდისა და, ალბათ, მისი სოლიდურობის წარმოჩენის განზრახვით ვ. აბაშმაძეს მასში შეაქვს ისეთი მასალა (აქაც, უმრავლეს შემთხვევაში, გადმოწერილი), რომელსაც უშუალო კავშირი არა აქვს განსახილველ პრობლემებთან. მაგალითად, 207-208-ე გვერდებზე იგი სრულიად უადგილოდ გადმოსცემს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების ბურჟუაზიული თეორიების არსს.

აშკარად მოძველებული წყაროებიდან ცალკეული დებულებებისა და მაგალითების გადმოწერით ვ. აბაშმაძემ 1979 წელს გამოცემულ თავის წიგნს იმთავითვე მოძველებული ხასიათი მისცა. მაგალითად, 57-ე გვერდზე ლაპარაკია „უკანასკნელი პერიოდის იურიდიული ლიტერატურის" შესახებ და მითითებულია 1957 და 1960 წლების ნაშრომებზე, 75-ე გვერდზე ნორმატიული და არანორმატიული ბრძანებულებების მაგალითების დასახელებისას მითითებულია 1934 წლის აქტებზე, 74-ე გვერდზე ლაპარაკია

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კონსტიტუციის ახალ პროექტზე" (?!) და იქვე პროექტის ერთ-ერთ დებულებას განიხილავს, მაშინ როდესაც თვით კონსტიტუცია კარგა ხნის მიღებული იყო. აქაც ძველი წყაროა გამოყენებული, ე. ი. ახალი კონსტიტუციის მიღებამდე სადღაც გამოქვეყნებული, თანაც იქ „კონსტიტუციის ახალ პროექტში" კი არ ეწერებოდა, არამედ „ახალი კონსტიტუციის პროექტში". ასევე, 76-ე გვერდზე ლაპარაკია დღევანდელ პირობებში „მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების" შესახებ „სახალხო დეპუტატების საბჭოების" ნაცვლად და სხვ.

წიგნში ხშირად გვხვდება ერთი და იგივე დებულებებისა და ციტატების გამეორება (მაგალითად, 82-83-ე და მე-100-101-ე გვერდებზე, მე-40 და 41-ე გვერდებზე, 79-ე და 83-ე გვერდებზე, 116-ე და 119-ე გვერდებზე, 169-ე, 172-ე და 179-ე გვერდებზე, 250-ე და 251-ე გვერდებზე და ა. შ.). ბევრგან ქართული იურიდიული და საერთო სოციალურ-პოლიტიკური ტერმინები დამახინჯებულია (მაგალითად, გვ. გვ. 10, 30, 33, 72, 88, 94, 156, 168, 170, 258 და სხვ.). უამრავი შეცდომაა რედაქციული, სტილისტიკური და კორექტორული ხასიათისა, წინააღმდეგობები, დამახინჯებებია გადაწერის დროს თარგმანისას. მაგალითად, მე-40 გვერდზე ცნობილი გამოთქმა «Обработка законодательного материала», ვ. აბაშმაძის მიერ ნათარგმნია როგორც „საკანონმდებლო მასალების გადამუშავება" (ცხადია, უნდა იყოს „საკანონმდებლო მასალის დამუშავება"), 57-ე და 90-ე გვერდებზე «родство» (ნათესაობა) ნათარგმნი აქვს როგორც „დაბადება", 72-ე გვერდზე «Правила социалистического общежития» (სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები) ნათარგმნი აქვს როგორც „სოციალისტური თანაცხოვრების წესები", 78-ე გვერდზე «Закрепление»-ს (განმტკიცება) თარგმნის როგორც „ადგენს", 198-ე გვერდზე «Социальная общность» (სოციალური ერთობა) ნათარგმნი აქვს როგორც „სოციალური გაერთიანებანი" და ბევრი მსგავსი ლაფსუსი, რომლებიც მეტყველებს ამ წიგნის გამოცემის დაბალ კულტურაზე.

ასეთია ზოგადად პროფ. ვ. აბაშმაძის წიგნის მანკიერებანი. ჯერ კიდევ ათოდე წლის წინათ იგივე ავტორი მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ლიტერატურული წყაროების არაკეთილსინდისიერი გამოყენებისათვის (იხ. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი", 1972 წლის № 6 და 1974 წლის № 6). მაგრამ, სამწუხაროდ, მან სათანადო დასკვნები არ გამოიტანა და, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო გააღრმავა და „დახვეწა" სამეცნიერო ნაშრომების წერის სრულიად მიუღებელი სტილი.

რა თქმა უნდა, არაკეთილსინდისიერი ავტორი ყოველთვის შეიძლება გამოჩნდეს. ამიტომ სამეცნიერო ნაშრომების გამოცემის ჩვენში მოქმედი წესები მას გადაულახავ დაბრკოლებად უნდა აღუდგეს წინ. ამ შემთხვევაში კი ეს წესები უხეშად დაირღვა: ჯერ ერთი, საგამომცემლო გეგმით გათვალისწინებული იყო თემა „სამართლებრივი ურთიერთობა", ხოლო გამოქვეყნდა წიგნი „საბჭოთა სოციალისტური სამართლის თეორიის საკითხები"; წიგნის ხელნაწერი აპრობირებული იყო არა იმ კათედრის მიერ, რომელშიც შედის იურიდიული მეცნიერების ეს დარგი, არამედ იმ კათედრის მიერ რომლის წევრი თვითონ ავტორია, არ იყო უზრუნველყოფილი წიგნის ხელნაწერის კვალიფიციური რეცენზირება და რედაქტირება, იურიდიული ფაკულტეტის საბჭოზე გატარებული იყო ნაშრომის ერთი ვარიანტი, ხოლო გამოცემულ იქნა მეორე ვარიანტი.

უკანასკნელ წლებში ქართველ იურისტთა სამეცნიერო პროდუქცია მკვეთრად გაიზარდა. ზოგიერთი ნაშრომი რუსულ ენაზეც გამოიცაან ითარგმნა და საბჭოთა იურიდიული საზოგადოებრიობის აღიარება პოვა (მხედველობაში გვაქვს, პირველ ყოვლისა, პროფ. თ. წერეთელი, პროფ. ს. ჯორბენაძე, პროფ. ლ. ალექსიძე, პროფ. შ. ჩიკვაშვილი და სხვა ავტორები). მონოგრაფიებზე, სახელმძღვანელოებზე თუ სხვა ლიტერატურაზე მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზარდა. ამიტომ დიდი მუშაობა გვმართებს, რომ სწავლული იურისტები მკითხველის წინაშე ვალმოხდილი იყვნენ. დღეს კვლავ უპირველეს ამოცანად რჩება უზრუნველვყოთ დაბეჭდილი ლიტერატურის სათანადო მეცნიერული დონე და ხარისხი. წიგნის გამოცემისათვის მეტი პასუხისმგებლობა და პრინციპულობა უნდა გამოიჩინონ არა მარტო ავტორებმა, არამედ რეცენზენტებმა, რედაქტორებმა, შესაბამისმა კათედრებმა, სექტორებმა, სამეცნიერო საბჭოებმა და, ცხადია, გამომცემლობებმა. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება გზა გადაეღობოს არაკეთილსინდისიერ ავტორს და უხარისხო, სამარცხვინო ნაშრომების გამოცემას.

პროფ. გ. ინწკირველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინფორმაცია

## საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭოს სხდომა

გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭოს სხდომა.

მოხსენება „დიდ შრომით კოლექტივებში სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭოების შექმნის შესახებ“ გააკეთა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკური საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭოს თავმჯდომარემ **ზ. მ. რატიანმა.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სკკპ XXVI ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმეს მშრომელთა ზნეობრივი და სამართლებრივი აღზრდის საკითხებს. ამ საქმეში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ შრომითმა კოლექტივებმა. რესპუბლიკის ბევრ შრომით კოლექტივში სამართლებრივი პროპაგანდისა და სამართალაღმზრდელობითი მუშაობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს.

ლექციები სამართლებრივ თემებზე იკითხება არამიზნობრივად. დიდ შრომით კოლექტივებში არ არის შექმნილი სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტები, ეფექტიანად ვერ მუშაობენ ამხანაგური სასამართლოები და იურიდიული კონსულტაციები საზოგადოებრივ საწყისებზე. შრომითი კოლექტივების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმები არ ითვალისწინებს სამართლებრივი აღზრდის კონკრეტულ საკითხებს, არასაკმარისად არის გამოყენებული ამისათვის მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებები.

ეს ნაკლოვანებანი, თქვა მომხსენებელმა, იმით არის გამოწვეული, რომ შრომით კოლექტივებში არ არის შემუშავებული სამართლებრივი პროპაგანდისა და სამართალაღმზრდელობითი საქმიანობის არავითარი სისტემა.

შემდეგ ზ. რატიანმა ილაპარაკა სამართლებრივ საკითხებზე თვალსაჩინო აგიტაციის საუკეთესო ნიმუშის (ფურცელ-პლაკატების) გამოსავლენად რესპუბლიკური კონკურს-დათვალიერების მოწყობის შესახებ.

„ქ. თბილისის, ოქტომბრის, პირველი მაისის, აგრეთვე გორის, გარდაბნისა და დუშეთის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიების საქმიანობის შესახებ“ მოხსენება გააკეთა საბჭოს მდივანმა, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსმა კონსულტანტმა **ნ. არონიამ.**

სოციალისტური კანონიერების დაცვისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების საქმეში, თქვა მომხსენებელმა, დიდ მუშაობას ეწევიან ქ. თბილისის ოქტომბრის, პირველი მაისის, გორის, გარდაბნისა და დუშეთის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუდმივი კომისიები. მათ აქვთ პერსპექტიული და კვარტალური გეგმები, რომლებშიც გათვალისწინებულია რაიონში შექმნილი ოპერატიული ვითარება. ამასთან ერთად, მათს მუშაობაში ჯერ კიდევ არის ხარვეზები და ნაკლოვანებები. პრაქტიკაში არ არის დანერგილი მუდმივი კომისიის ანგარიშებისა და ინფორმაციების მოსმენა რაისაბჭოს სესიებზე, დუშეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მუდმივი კომისიის გარდა, არც ერთ ზემოჩამოთვლილი რაიონის საბჭოს სესიაზე მუდმივი კომისიის ანგარიში არ მოუსმენია. ხშირად მიღებული დადგენილებანი და რეკომენდაციები ფორმალური ხასიათისაა.

არის შემთხვევები, როცა კომისიები განიხილავენ ისეთ საკითხებს რომლებიც მათ კომპეტენციაში არ შედის. მაგალითად, დუშეთის რაიონის ბაზალეთის სასოფლო საბჭოს მუდმივ კომისიას, მართლწესრიგის განმტკიცების პრობლემების ნაცვლად, თავის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული ჰქონდა ისეთი საკითხები, როგორიც არის „ხელისმომწერთათვის ჟურნალ-გაზეთების მიწოდების მდგომარეობის შესახებ,“ „მოსახლეობის სავაჭრო მომსახურეობის მდგომარეობის შესახებ,“ „მოსახლეობის ავტოსატრანსპორტო მომსახურების შესახებ“ და ა. შ.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის

მოადგილე **დ. ლორია**, სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის პრორექტორი **შ. პაპიძე**, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსი **გ. მიქანაძე**, ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მდივანი **ე. ქვარხია**, მუშაობის შედეგები შეაჯამა **ზ. რატიანმა**.

საკოორდინაციო საბჭომ განხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები.

**ვ. ჭულაძე**,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

## საიუბილეო საღამო

1982 წლის 21 სექტემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟში გაიმართა საიუბილეო საღამო სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების შექმნის 60 წლისთავის გამო.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგემ **გ. ტყეშელაძემ**, რომელმაც ილაპარაკა იმ დიდი ყურადღების შესახებ, რომელსაც ბოლო წლებში იჩენს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მიმართ.

მოხსენებით „სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების შექმნის სამოცი წელი" გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი სახელმწიფო არბიტრის მოადგილე **ჯ. ჯალაღანია**.

სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრებმა **გ. ალაპიშვილმა**, **ლ. აფანასიევმა**, **ა. სულხანიშვილმა**.

სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაკებს იუბილე მიულოცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს წევრმა **ნ. წერეთელმა**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მოწინავე მუშაკებს გადაეცათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელები.

**ვ. თითბერიძე**

## სახალხო მსაჯულთა საბჭო მოქმედებს

1982 წლის 13 ივლისს, პარტიის მცხეთის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა ახლად არჩეული სახალხო მსაჯულების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა თათბირ-სემინარი, რომელიც მიეძღვნა სახალხო მსაჯულთა სწავლებისა და სასამართლო საქმიანობაში მათი აქტიური მონაწილეობის საკითხებს, გაანალიზდა ამ მხრივ წარსულში დაგროვილი დადებითი გამოცდილება, ყურადღება გამახვილდა არსებულ ნაკლოვანებებზე.

თათბირ-სემინარზე მოხსენება გააკეთა რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ **თ. აბესაძემ**. აზრი გამოთქვეს სახალხო მსაჯულებმა **გ. ტაბატაძემ**, **ვ. უნდილაშვილმა**, მცხეთის რაიკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **ა. ძაგნიძემ და სხვებმა**.

არჩეულ იქნა სახალხო მსაჯულთა რაიონული საბჭო, დამტკიცდა სექციები. საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ა. შუშანაშვილის ბრძანებით მოწინავე სახალხო მსაჯულები დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით, რომელიც მათ ამავე თათბირზე გადაეცათ.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს და სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის მეორე მდივანი **ზ. ანთაძე** და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე **ა. აბესაძე**.

თათბირ-სემინარს ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი **ა. ბარისაშვილი** და საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. როინიშვილი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაჯილდოება

სსრ კავშირის პროკურატურის სამოცი წლისთავთან დაკავშირებით პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ პროკურორის ბრძანებით დაჯილდოვდნენ:

**ფასიანი საჩუქრებით** — **ბაქრაძე ე. მ.** — აფხაზეთის ასსრ პროკურატურის უფროსი გამომძიებელი; **ბაქრაძე თ. ვ.** — აჭარის ასსრ პროკურატურის უფროსი გამომძიებელი; **კიკაბიძე ჯ. ი.** — ფოთის პროკურორი; **მამნიაშვილი მ. ნ.** — თბილისის საქარხნო რაიონის პროკურატურის გამომძიებელი; **ხურცილავა ჟ. ე.** — ხობის რაიონის პროკურორის თანაშემწე.

**საჩუქრებით** — **ბენიძე ვ. გ.** — მაიაკოვსკის რაიონის პროკურორი; **კვინიკაძე ვ. ს.** — ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი; **კოზაევი თ. მ.** — ზნაურის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი; **მიქაძე გ. ლ.** — ქუთაისის ავტოსაქარხნო რაიონის პროკურორის თანაშემწე; **ხანაია ო. გ.** — გალის რაიონის პროკურორი; **თოფჩიევი ე. ო.** — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო სამმართველოს პროკურორი; **ცალანი ვ. ე.** — მესტიის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი; **გამოეცხადათ მადლობა**—**ვარდიძე ვ. მ.**— ახალციხის რაიონის პროკურორის თანაშემწეს; **გახარიას კ. პ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს; **გვარჯალაძეს ვ. კ.**—ლანჩხუთის რაიონის პროკურატურის სტაჟიორს; **გელაშვილს ვ. ს.** — საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწეს; **გეგეჭკორს გ. ვ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს; **გოგოლაძეს რ. გ.** — ასპინძის რაიონის პროკურორს; **დათუაშვილს ა. ვ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილეს; **ჯახუას ა. ა.** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს; **ძაგანიას გ. ვ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს პროკურორს; **დუდუჩავას თ. კ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს; **ზარანდიას რ. ვ.** — თბილისის ტრანსპორტის პროკურორის თანაშემწეს; **ზარუბინას ლ. ი.** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს; **მარგებაძეს თ. ა.** — საგარეჯოს რაიონის პროკურორს; **მაჩიტაძეს ზ. ს.**— წყალტუბოს პროკურორს; **რატიშვილს ი. პ.**—საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს; **როსტიაშვილს თ. ნ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს; **სალიას ხ. ნ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს პროკურორს; **სილაგაძეს დ. ნ.** — ცაგერის რაიონის პროკურატურის გამომძიებელს; **სუჯაშვილს ტ. ა.** — თერჯოლის რაიონის პროკურორს; **სულაბერიძეს ა. ნ.** — გარდაბნის რაიონის პროკურორის თანაშემწეს; **სუთიძეს ო. ს.** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს; **ჭვადაგიანს ა. ა.** — დუშეთის რაიონის პროკურორს; **ხურცილავას გ. გ.** — წყალტუბოს პროკურორის მოადგილეს; **ხუციშვილს ნ. ფ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს პროკურორს; **ციციაშვილს ა. ა.** — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს პროკურორს; **ჩიტლოვს ფ. ს.** — დმანისის რაიონის პროკურორს; **ჩუბინიძეს მ. ნ.** — გორის რაიონის პროკურორის თანაშემწეს; **ჩხატარაშვილს ა. დ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს პროკურორს; **შენგელიას შ. ლ.** — სამტრედიის რაიონის პროკურორის მოადგილეს; **შუტკოვას თ. ვ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს; **ელიაშვილს შ. ი.** — რუსთავის პროკურორის თანაშემწეს; **ერაძეს ჯ. გ.** — საქართველოს პროკურატურის განყოფილების უფროსს.

# [illegible]

ჩვენი ჟურნალის 1982 წლის მეორე ნომერში გამოქვეყნდა ჯ. მიქელაძის კრიტიკული წერილი „ისევ სასამართლოს განაჩენებში დაშვებული უხეში შეცდომების შესახებ“.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ 1982 წლის 26 აგვისტოს იმსჯელა ამ წერილის შესახებ და მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელშიც ნათქვამია: სასამართლო ორგანოები განაჩენებისა და განჩინებების დადგენისას ხშირად უშვებენ შეცდომებს, რომელთა შეუსწორებლად შეუძლებელია განაჩენებისა და სასამართლო დადგენილებათა აღსრულება. შეცდომები ძირითადად დაშვებულია შრომა-გასწორებას დაწესებულებების სახეობის (რეჟიმის) განსაზღვრაში და სახალხო მეურნეობის ობიექტებიდან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, შრომა-გასწორების დაწესებულებებში, შემობრუნებულ პირთათვის დარჩენილი სასჯელის ვადის დადგენაში. განაჩენებში დაუზუსტებელია აგრეთვე მსჯავრდადებულთა დემოგრაფიული მონაცემები, რაც ხელს უშლის შრომა-გასწორების დაწესებულებათა ნორმალურ საქმიანობას. კოლეგიამ დაავალა საქართველოს სსრ ყველა რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოს: განუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმებით, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 30 ივნისის № 4 დადგენილებით „სასამართლო განაჩენის შესახებ“.

სასამართლოებს წინადადება მიეცათ დადგენილება განიხილონ ოპერატიულ თათბირებზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

განაჩენებში დაშვებული უხეში შეცდომების გამო გაფრთხილებული არიან ქ. ქ. თბილისის ლენინის, გლდანის, რუსთავის, ფოთის, ცაგერის, დმანისის და მარნეულის რაიონის სახალხო მოსამართლეები: დ. მატკავა, ვ. ახაკელია, ა. კორინთელი, ჯ. ვეკუა, გ. ჭამფუკაძე, დ. ცხვედიაშვილი და ნ. მუსტაფაევი.

აფხაზეთის ასსრ აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იუსტიციის განყოფილებას დაევალა განიხილონ ეს საკითხი.

* * *

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ 1982 წლის 30 სექტემბერს განიხილა ჟურნალში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი, რომელიც შეეხებოდა ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოში ი. მირიანაშვილის სამოქალაქო სამართლის საქმის განხილვის გაჭიანურებას. მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლის ს. დადიანის მიერ ი. მირიანაშვილის სამოქალაქო საქმის განხილვის დროს დაშვებულია დარღვევები, რაც არ შეესაბამება „ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის 30 სექტემბრის დადგენილებას.

მოსამართლე ს. დადიანის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო ამ საქმის განხილვა გაჭიანურდა 6 თვე და 7 დღე, რამაც გამოიწვია მოქ. ი. მირიანაშვილის კანონიერი საჩივრები.

კოლეგიის დადგენილებით ი. მირიანაშვილის სამოქალაქო საქმის განხილვისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის, კერძოდ, საქმის განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურებისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლე ს. დადიანი მკაცრად იქნა გაფრთხილებული.

# ცნობები ავტორთა შესახებ

ვლადიმერ ნესტორის ძე მირკვილაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, 15 მონოგრაფიის, 15 წიგნის და 100 მეცნიერული შრომის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ალექსი ვალერიანის ძე პაპუაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის ასპირანტი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ვიქტორია მოსეს ასული სირაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, არის ავტორი ბევრი სტატიისა, მეორედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

გურამ ივანეს ძე გვეტაძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი, მეორედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

რუსუდან ვასილის ასული პიტავა — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ზაალ ილიას ძე მესენგისერი — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი, 28 შრომისა და 1 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ალექსანდრე სევერიანის ძე ფრანგიშვილი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, 5 მონოგრაფიისა და 100-ზე მეტი შრომის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ვიტალი ლავრენტის ძე კაკაბაძე — დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მოთხოვნილებისა და მოტივის ფსიქოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 2 მონოგრაფიისა და 80 შრომის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

დავით ევგენის ძე ცინცაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 1 მონოგრაფიის, 2 წიგნისა და 30 შრომის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

გივი ზაქარიას ძე ინწკირველი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მრავალი მეცნიერული შრომის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს წიგნისა და ბროშურის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 5, 1982 (на грузинском языке), Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, Тел.: 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

612/91

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ

ინდექსი 70185